სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება
(ისტორია, თეორია, პრაქტიკა)"

Scientific magazine

"AUTHORITY AND SOCIETY
(History, Theory, Practice)"

Научный журнал "ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО
(История, Теория, Практика)"

# № 4 (16) 2010

ᲦᲘᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ
ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

**Scientific magazine of
The Open Diplomacy Association**

Научный журнал
АССОЦИАЦИИ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ

**EISSN 1512-4029**

ჟურნალი დაარსებულია 2005 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის კათედრის მიერ

UDC 378(479.22)(051.2)
ხ. 402


# სარედაქციო კოლეგია:

**შოთა დოღონაძე** მთავარი რედაქტორი

**ოთარ ქოჩორაძე** მთავარი რედაქტორის მოადგილე

**ოთარ ბაღათურია** პასუხისმგებელი მდივანი

ნანა ავალიანი, რუდიგერ ანდრესენი, მეუფე აბრაამი (გარმელია), ევგენი ბარათაშვილი, გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია, რასა ბელოკაიტე, ანასტასია განიჩი, იური გორიცკი, ვახტანგ გურული, შოთა დოღონაძე, ელუნ დრაკე, ჰარალდ ვერტცი, გენადი იაშვილი, სერჯო კამიზი, რიჩარდ მაასი, როინ მეტრეველი, იოშიკა მიცუი, ბადრი ნაკაშიძე, ლიზავეტა ჟახანინა, ბუდი ნურანი რუჩჯანა, რამონ პიეტრო-სუარესი, გერტ სურმიულენი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოჩორაძე, რუსუდან ქუთათელაძე, მაია ჩხეიძე, ენდრიუ ლენუქს ჰარდინგსი


✡ ✡ ✡ ✡ ✡

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებლია ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის შეხედულებებს.

რედაქციის მისამართი:
საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას ქ. 77, VI კორპუსი, VIII სართული, ტელ. 36-45-14, 874-40-56-77
77 Kostava st., 0175 Tbilisi, Georgia.
Tel. [+995 32] 364514; [+995 74] 405677
e-mail: office@odageorgia.ge

*გარეკანის გაფორმება: დავით ბაღათურია*

ჟურნალის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია ვებგვერდებზე:
**http://www.odageorgia.ge/?page=gamocemebi**
**http://www.gtu.edu.ge/katedrebi/kat124/**

ჟურნალის რეფერირებული მასალა განთავსებულია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბიბლიოთეკაში: **http://www.eLIBRARY.ru**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## თეორია

**შოთა დოლონაძე**
აშშ - საქართველოს პარტნიორული ურთიერთობების მამოძრავებელი ძალა საერთო ღირებულებები და ინტერესებია-4
**ოთარ ქოჩორაძე, გიორგი გამყრელიძე, გიორგი ერაძე, დავით კიკნაძე, ნინო შამანაძე, კარლო შერაზადიშვილი**
იაპონური მენეჯმენტის ფილოსოფია--------------------------------------18
**თეა ხაჩიძე**
სოციუმისა და ხელისუფლების ურთიერთობის ასპექტები--------34

## ისტორია

**ნანა ავალიანი**
სირია XXI საუკუნის პირველ ათწლეულში ----------------------------45

## ეკონომიკა

**თეიმურაზ გორშკოვი, ნონა ჭიჭიკოშვილი**
საქართველოს რკინიგზის განვითარების პერსპექტივები (სატრანზიტო პოტენციალი)-----------------------------------------------55

**სალომე ჩხიკვაძე**
ბიუჯეტის მონიტორინგის და ფინანსური კონტროლის გაუმართავი მექანიზმებით გამოწვეული პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებში (საერთაშორისო გამოცდილება)------------------------------------------------------------------61

## სამართალი

**კონსტანტინე დოხნაძე**
ოჯახური ძალადობა: მზარდი პრობლემა და თავისებურებები-78
**მამუკა ღვინიაშვილი**
სასამართლო, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტი და მისი უფლებამოსილების ფარგლები--------------------90

## საზოგადოება

**ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე**
კავკასიის ეტიმოლოგია და მისი ქართული ვარიაციული ძირები (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი -------------------------------110

# თ ე ო რ ი ა

**შოთა დოღონაძე**

## აშშ - საქართველოს პარტნიორული ურთიერთობების მამოძრავებელი ძალა საერთო ღირებულებები და ინტერესებია

საქართველოს უახლესი ისტორია არაერთ მნიშვნელოვან მოვლენასა და ფაქტს იტევს. 1991 წლის 31 მარტის შემდგომ, როდესაც რეფერენდუმში მონაწილეთა 99,85% ხმა მისცა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას (1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე), აღარ არსებობდა არცერთი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც სამართლებრივად, შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის წინააღმდეგ.

რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომამ 1991 წლის 9 აპრილს ისტორიული გადაწყვეტილებები მიიღო - სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით საქართველო დამოუკიდებელ, ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოდ გამოცხადდა.

სამწუხაროდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებისაგან საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის აღიარება არ მოჰყოლია. მხოლოდ 1991 წლის 7 დეკემბრის შემდეგ, როდესაც ბელორუსიაში, ბელოვეჟის პუშჩის რეზიდენცია „ვისკულიში" საბოლოოდ დასრულდა სსრ კავშირის არსებობა, საქართველოს საშუალება მიეცა დაეწყო თავისი დამოუკიდებელი არსებობა.

უკვე 1992 წლისათვის საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივ წევრ სახელმწიფოსთან და ყველა უშუალო მეზობელ სახელმწიფოსთან, რაც იმის გარანტიას იძლეოდა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარების პროცესი შეუქცევადი და წარმატებული იქნებოდა. თუმცა შიდა აშლილობებისა და დაპირისპირებების გამო საქართველოს უმძიმესი გამოცდებისა და ვნებათაღელვის წლები დაუდგა. სამოქალაქო დაპირისპირება, გარედან ინსპირირებული და

მხარდაჭერილი კონფლიქტები სეპარატისტებთან, უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირე. ნაწილობრივი გამონათება, კორუფციის ჭაობში ქვეყნის ჩაფლვა, "ვარდების რევოლუცია", კვლავ გამონათება, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუში (უმცროსის) ისტორიული ვიზიტი, და კვლავ ბრძოლა ძალაუფლებისათვის. საქართველოში მიმდინარე ძირეული რეფორმები, მისი გამოკვეთილად დასავლური ორიენტაცია არაერთი დავდასხმისა და შემოტევის მიზეზი გახდა, რაც საბოლოოდ უმძიმესი შედეგით – რუსეთის ინტერვენციით დასრულდა. საქართველოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები 2 წელიწადია ოკუპირებულია რუსეთის შეიარაღებული შენაერთების მიერ.

მეგობარი ჭირში შეიცნობაო ნათქვამია, და საქართველომ თვალნათლივ დაინახა თავისი ჭეშმარიტი მეგობრები და მათი ძალა. ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერითა და წახალისებით, მთელი პროგრესული ევროპა ფარად დაუდგა საქართველოს და რამდენიმე დღეში შეწყდა საომარი მოქმედებები.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არა ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოს უყურებს, როგორც მეგობარ ქვეყანას, მეტიც, სტრატეგიულ პარტნიორს. ომის შეწყვეტიდან სულ მცირე ხანში ვაშინგტონში, 2009 წლის 9 იანვარს, ხელი მოეწერა ქარტიას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ქარტია ამერიკის შეერთებული შტატების ავანსცენიდან წასულმა ადმინისტრაციამ შეიმუშავა და გააფორმა, მიუხედავად ამისა იგი ახალი ადმინისტრაციის მხრიდანაც უცვლელი მხარდაჭერით სარგებლობს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 2010 წელს გაიმართა მეორე გაფართოებული სხდომა, მაღალ დონეზე, ქარტიის განხორციელების საკითხების განხილვასთან დაკავშირებით. არ გამართლდა სკეპტიკოსებისა და მომრავლებული ვაიექსპერტების პროგნოზები იმის თაობაზე, რომ ქარტია ფარატინა ქაღალდათ დარჩებოდა პრეზიდენტ ბარაქ ობამას ადმინისტრაციის ხელში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მეგობრობა, სტრატეგიული პარტნიორეობა ორი მეგობარი ხალხისა და სახელმწიფოს მჭიდრო ურთიერთობებზეა აგებული და მას საფუძვლად ერთიანი ღირებულებები და ინტერესები უდევს.

ენციკლოპედიური განმარტება ქარტისა კარგადაა ცნობილი: ქარტია სახალხო მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელიც კონსტიტუციური შინაარსის კანონებს ან უფლებებს შეიცავს. ამდენად, საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ქარტიად წოდება იმთავითვე მის უდიდეს წონასა და ორივე მხარისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

თავის გამოსვლაში ამერიკისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების ქარტიის მეორე გაფართოებულ სხდომაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მეგობრობა მყარად დგას ორი ქვეყნის საერთო ღირებულებისა და ინტერესების საფუძველზე, და რომ ქარტია ჩარჩო დოკუმენტია, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო გაღრმავდეს ურთიერთობები და თანამშრომლობა. მან დაადასტურა ვალდებულება ერთობლივ მუშაობაზე საქართველოს უსაფრთხოებისა და დემოკრატიის წინ წასაწევად.

მიუხედავად იმისა, რომ ქარტია ყოვლისმომცველი დოკუმენტია, რომლის შესახებ ჩვენ ქვემოთ დეტალურად შევჩერდებით, ის ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა, მას წინ უძღოდა ერთობლივი დოკუმენტების დიდი პაკეტი, რომელთაგან პირველი 1994 წლის აპრილში ვაშინგტონში ხელმოწერილი ერთობლივ დეკლარაციაა საქართველოსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების შესახებ. დღეისათვის ხელშეკრულებების რაოდენობამ 55-ს მიაღწია. ეს დოკუმენტები მოიცავს საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხებს თითქმის ყველა სფეროში და გამსჭვალულია უდიდესი მეგობრული დამოკიდებულებით.

18 ხელშეკრულებაა გაფორმებული სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრო-ლობის განვითარება-განმტკიცებასთან დაკავშირებით. 15 ხელშეკრულება სამხედრო თანამშრომლობასთან არის დაკავშირებული. კანონიერების განმტკიცების საქმეში მხარდაჭერასა და დახმარებას მოიცავს 4 ხელშეკრულება. ასევე, 4 ხელშეკრულება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის განმტკიცების საკითხებს განსაზღვრავს,

საქართველოს მიერ უმძიმესი ეკონომიკური სიდუხჭირის დაძლევას ხელი შეუწყო იმ ხუთმა დოკუმენტმა, რომელიც გაფორმებული იყო საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის მეგობარი ქვეყნის მიერ კონკრეტული

ჰუმანიტარული, მატერიალური თუ ტექნიკური დახმარების გაწევასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის დადებული შეთანხმებები, რომლებიც ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებს ეხება, აქ ნათლად ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს უყურებს, როგორც სრულუფლებიან პარტნიორს ისეთი სენის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში, როგორიცაა საერთაშორისო ტერორიზმი და მასთან თანმდევი ნეგატიური პროცესები. ამდენად, ნიშანდობლივი იყო ის რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა თავის გამოსვლაში, რომელზედაც ზემოთ აღვნიშნეთ, ყურადღება გაამახვილა ნატო-სთან ერთობლივ ძალისხმევაზე, ავღანეთში ISAF-ის ოპერაციებში. ეს საქმიანობა ეხმარება ავღანელ ხალხს ააშენონ უფრო დაცული, სტაბილური და აყვავებული მომავალი. ამდენად საქართველო აქტიურად მონაწილეობს ტერორიზმისაგან საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში დახმარების აღმოჩენის საკითხიც და სხვა. ძნელია აქ დეტალურად მიმოიხილო ის მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც მოიცვა საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელშეკრულებო ბაზამ. მაგრამ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია რამდენიმე საკითხზე მაინც უფრო დეტალურად შევჩერდეთ.

შეიძლება ითქვას, რომ გასული საუკუნის ბოლო ათწლეულისათვის უკვე ძირითადად ჩამოყალიბდა ამერიკის ინტერესები კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონების მიმართ, შესაბამისად ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა დასახელებული რეგიონების პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საქმეში. ამერიკის მხარდაჭერა ყოველთვის ფასეული იყო მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობისას. რეგულარული ხასიათი მიიღო ე.წ. "უსაფრთხოების დიალოგმა", რომლის ფარგლებშიც განიხილებოდა ჩვენს ქვეყნებს შორის

თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და მათი განვითარების პერსპექტივები.

აშშ-ის ადმინისტრაციამ მტკიცედ დაუჭირა მხარი საქართველოს ხელმძღვანელობის კურსს დემოკრატიული საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის საქმეში. ამის გამოხატულებაა ის უპრეცედენტო მასშტაბის დახმარება, რომელიც საქართველომ მიიღო. მაგალითისათვის: მხოლოდ 1998 წელს, მთლიანად დახმარების თანხამ 127 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა რამაც ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, აშშ-ის დახმარების მიმღებ ქვეყანათა შორის (ისრაელსა და ეგვიპტეს შემდეგ) საქართველო მესამე ადგილზე დააყენა.

ალბათ, ქრონოლოგიის დაცვა მიზანშეწონილი არ არის, როდესაც ისეთ დოკუმენტებზე გვაქვს საუბარი, როგორიცაა ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმება (კომპაქტი) ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის. (ხელმოწერილია 2005 წლის 12 სექტემბერს). ამ შეთანხმებაში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მოქმედებს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის სახით.

ამ ხელშეკრულების შემდგომი ინპლემენტაცისათვის გაფორმდა:

I ფონდი „-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ დანიშვნის ხელშეკრულება ათასწლეულის გამოწვევის შეთანხმების „კომპაქტის“ ფარგლებში გარკვეული სამთავრობო უფლებების, უფლებამოსილებების და ვალდებულებების განმახორციელებლად საქართველოს მთავრობას, მოქმედს საქართველოს პრემიერ-მინისტრის საშუალებით და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას შორის.

II ხელშეკრულება შესყიდვების თაობაზე ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას ფინანსთა სამინისტროს, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მთავრობას და ფონდი-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს შორის

III მართვის ხელშეკრულება ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას, საქართველოს მთავრობის სახელით ფინანსთა სამინისტროსა და ჩ -საქართველოს შორის.

IV თანხის გაცემის (ჩარიცხვის) ხელშეკრულება ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციას, ფინანსთა სამინისტროს, რომელის წარმოადგენს საქართველოს

მთავრობას და ფონდ-ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (ემ-სი-ჯი) შორის.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად გარკვეული სიძნელეებისა, ეს შეთანხმებები დინამიურად ხორციელდება და უდიდესი წვლილი შეაქვს საქართველოს განვითარების საქმეში.

ათასწლეულის ამ პროგრამით გათვალისწინებულია ამერიკული კაპიტალის ინვესტირება საქართველოს ეკონომიკაში 2005-2010 წწ. პერიოდში. კომპაქტის საფუძველზე გამოიყო 295 მილიონი აშშ დოლარი რეგიონალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კერძო სექტორის განვითარებისათვის. ასევე ხორციელდება სხვა პროგრამები და პროექტები, რომლებიც საქართველოს გზას უხსნის დინამიური განვითარებისაკენ.

ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევა მსოფლიოში ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის განვითარებისათვის. ყოველწლიურად, მოყოლებული 1977 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აშშ-ს კონგრესში წარადგენს მოხსენებას ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიისა და შრომის შესახებ იმ ქვეყნებში, რომლებიც ღებულობენ დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატებისაგან. ასევე უცხოეთის ყველა ქვეყანაში, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არიან და სხვა მხრივ არ არიან აღნიშნულნი მოხსენებაში (ე.ი. არ წარმოადგენენ აშშ-ს დახმარების ობიექტს).

მოხსენებები, რომლებიც საქართველოში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის პრობლემებს ეხება 1993 წლიდან იქმნება. ამ დოკუმენტებში დეტალურადაა გააანალიზებული დამოუკიდებელ საქართველოში მიმდინარე პოზიტიური და არაპოზიტიური პროცესები, კეთილგანწყობილი, მეგობრული ტონით მითითებულია იმ პრობლემებსა და ნაკლზე, რომელიც დემოკრატიის განვითარების გზაზე მდგარ ქვეყანას ახასიათებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება უდიდეს ძალისხმევას ახმარს იმას, რომ საქართველომ დაიმკვიდროს თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, გაუხსნას მას გზა ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის ორ ათეულამდე შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს ამერიკის შეერტებული შტატებისა და საქართველოს სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და

პარტნიორობას. მიზანი ამ თანამშრომლობისა არის საქართველოს დაახლოება ნატოს სტანდარტებთან, ჩვენი ქვეყნის ჩაბმა იმ უდიდესი მნიშვნელობის საქმანობაში, რომელიც მიმდინარეობს ატომური, ბიოლოგიური და სხვა მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობისათვის მთელს მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება და მხარდაჭერა, ევროპელ პარტნიორებთან ერთად, იმის საწინდარია, რომ თავიდან იქნება აცილებული გარე საფრთხეები და საქართველოს თავდაცვითი სისტემა უპასუხებს არსებულ გამოწვევებს.

ამერიკა-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განსაკუთრებული ეტაპი იყო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის განხორციელება, რომელსაც I ეტაპზე 60 მილიონამდე აშშ დოლარი მოხმარდა. 2005 წელს ეს პროგრამა გაგრძელდა მხარდაჭერისა და უზრუნველყოფის პროგრამით. ყოველივე ეს ემსახურებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას, მისი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცებასა და სამხედრო რეფორმების სტიმულირებას. ამ დახმარებამ და მხარდაჭერამ ბევრად განაპირობა ის, რომ საქართველო გახდა ანტიტერორისტული კოალიციის ერთერთი აქტიური მონაწილე. ის რომ საქართველოს ჰყავს შეიარაღებული ძალები და მისი საზღვრები ქართველი მესაზღვრეების მიერ კონტროლდება, დიდწილად ამერიკის შეერთებული შტატების პირდაპირი სამხედრო-ტექნიკური და სხვა სახის დახმარების შედეგია.

სამხედრო-ტექნიკურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ მხარდაჭერასთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები დღენიადაგ ზრუნავს იმისათვის, რომ საქართველოში ხელშეწყობილ იქნეს დემოკრატია, განვითარდეს და განმტკიცდეს იგი. ეს ნათლადაა გამოკვეთილი ქარტიაშიც. ამასთან ერთად, ქარტიით ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო ადასტურებენ, რომ სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში მზად არიან და გააღრმაონ ურთიერხელსაყრელი თანამშრომლობა ფართო სპექტრითა და ორი ხალხის საკეთილდღეოდ. ეს პარტნიორული ურთიერთობები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეფუძნება ერთიან ფასეულობებს, დემოკრატიისა და პროგრესიის მუდმივ ღირებულებებს, ერთობლივ რწმენას იმის თაობაზე, რომ დემოკრატია წარმოადგენს პოლიტიკური ლეგიტიმურობის, შესაბამისად სტაბილურობის მთავარ საფუძველს. ამდენად, ქარტიის

დასაწყისშივე გაცხადებულია ამერიკის შეერთებული შტატების უმთავრესი მიდგომა, მას დემოკრატია, დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლება მიაჩნია იმ აუცილებელ პირობად, რომლის დაცვა გარდუვალია მისი პარტნიორი ქვეყნისათვის; და რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ შეეგუება ხელისუფლების უკანონო გზით ხელში ჩაგდების მცდელობებს, სეპარატიზმსა და სხვა ასეთ ნეგატიურ გამოვლინებებს.

საგულისხმოა, რომ ქარტია პრეამბულაშივე შეიცავს საქართველოს ტერიტორიალური მთლაინობისა და უსაფრთხოებას უპირობო მხარდაჭერას, ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირის და ლტოლვილის ღირსეულ, უსაფრთხო და ნებაყოფლობით დაბრუნებას საკუთარ სახლ-კარში. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის საქართველო ერთიანი სუვერენული სახელმწიფოა, რომლის შემადგენლობაშიც შედის აფხაზეთი და ყველა ის ტერიტორია, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ აღიარებულ იქნა საქართველოს კუთვნილებად საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით. ამდენად ლოგიკურია, რომ ქარტიაში ჩამოყალიბებულია პარტნიორობის პრინციპები, რომლებიც საერთოა ორივე ხელშემკვრელი მხარისათვის და ეფუძნება ერთმანეთის სუვერენიტეტის დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობის, საზღვრების ურღვეობის საფუძვლებს. მიჩნეულია, რომ საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელი, სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელსაც ძალა ექნება თავი დაიცვას და წვლილი შეიტანოს ერთიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის განმტკიცებაში.

ქარტიის შემომქმედნი პარტნიორობის უმნიშვნელოვანეს პრინციპად განიხილავენ საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში, მისი უსაფრთხოებისა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით.

ქარტიაში ცალკე თავი აქვს დათმობილი თანამშრომლობას თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში. ქარტიაში აღიარებულია ის წვლილი, რომელიც საქართველომ შეიტანა ერაყში, კოალიციის ძალისხმევაში, რაც იმის წინაპირობადაა მიჩნეული, რომ, საქართველოს უნარი შესწევს გაუმკლავდეს თანამედროვეობის გამოწვევებს და რომ წასახალისებელია და ყოველმხრივ მხარდასაჭერი მისი ლტოლვა ნატო-საკენ, და რომ ძალაში რჩება 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე ალიანსის განაცხადი იმის

თაობაზე, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი სახელმწიფო. ამ თვალსაზრისით ქარტია მოიცავს რიგ მნიშვნელოვან დებულებებს.

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიაში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილიმ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს თანამშრომლობას ეკონომიკის, ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროებში. ეს თანამშრომლობა ემყარება ქარტიის დებულებებს, მაგრამ გაწერილია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გაფორმებულ არაერთ ხელშეკრულებაში. აღიარებულია რა ინვესტიციების მნიშვნელობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს განზრახული აქვთ მიაღწიონ შეთანხმებას “ორმხრივი ინვესტიციების გაფართოების შესახებ“, რათა გაიზარდოს „შეღავათების ზოგად სისტემაში“ საქართველოს დაშვება და შესწავლილ იქნეს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა. ეს თემა ბევრად წაადგება იმ მიზნების განხორციელებასაც რაც დასახულია ომისშემდგომი რეაბილიტაციის პროგრამით, სიღარიბის დაძლევის პოლიტიკის რეალიზაციის გეგმებით.

ქარტიაში ცალკე თავი აქვს დათმობილი საკითხს დემოკრატიის გაძლიერებისა და გაღრმავების თაობაზე. გამახვილებულია რა ყურადღება მიღწეულზე ამ მიმართებით, ორივე ქვეყანის მიერ აღიარებულია ვალდებულებები ერთობლივად იმუშაონ მედიის თავისუფლების, პარლამენტის, სასამართლო რეფორმის, სამართლის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების გაძლიერებისათვის.

ქარტიის მიღებიდან 2 წლის მიწურულს ჩვენ უკვე ვხედავთ გარკვეულ შედეგებს. ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ საქართველოში, ძირეული ცვლილებები განიცადა ქვეყნის ძირითადმა კანონმა – კონსტიტუციამ. საკანონმდებლო დონეზე გაიწერა ძლაუფლების განაწილება ხელისუფლების შტოებს შორის და უპირატესი უფლებები საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტს მიენიჭა. ღონისძიებები ხორციელდება სასამართლო რეფორმის მიმართულებითაც. სახეზეა სხვა მნიშვნელოვანი წინსვლაც ბევრ სასიცოცხლო სფეროში, განსაკუთრებით ანტიკორუფციულ საქმიანობაში. თუმცა ვერაფერ სანუგეშოს ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ სამოქალაქო საზოგადოებაში პროგრესის მიმართულებით. სამოქალაქო

საზოგადოების შესაძლებლობების გასაძლიერებლად ცოტა რამ გაკეთდა, ასევე, ვერ ვიტყვით რომ შემუშავებულია საჯარო პოლიტიკა და ის სერიოზულ დონეზე ანალიზდება. ბევრი რამ არის გასაკეთებელი მოქალაქეების ინტერესების მხარდაჭერის, საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობისა და საჯარო მოხელეებზე ზედამხედველობის გაძლიერების თვალსაზრისით. ამის სამაგალითოდ საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესიც გამოდგება, რომელიც ძალიან წააგავდა განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციის განხილვის სქემებს, ერთი განსხვავებით, საბედნიეროდ მას დედა ენის სტატუსთან დაკავშირებული ვნებათაღელვა არ მოჰყოლია. ქარტია კი ორიენტირებულია პოლიტიკური პლურალიზმის შემდგომ ზრდასა და არასამთავრობო სექტორის განვითარების მხარდაჭერაზე.

ფასდაუდებელია ამერიკის შეერთებული შტატებისმ ხარდაჭერა საქართველოს დეოკუპაციის საკითხში. ქარტიის გაფართოებულ სხდომაზე 2010 წლის ოქტომბერში სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა პირდაპირ მიმართა რუსეთის ფედერაციიას მოახდინოს საქართველოს სრული დეოკუპაცია: „ჩვენ კვლავ მოვუწოდებთ რუსეთს დაასრულოს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, გაიყვანოს თავისი ძალები და დაიცვას 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები. ჩვენი საერთო ძალისხმევით, საქართველომ აირჩია კონსტიტუციური მიდგომა-ჟენევაში მოლაპარაკებების გზით უპასუხოს ამ გამოწვევებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის მიზნებს ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და მზად ვართ, განვახორციელოთ ის ქმედებები, რომლებიც ქვეყანას ამ მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში დაეხმარება“. [18]

და ბოლოს, ქარტიაში ხაზგასმულია დებულებები ხალხებს შორის კონტაქტების გაღრმავებასა და კულტურული გაცვლის გაფართოების შესახებ. მიჩნეულია, რომ ეს ხელს შეუწყობს დემოკრატიისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებას, გაზრდის ურთიერთგაგებას. მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ურთიერთობების გაღრმავებას მეცნიერებისა და განათლების სფეროებში, როგორც არსებული და მოქმედი პროგრამების ასევე, მომავალი ინიციატივებისა და აქტივობების თვალსაზრისით.

ვერ ვიტყვით, რომ ჩვენთვის უცხოა რეალური პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელზედაც აგებენ

უდიდესი სახელმწიფოები თავიანთ საგარეო პოლიტიკას; მაგრამ საქართველო-ამერიკის ურთიერთობები ამ რეალური პოლიტიკის კალკებში თუ ვერ ეტევა (სამწუხაროდ დღეს ამაზე არაერთი პოლიტოლოგი ლაპარაკობს) უნდა ვივარაუდოთ, რომ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. საქართველო და ამერიკის შეერთებული შტატები სხვა გარეშე ძალების მცდელობების მიუხედავად პარტნიორულ ურთიერთობებზე დაყრდნობით წარმართავენ თანამშრომლობას და ეს შეიძლება მაგალითიც კი გახდეს ბევრი სხვა სახელმწიფოსათვის. სხვაგვარად გაგვიჭირდება შევაფასოთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის სიტყვები აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის გაფართოებულ სხდომაზე:

„მოვუწოდებთ ჩვენს ხალხს, მათ შორის ინვესტორებს ახლოდან შეხედონ საქართველოს; შეხედონ მათაც ვინც თქვენს გვერდით დგას და უხარია ის, რომ საქართველოში ცვლილებები ხდება, ხოლო თქვენ მისაბაძი მოდელი ხდებით“[19].

**ლიტერატურა**
**References:**


1. a. rondeli "saerTaSoriso urTierTobebi", Tsu, 1996.
2. saqarTvelos kanoni `saerTaSoriso xelSekrulebebis Sesaxeb~, 1997.
3. gaerTianebuli erebis organizaciis wesdeba da saerTaSoriso sasamarTlos statusi, Tbilisi, gaeros saxli, 1999.
4. "qarTuli diplomatiis istoriis narkvevebi", t. I, Tbilisi, 1998.
5. S. doRonaZe `saqarTvelo: gza saerTaSoriso aRiarebidan saerTaSoriso Tanamegobrobisaken~, `mecniereba~, 2002.
6. m. saakaSvili `gadamwyveti brZola saqarTvelosaTvis~ Tb., 2001
7. g.sanikiZe, n. kiRuraZe Tanamedrove saerTaSoriso urTierTobebi., Tbilisi 2002. Tbilisi, `artanuji~, 2001.
8. keneT n. uolci `adamiani, saxelmwifo da omi~ `jisiai~, 2003
9. pol hersti `globalizacia – kritikuli analizi~, `diogene~, 2005
10. Kennedi P. Vstupaia v dvadcat pervi vek. –M., 1997
11. Mejdunarodnoe pravo. Uchebnik. M., 1998
12. Uinston Cherchil. Mirovoi krizis. M., 2004
13. Archer C. International Organizations. 2nd ed. - L. - N.Y, 1992
14. The Prague Summit and NATO`S transformation, NATO Public diplomacy division, Brussels, 2003.
15. http://www.eu-integration.gov.ge

16. http://www.EU.org
17. http://www.president.ge
18. http://www.mfa.gov.ge
19. http://www.state.gov/secretary/rm/2010/10/149080.htm
20. http://www.state.gov/r/pa/prs/ps/2010/10/149084.htm

**Shota Dogonadze**

**The general values and interests-motive power of partner relations of the USA and Georgia**

**Summary**

The renovated relationship between USA and Georgia has been continuing for twenty years, the period of the hardest test and possessed by passions; achievement of independence, civil confrontations, conflicts inspired and supported by separators from the outside, extreme economical poverty, partial holding the light, burring the country in the mud of corruption, the so called “Rose Revolution”, the historical visit of President Bush, the junior, the visit of Vice- President Biden and anew fight for power. Along the very hard way Georgia always felt supporting of USA, as its friend and nowadays strategic partner.

Everything began prosaically, in April, 1994 in Washington - there was signed the joint Declaration of the Relationship between Georgia and USA. That was one of the first documents officially registered between two countries. At present the amount of contracts achieves to 55. The contracts include issues in almost every branch of USA and Georgia’s Relationship consisting of the friendly interrelation.

With global interests USA - Georgia’s relationship possesses its own specificity according to which concrete projects are accomplished.

USA rendered a relevant assistance to Georgia in the relationship with the international organizations. Supporting of USA was always valuable in relation with the World Bank and Currency Fund.

The so called “Dialogue of Security” has got a regular disposition in the frames of which the main directions and perspectives of our countries’ relationships were being examined.

Besides, the above- mentioned USA constantly cares for developing democracy in Georgia finally confirming it. The proof of that is the contract made between two countries “USA- Georgia’s strategic Partnership Charter”, that was established in 2009. In defiance of that the contract had been made by the previous Administration before, at present is still unchangeably supported.

Due to the Charter USA and Georgia confirm the following, within the bounds of partnership both of them are ready to deepen wide collaboration for people's prosperity. This collaboration of partnership is based on joint democracy, constant values of progress; joint faith of democracy determines stability. In the construct USA underlines the priority of democracy that represents political legislation, so in the very beginning of the Charter USA considers that the Government must be elected in a democratic way and admits that is a real democracy. Hence it follows that USA is not about to accommodate to seize power illegally. USA is against separatism and other negative events.

"We can then trumpet to our people here, including investors who we would urge to take a close look at Georgia and others in our country who are standing by and urging on and cheering for the changes that Georgia is making and the role model that you are becoming", - With these words finished her speech, Mrs. Hillary Clinton, the Secretary of State at the U.S.-Georgia Charter on Strategic Partnership Omnibus Meeting in 2010, October 6 in Washington.

**Keywords:** the United States of America; Georgia; mutual relations; the Euro-atlantics integration; the Charter; strategic partnership; democracy; invaders; Russia; stability; struggle against terrorism;

**Reviewer**: Professor Otar Kochoraze, Georgian Technical University

**Догонадзе Шота Акакиевич**

**Общие ценности и интересы -движущая сила партнерских отношений США и Грузии**

## Резюме

Отношения новой Грузии и Соединенных штатов Америки насчитывает два десятилетия. Это период тяжелейших испытаний и волнений. А все началось как будто прозаично... В апреле 1994 года в Вашингтоне была подписана совместная декларация о взаимоотношениях Грузии и США. Это был один из первых документов создающих правовую базу между двумя дружественными государствами. На сегодняшний день подписаны 55 соглашений, охватывающие почти все области сотрудничества США и Грузии. Среди этих соглашений особый интерес вызывают документы заключенные в сфере борьбы с терроризмом, в них отчетливо

просматривается, что США на Грузию смотрит как на равноправного партнера.
Следует отметить, что к последнему десятилетию прошлого века в основном сформулировались интересы США в отношении регионов Кавказа и Центральной Азии, следовательно, определяющим фактором развития отношений двух стран во многом являются эти интересы.Но при этом, присутствует некая специфика, с учетом которой осуществляются конкретные проекты.
США прилагает немало усилии к тому, чтобы Грузия укрепляла свою независимость и суверенитет, открыть ей путь к евроатлантической интеграции. Соединенные Штаты наряду с экономической, политический поддержкой, военно-технической помощью постоянно заботятся о развитии демократии в Грузии. Значительной поддержкой Грузии явилась Хартия стратегического партнерства заключенная после войны 2008 года между Грузией и США. Этот документ подписанный с прежней администрацией США, одинаковую поддержку имеет и в нынешний период, о чем свидетельствуют два расширенных заседаний на высшем уровне по обсуждению вопросов имплементации Хартии. Именно на втором заседании Государственный секретарь Хилари Клинтон призвала американцев, друзей из Запада, инвесторов ближе взглянуть на Грузию, оценить достигнутый прогресс во всех сферах жизни и поддержат ее стремление сделать жизнь своих граждан достойным современным вызовам. Вместе с тем, помочь Грузии укрепить свою территориальную целостность, свободу и благополучие, освободится от оккупационных войск.

Вся история отношений США и Грузии яркое подтверждение того, что сильнейшее государство и маленькая страна могут дружить и тесно сотрудничать не ущемляя интересы друг друга.

**Ключевые слова:** Соединенные Штаты Америки; Грузия; двусторонние отношения; евроатлантическая интеграция; Хартия; стратегическое партнерство; демократия; оккупанты; Россия; стабильность; борьба с терроризмом;

**Рецензент:** профессор Кочорадзе Отар Георгиевич, Грузинский технический университет

ოთარ ქოჩორაძე, გიორგი გამყრელიძე, გიორგი ერაძე, დავით კიკნაძე, ნინო შამანაძე, კარლო შერაზადიშვილი

# იაპონური მენეჯმენტის ფილოსოფია

ნიკო ნიკოლაძე წერდა: "იაპონია ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოადგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლით და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შეძენა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერსა და სამეფოებს შუა". მისი აზრით ნედლეულითა და სხვა სახის სტრატეგიული რესურსების სიმწირის მიუხედავად იაპონიის გაძლიერება შრომის ჭკვიანურმა ორგანიზაციამ და საშემსრულებლო დისციპლინის მაღალმა დონემაც განაპირობა. ხაზს უსვამდა, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის სიდიდეს და მოსახლეობის მრავალრიცხოვნებას კი არა, სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და ახალი ტექნოლოგიების სწრაფ დანერგვას ენიჭება. "ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს და დისციპლინას". **[1,** 103-109**]**

მენეჯმენტის აღიარებულ გურუს, კორპორაცია Matsushita Electric Industrial (Panasonic) დამაარსებელს მაცუშიტა კონოსუკეს (იაპონ., 松下 幸之助) (1894-1989) მიაჩნდა, რომ "თამანედროვე სამეწარმეო ორგანიზაციები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს – საზოგადოებრივი ცხოვრების მხარდაჭერა. საკვები, ტანსაცმელი, საცხოვრებელი ადამიანებისათვის ხელმისაწვდომი ხდება წარმოებისა და განაწილების შედეგად. სამუშაოს მიღებით ადამიანები განიცდიან კმაყოფილებას და იღებენ სარგებელს. ამ სოციალური მიზნების მისაღწევად, თითოეულმა ორგანიზაციამ უნდა შეინარჩუნოს საკუთარი სიჯანსაღე და მუშა მდგომარეობა. ეს კი დამოკიდებულია მმართველობითი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების ხარისხსა და ეფექტიანობაზე. საქმიანობა, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ მართვას, მოითხოვს სრულ უკუგებას, მასში კონცენტრირებულია ადამიანური ინტელექტი და გამოცდილება. ადამიანს, რომელმაც თავისი თავი მიუძღვნა მართვას, უკავია ძალიან საპატიო და ამავდროულად საპასუხისმგებლო მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს სრულ უკუგებასა და მზადყოფნას თავგანწირვისათვის".

1966 წელს კომპანია “მაცუშიტა”-მ და კორპორაცია “ფილიპსმა” ჩამოაყალიბეს ერთობლივი საწარმო, სადაც ორივეს ჰქონდათ თანაბარი წილი. მათი შეთანხმება შეიცავდა დებულებას, რომლის თანახმად კორპორაცია “ფილიპსი” იღებდა ახალი საწარმოს მოგებიდან დამატებით 3%-ს ტექნოლოგიური უზრუნველყოფისათვის. შემდგომში კომპანია “მაცუშიტა”-მ განახორციელა უპრეცედენტო აქცია, შეთანხმებაში ერთობლივი საწარმოს ჩამოყალიბების შესახებ შეტანილი იქნა ახალი დებულება, რომლის თანახმად იგი იღებდა დამატებით გადარიცხვებს გაწეული სამსახურისათვის – მართვის გამოცდილების გადაცემა. “მაცუშიტა”-ს ხელმძღვანელობამ თანხმობა განაცხადა ერთობლი საწარმოს მართვისათვის რამოდენიმე გამოცდილი ადმინისტრატორის გაგზავნაზე, მართვის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. ბოლოს და ბოლოს “ფილიპსმა” თანხმობა განაცხადა იმაზე, რომ მსგავსი სახის წვლილი იმსახურებდა განსაკუთრებულ შეფასებას.

მაცუშიტას აზრით მაღალკვალიფიციური მმართველობითი კადრების მომზადების საფუძვლს წარმოადგენს თითოეული თანამშრომლის ორიენტაცია ფირმის კრედოზე, რომელიც დაფუძნებული იქნება შემდეგ 7 ძირითად პრინციპზე: წვლილი საზოგადოებრივ განვითარებაში; სამართლიანობა და პატიოსნება; თანამშრომლობა და კოლექტივიზმი; დაუღალავი ძალისხმევა სრულყოფილების მისაღწევად; თავაზიანობა და თავმდაბლობა; ადაპტაცია; მადლიერება.

მაქს ვებერის “პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული”-ს გამოჩენისთანავე ეკონომიკური მოღვაწეობა ეფექტურობის ანალიზი კულტურულ სფეროს დაუკავშირდა. [*მაქს ვებერს აზრით ცივილიზაციათა რელიგიური და ეკონომიკური სისტემების თავისებურებები განაპირობებენ ისტორიულ ცვლილებებს (გადასვლა ტრადიციული ქცევიდან რაციონალურზე).*

*ვებერმა ჩაატარა, დასავლურ ცივილიზაციაში დამკვიდრებული ტრადიციებისა და რელიგიური ღირებულებების ანალიზი, და მივიდა დასკვნამდე, რომ პროტესტანტულ რელიგიაში ჩადებული არის, ადამიანის მიერ საკუთარი თავისა და საზოგადოებრივი როლის რაციონალური გააზრების საწყისი. მაგალითად კალვინიზმისათვის – ადამიანი ან ღვთის რჩეულია, ან არა, ამიტომაც მისი პიროვნული არჩევანი, მისი ცხოვრების სტილი და ამქვეყნიური ზნეობრივი ღირებულებები ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს მისი სულის ცხონებაზე – მათი შედეგი*

*მხოლოდ მიწიერ ცხოვრებაში თუ მოიმკება. ასეთი მიდგომა ხდება ინდუსტრიული ეპოქის ჩამოყალიბების საფუძველი, ვინაიდან იგი ხელს უწყობს პიროვნებაში პრაგმატული აზროვნების განვითარებას.*

*ჟან კალვინმა, ჩამოაყალიბა პროტესტანტიზმის ძირითადი დოგმატი აბსოლუტური ბედისწერის შესახებ. კალვინის თანახმად, ადამიანის ბედი ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაში წინასწარ არის განსაზღვრული მისი შექმნის მომენტიდან. რჩეულებს ელით ცხონება, დანარჩენებს კი სამუდამო ტანჯვა. იმის განსაზღვრა, ადამიანი დაწყევლილია თუ ღვთის მიერ კურთხეული ძალიან ადვილია: რამდენად შეესაბამება მის მიწიერ ცხოვრებას წარმატება ან წარუმატებლობა. ამიტომ ადამიანი პასიურად კი არ უნდა ელოდებოდეს ბედის აღსრულებას, არამედ მუდმივად უნდა შრომობდეს, რამეთუ შრომა არის ღვთის მადლი, სიზარმაცე კი ერთ-ერთი უდიდესი ცოდვა. პროტესტანტიზმის შრომითი ეთიკა, რომელიც მოიცავდა: ღვთისმორწმუნეობას, თვითშეზღუდვასა და მომჭირნეობას, აქტიურ მწარმოებლურ საქმიანობასა და სიმდიდრის გამართლებას, სავსებით შეესაბამებოდა საბაზრო კაპიტალიზმის სისტემის რაციონალიზმსა და ეფექტურობისაკენ სწრაფვას.*]**[2,** 50-51**]**

დღესაც კულტუროლოგიური მიდგომა ხშირად იყენებს ამ თეორიას აზიურ ქვეყნებში "ეკონომიკური სასწაულის" ფენომენის ახსნისათვის. ასეთ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება კონფუციანელობის ელემენტებზე, რომლებიც ეკონომიკურ ზრდაზე არიან ორიენტირებულნი. განსაკუთრებით ხაზი ესმება კონფუციანელობის ისეთ თვისებებს, როგორიცაა დისციპლინა, გაფრთხილების უნარი.

იაპონიის სწრაფი განვითარების მიზეზებზე მსჯელობისას მკვლევარებმა იაპონური და დასავლური კულტურის გარკვეული ელემენტების მსგავსება აღმოაჩინეს:

ბუდისტური სექტის "ძიოდო სინსიუ"-ს (იაპონ., **浄土真宗**) სწავლებაში არსებული ისეთი მოწოდებანი, როგორიცაა "არ აარიდო თავი თავდაუზოგავ შრომას დღისით და ღამით", "იყავი ზომიერი ფუფუნებაში", "თავდაუზოგავად იშრომე სახლში", "არ ითამაშო აზარტული თამაშები" და ასე შემდეგ, მოგვაგონებენ ბენჯამინ ფრანკლინის ცნობილ სენტენციებს:

- დრო ფულია.
- არაფერია უეჭველი გადასახადების და სიკვდილის გარდა.

- არ უთვალთვალო მუშებს-ეს იგივეა, დაუტოვო მათ შენი საფულე, თანაც გახსნილი.
- ვინც ყიდულობს იმას, რაც არ სჭირდება, მალე გაყიდის იმას, რაც სჭირდება.
- თუკი შეგიძლია, დახარჯო იმაზე ნაკლები ფული, ვიდრე გაქვს, ჩათვალე, რომ ფილოსოფიური ქვა შენს ხელშია.
- მოტივაცია გამოიყურება შემდეგნაირად-შენი ოცნებები იცვამენ სამუშაო უნიფორმას.
- თავშეკავება - არ ჭამო მოყირჭებამდე, არ დალიო დათრობამდე.
- დუმილი - ილაპარაკე მხოლოდ ის, რაც სასარგებლო იქნება შენთვის ან სხვისთვის, თავი აარიდე ლაქლაქს.
- წესრიგი - ყველა ნივთს მიუჩინე თავისი ადგილი, ყოველი საქმისთვის თავისი დრო გქონდეს.
- გაბედულება - გადაწყვიტე შეასრულო ის, რაც გასაკეთებელია, განუხრელად შეასრულო ის, რაც გადაწყვიტილია.
- მომჭირნეობა - ფული დახარჯე მხოლოდ იმაზე, რასაც შენთვის ან სხვისთვის სიკეთე მოაქვს, არაფერი არ გაფლანგო.
- სიბეჯითე - არ დაკარგო დრო ტყუილუბრალოდ, ყოველთვის რაიმე სასარგებლო საქმით იყავი დაკავებული, უარი თქვი ყოველ უსარგებლო მოქმედებაზე.
- გულწრფელობა - არ იცრუო ბოროტად, გქონდეს წმინდა და სამართლიანი აზრები, საუბრის დროს მისდიე ამ წესს.
- სამართლიანობა - არავის მიაყენო ზიანი, არ ჩაიდინო უსამართლობა და არ გამოგრჩეს ის კეთილი საქმეები, რომლებიც შენს მოვალეობაში შედის.
- ზომიერება - მოერიდე უკიდურესობებს, შეძლებისდაგვარად შეეცადე, იყო მიმტევებელი.
- სისუფთავე - არ დაუშვა სხეულის, ჩაცმულობის და ადგილსამყოფელის უსუფთაობა.
- სიდინჯე - არ აგაღელვოს წვრილმანმა, ჩვეულებრივმა და გარდაუვალმა ამბებმა.
- უმწიკვლობა - იყავი ზნეობრივად წმინდა
- თავმდაბლობა - მიბაძე ქრისტესა და სოკრატეს.
- ფრთხილად იყავით წვრილმან ხარჯებთან დაკავშირებით; პატარა ხვრელს დიდი ხომალდის დაღუპვა შეუძლია. **[3]**

აღმოსავლურ რელიგიებში ხშირად ვხვდებით მსჯელობებს შრომისმოყვარეობის, თავგანწირვის, ზომიერებისა და სხვა ცნებების შესახებ. ძენ ბუდიზმის მიმდევარები თვლიან, რომ ყოველი საქმე რწმენის გამოცდას უკავშირდება და ყველა მიმდინარეობის ფილოსოფია – ღვთიური აბსოლუტიზმის გამოვლინება არის. მათი აზრით ბუდისტური რელიგიური პრაქტიკის საუკეთესო გზას წარმოადგენს ადამიანის მოწოდება იყოს შრომისმოყვარე და ერთგული თავისი მიწიერი საქმეებისა. [იგივე მოსაზრება ჰქონდა მარტინ ლუთერს].

თუმცა დაუშვებელი იქნება, თუ იაპონიის მოდერნიზაციას იმ სოციალ-კულტურულ მატრიცის ელემენტებამდე დავიყვანთ, რომლებსაც ანალოგები დასავლურ კულტურასა და მენტალიტეტში მოეძებნება. სინამდვილეში, ასეთი მიდგომა ზედაპირულია და სიღრმისეულად არ განიხილავს ამა თუ იმ ერის მენტალიტეტის უმთავრეს კომპონენტებსა და მახასიათებლებს.

გვარისა და ოჯახისადმი თავდადებამ, წინაპართა პატივისცემამ, ჩამოაყალიბა იდეა, რომლის მიხედვითაც ინდივიდს არა აქვს უფლება მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე იზრუნოს. მას უნდა სწამდეს **იე**-ს უკვდავება და ნებაყოფლობით უნდა შესწიროს თავი მის სახელს. თვით იმპერატორის კულტიც ამ პრინციპს დაეყრდნო. რწმენამ მისი ღვთაებრივი წარმოშობისა და ბუნების შესახებ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს უკვდავების იდეას. იაპონიის ეროვნული ტრადიციების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოს უკვდავების რწმენამ იაპონელ ხალხს თავდადებისა და სამშობლოს გაღმერთების სურვილი ჩაუნერგა.

იაპონელები ყოველთვის დიდი სიფრთხილითა და მზადყოფნით იღებდნენ ყოველგვარ სიახლეს, რომელიც ქვეყნის განვითარებას წაადგებოდა. უკვე მეექვსე საუკუნეში იაპონიამ დაიწყო უცხო ქვეყნებიდან დადებითი ელემენტების შეთვისება. დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო რთული გახდა მათი განსხვავება ჭეშმარიტად იაპონური ელემენტებისაგან, რამეთუ მათ იაპონიაში გარკვეული სახესხვაობა, “გაიაპონიურება” განიცადეს და იაპონურ ტრადიციებად იქცნენ.

“იაპონური სულის და დასავლური ტექნოლოგიების” სინთეზმა წარმოშვა “იაპონური სასწაული”, რომელმაც ამომავალი მზის ქვეყანა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მოწინავე სახელმწიფოდ აქცია. სწორედ მათ შეუქმნეს საფუძველი იაპონიის ელვისებურ ეკონომიკურ აღმავლობას.

დასავლური მოდელისაგან განსხვავებით, რომელიც აქცენტს აკეთებს ინდივიდის უფლებებზე და მის საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივი ზეგავლენისაგან დაცვაზე, იაპონური მოდელი თავშეკავების, საკუთარი თავის კონტროლისაკენ სწრაფვას გულისხმობს და პირველ ადგილზე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ინტერესებს აყენებს.

იაპონური კულტურის ძრითადი მახასიათებლები შემდეგნაირია: სინთეტიკური, კოლექტივისტური, კორპორაციული, არაწინააღმდეგობრივი, განუსაზღვრელი, პირადული, ფრაქციონულად მოაზროვნე, უპირატესობა ენიჭება არანათელ შეთანხმებას, იჭრება ადამიანის კერძო სამყაროში, რელიატიური, ემოციონალური, ჰარმონიული, კონფორმისტული, არა ლოგიკური.

იაპონიაში პატერნალიზმა მიიღო სპეციფიკური ფორმა:

– **"ამაე"** – ურთიერთობათა ტიპი, როდესაც სუსტი მიისწრაფის ძლიერისაკენ, ეძებს დასაყრდენსა და მხარდაჭერას; ეს არის ემოციონალური ურთიერთობები, დაფუძნებული სხვების სიკეთისაგან დამოკიდებულებაზე.

– **"გირი"** – მადლიერების ვალი, რომელსაც ადამიანი მთელი ცხოვრება ასრულებს, სიკეთისათვის იხდის სიკეთით.

– **"ონგაესი"** – უფროსის უმცროსისადმი კეთილგანწყობა გათვლილი ვალის დაბრუნებაზე, როდესაც უცროსი გაიზრდება, ხოლო უფროსი დაბერდება.

– **"იე"** – სამეზობლო ჯგუფი.

ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ იაპონელები ძალიან მგრძნობიარენი არიან ნიუანსებისადმი სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დროს. ამას ექსპერტები უწოდებენ – იაპონელების ჰიპერსენსიტიურობას. იაპონელებს ძალიან ეშინიათ ამოვარდნენ სიყვარულის ზონიდან "ამაე"-დან და ჩავარდნენ "კოდავარი"-ს მდგომარეობაში, ანუ მიუსაფარ მდგომარეობაში, როდესაც მას ისე არ იღებენ ჯდუფში, როგორც სხვებს.

მთლიანობაში იაპონია ტრადიციებისა და თანამედროვეობის სინთეზს წარმოადგენს. მან მოდერნიზაცია განიცადა უმნიშვნელოვანესი ტრადიციული საწყისების შენარჩუნებით სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროებში. კვლავ მაღალ საფეხურს იკავებს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა იერარქიულობა, პასუხისმგებლობა, მოვალეობა, კონსენსუსი, ჯგუფური ინტერესებისადმი დაქვემდებარება და ასე შემდეგ. კონფლიქტების მოგვარებისას ხშირად გამოიყენება გადაწყვეტილებათა მიღების არაფორმალური მექანიზმები,

შენარჩუნებულია სოციალური და პროფესიონალური დიფერენციაცია და სხვა.

ტატეიშის კაძუმას (იაპონ., 立石 一真)(1900-1991)*[იაპონელი მეწარმე, მენეჯმენტის თეორეტიკოსი და ფილოსოფოსი, ტერმინ "ფსიქონეტიკის" ავტორი (1970). 1985 წელს გამოვიდა მისი ბესტსელერი "The Eternal Venture Spirit" ("მეწარმეობის მუდმივი სული") თარგმილი მრავალ ენაზე. "Omron Coroporation"-ს დამაარსებელი. 1990 წელს დაარსა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფონდი ("Tateisi Science and Technology Foundation").]* მიხედვით მენეჯმენტის ფილოსოფიის საფუძველია: კომპანიის ნათელი კრედოს განსაზღვრა; კომპანიის მიზნებისა და მისი თანამშრომლების ქცევის შეფარდება (ადამიანური ფაქტორი); შემოსავლების განაწილება; კორპორაციული სული და ერთობლივი მოღვაწეობა; საყოველთაო დაინტერესების პოლიტიკა; გასაღების პერსპექტიული ბაზარი; ორიგინალური ტექნოლოგიები; ეფექტიანი ხელმძღვანელობა.

კაძუმა ტატეიშის მენეჯმენტის ფილოსოფია ეყრდნობა: იდეალური სამუშაო ადგილის ოთხ მახასიათებელს: მიმზიდველობა, ნიჭიერი კოლეგები, მყიდველის გემოვნების დაკმაყოფილება, შრომისა და სიბეჯითის დაჯილდოვება; მენეჯმენტის სამ ხაზს: მყიდველის მოთხოვნილებათა შესწავლა, თითოეული მუშაკის ღირსებების შეფასება, შეჯიბრის სულისკვეთების წახალისება; სამ მოკლევადიან მიზანს: მოგების სტრუქტურის აღდგენა, ახალი საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა, ორგანიზაციის კორპორატიულობის გამოცოცხლება; ხუთ ოპერატიულ პრინციპს: ყველა ქმედების განსაზღვრა საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გეგმებით, პრიორიტეტებზე ორიენტაცია, ოპერაციების რეალური ვადები, ტოტალური ოპტიმიზაცია, ურთიერთობა პატიოსნებისა და თავმდაბლობის პრონციპებზე.

კაძუმა ტატეიშის მენეჯმენტის ფილოსოფიაში დიდი ყურადღება ეთმობა "სამი K "-ს ტექნოლოგიას: კომპიუტერი, კომუნიკაცია, კონტროლი.**[4]**

### "ადამიანური პოტენციალის" პრინციპი იაპონიაში

მართვის თანამედროვე მეთოდების ფორმირება დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც ამერიკელებმა ჩაატარეს წამყვანი მეწარმეების წმენდა და ქვეყანა ფაქტიურად აღმოჩნდა მართვის უმაღლესი დონის წამყვანი სპეციალისტების გარეშე. მაგრამ იაპონელებმა, ამერიკელების "გულის გასახეთქად",

უმოკლეს დროში ძირფესვიანად შეისწავლეს ამერიკული და ევროპული მმართველობითი აზროვნების უახლესი მიღწევები. მათი შემოქმედებითი ძიება დასრულდა მართვის თეორიისა და ხელოვნების საკუთარი კონცეფციის შექმნით. იაპონელებმა გააცნობიერეს: მაკგრეგორის X და Y თეორიის, "ადამიანური ურთიერთობების" თეორიის, სტიმულირების მეთოდების, ადამიანური მოთხოვნილებების პრიორიტეტების სისტემის სუსტი და ძლიერი მხარეები და შექმნეს საკუთარი "ადამიანური პოტენციალის" მოდელი.

ცხადია, რომ შრომითი აქტივობის სტიმულირება ხდება არა მარტო მატერიალური დაინტერესებით, არამედ საკუთარი სარგებლიანობის, საერთო საქმისადმი კუთვნილების გაცნობიერებით. ადამიანური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, საკუთარი თავის პატივისცემასა და თვითდამკვიდრებაში, ქმნის ხელსაყრელ სამუშაო ატმოსფეროს, სტიმულირებას უწევს მუშაკთა შორის კოოპირირებას სამართლიანი ანაზღაურების პირობებში. "ადამიანური პოტენციალის" პრინციპმა წინა პლანზე წამოსწია არა დეკლარირება, არამედ საკუთარი უნარის გამოვლენისა და განვითარების რეალური შესაძლებლობა და საკუთარი სამუშაოთი კმაყოფილების გრძნობის მიღება. მართვის ეს პრინციპი იმით განსხვავდება "ადამიანური ურთიერთობების" თეორიისაგან, რომ მუშაკი სრულად არის ჩართული ყველანაირ სიტუაციაში, მიზანში, ესმის საკუთარი სამუშაოს სირთულე, გააჩნია საშუალება ყურადღება დაუთმოს თვითმმართველობასა და თვირკონტროლს. მუშაკს გააჩნია სამუშაოსათვის აუცილებელი სრული ინფორმაცია, კოლექტივისა და საკუთარი თვალში იძენს გარკვეულ მნიშვნელობას და ამავდროულად აცნობიერებს საერთო საქმისადმი კუთვნილებასა და საკუთარი პასუხისმგებლობის დონეს. [მიჩნეულია, რომ ერთი იაპონელი მუშაკი ორჯერ უფრო სუსტია ამერიკელზე, მაგრამ ათი იაპონელისაგან შემდგარი კოლექტივი ორჯერ უფრო ძლიერია ათ ამერიკელზე].

ამ პრინციპის პრაქტიკული რეალიზაციის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს იაპონური ხარისხის წრეები, ანუ იაპონური მენეჯერების საქმიანობა, გამოშვებული პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებებში ფირმების რიგითი წევრების ჩასართველად. ამ წრეების შექმნის ძირითადი მიზანი მდგომარეობს შემდეგში:

– მუშებსა და ოსტატებში მართვისა და კონტროლის უნარის განვითარება თვითგანათლების მეოხებით;

– მორალური სულისკვეთების ამაღლება, სამუშაო ადგილებზე მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღება, მუშაკებში ხარისხიანი მუშაობისა და პაციონალიზატორული საქმიანობისადმი მოთხოვნილების განვითარება;

– საამქროსა და სამუშაო ადგილის მთავარ რგოლად გადაქცევა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში, ხელმძღვანელობის შესაბამისი დახმარების უზრუნველყოფა.

მიაქციეთ ყურადღება ერთ მნიშვნელოვან მომენტს, ყველა ჩამოთვლილი მიზანი ეყრდნობა ადამიანურ პოტენციალს, გათვლილია მთელი პერსონალის ნებაყოფლობით მონაწილეობაზე უმაღლესი ხარისხის პროდუქციის შესაქმნელად. 1967 წელს შეიქმნა 10 000 ხარისხის წრე, 1985 წელს – 200 000. დღეისათვის იაპონიაში დარეგისტრირებულია 300 000-ზე მეტი წრე, მაგრამ უფრო მეტია დაურეგისტრირებელი (ზოგიერთი მონაცემების თანახმად მათი რიცხვი აღემატება 1 მილიონს).

ხარისხის წრეების საქმიანობის ეფექტიანობაზე თვალნათლივ მეტყველებს რაციონალიზატორული წინადადების დანერგვის შედეგად დაზოგილი თანხის ოდენობა – წელიწადში 80 მილიარდი დოლარი.

ამ პრინციპის რეალიზაციის დროს იცვლება ხელმძღვანელის როლი. დეტალებსა და კონკრეტულ საკითხებში იგი შეიძლება თავის თანამშრომლებზე ნაკლებად იყოს გარკვეული, მაგრამ მათი კოლექტიური ცოდნა მშვენივრად ავსებს მის საკუთარს. ხელმძღვანელის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია დხება დაქსაქსული უნარიანი შემსრულებლების გაერთიანება, მათი შემოქმედებითი საქმიანობის ეფექტიური ორგანიზება, მათი ინტელექტუალური პოტენციალის გახსნა. მოცემული პრინციპის საფუძველს წარმოადგენს იაპონიისათვის ტრადიციული ორიენტაცია შრომის კოლექტიურ ფორმაზე და ჯგუფის კონსოლიდაციაზე.

**მუშაკთა სამუდამო დაქირავების სისტემა** – იაპონური მენეჯმენტისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი თავისებურება. სამუშაოზე დაქირავების პროცედურა იწყება შტატში ჩარიცხვის ბრძანების დაწერამდე დიდი ხნით ადრე. კორპორაციებისა და სახელმწიფო სამსახურების სპეციალურად მომხადებული წარმომადგენლები ამყარებენ გრძელვადიან კავშირებს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებთან, ეცნობიან კურსდამთავრებულებს, არაფორმალურ გარემოში შეისწავლიან სტუდენტების უნარჩვევებს, ინტერესებს, მიდრეკილებებს, ესწრებიან გამოცდებსა და ახალგაზრდულ სადღესასწაულო ღონისძიებებს, იკვლევენ ოჯახურ მდგომარეობას, აფასებენ

რეკომენდაციებსა და გამოხმაურებებს (იაპონელი მენეჯერები მსგავს პრაქტიკას ეძახიან "უმწიფარი მოსავლის აღებას"). შერჩეული კანდიდატები იღებენ ობიექტურ ინფორმაციას მომავალი სამუშაო ადგილის შესახებ, ტესტირებისა და სპეციალური გამოცდის ჩაბარების შემდეგ ხდება მათი სამსახურში აყვანა გამოსაცდელი ვადით. მხოლოდ ერთ წლიანი სტაჟირების შემდეგ, გარკვეულ თანამდებობაზე სპეციალურად გამოყოფილი თანამშრომლის მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით, დადებითი დახასიათების მიღების შემდეგ ახალი სპეციალისტი ხდება კომპანიის მუდმივი შტატის წევრი – სამუდამოდ, პენსიაში გასვლამდე, პენსიაში გასვლის უფლება აქვთ 55 წლიდან (სავალდებულო საპენსიო ასაკი 60 წელია). ხშირ შემთხვევაში პენსიები გაიცემა არა ყოველთვიურად, როგორც ჩვენთან, არამედ ერთბაშად გაიცემა 5-6 წლის თანხა, რაც საშუალებას აძლევს პენსიონერებს იცხოვრონ ამ თანხის პროცენტებზე საკუთარი მოთხოვნილებების დონის დაბლა დაწევის გარეშე. საერთაშორისო სავალუტო ფონდის შეფასებით სახელმწიფოს ხარჯები პენსიების გაცემასთან დაკავშირებით 2025 წლისათვის გაიზრდება 3-ჯერ, სამ მომუშავეზე მოვა ერთი პენსიონერი.

ცნობილი იაპონელი მენეჯერი სატორუ ტაკაიანაგი ნაშრომში "შრომითი რესურსების მართვის იაპონური სისტემა" აღნიშნავს, რომ "მუშაკთა სამუდამო დაქირავების სისტემა განპირობებული არის იაპონური კორპორაციების პერსონალის მართვის სტრატეგიით და არა სპეციფიკური იაპონური წესჩვეულებებით". მეიძის ერის დასაწყისში (1868) სულ რამოდენიმე კვალიფიციური მუშა იყო მზად ტექნიკური სამუშაოების შესასრულებლად. სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშები გადადიოდნენ ერთი კომპანიიდან მეორეში უფრო დიდი ხელფასის გამო. კვალიფიცირებული შრომის დეფიციტის გამო, ზოგიერთმა მსხვილმა სამრეწველო კომპანიამ – "Mitsubishi Shipbuilding"-მა – ჩამოაყალიბა სკოლა, რათა ახალგაზრდებს მიეღოთ შესაბამისი კვალიფიკაცია. სწავლის მთელ ხარჯებს იხდიდა კომპანია. მაგარამ კვალიფიციური კადრების დეფიციტის გამო ბევრ მუშას, განათლების მიღების შემდეგ უჩნდებოდა სურვილი გადასულიყო სხვა კომპანიაში უფრო დიდი ხელფასის მიღების მიზნით. მომზადებული კვალიფიცირებული კადრების შენარჩუნების მიზნით მიღებული იყო მუშაკთა სამუდამო დაქირავების სისტემა და სამუშაო სტაჟის მიხედვით ხელფასის დანიშვნის სისტემა. სხვა კომპანიაში გადასვლა ნიშნავდა სამომავლოდ ყველა

უპირატესობის დაკარგვას. ამ სისტემის შემოღების შემდეგ კომპანიებმა უმოკლეს დროში გადაჭრეს მაღალი შრომითი დანაკარგების პრობლემა. მაგრამ შემდგომში შრომითი დანაკარგები გაიზარდა სამუდამოდ დაქირავებული მუშაკებისათვის ხელფასების გაზრდამ. ამ პრობლემის გადაწყვეტა მოხერხდა მრეწველობის სწრაფი ზრდის წყალობით (სწრაფმა სამრეწველო ზრდამ მოითხოვა დიდი რაოდენობით ახალგაზრდის დაქირავება). ამგვარად შემცირდა დაქირავებულთა საშუალო ასაკი და შესაბამისად შემცირდა შრომის ანაზღაურების დანაკარგები.

სამუშაო სტაჟის მიხედვით ხელფასის დანიშვნის სისტემის პირობებში შრომის ანაზღაურების დანაკარგების დაბალი დონის შესანარჩუნებლად საჭიროა, რომ ახალგაზრდების რაოდენობა პრევალირებდეს უფროსი თაობის წარმომადგენლების რაოდენობაზე (იაპონური ფირმები იშვიათად ქირაობენ ხანდაზმულ ადამიანებს, ვინაიდან ეს ეწინააღმდეგება ამ სისტემის პრინციპს).

როგორც ვნახეთ ხელფასი იაპონიაში, უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება შრომითი სტაჟის მიხედვით. უფროსი ასაკის წარმომადგენლები იღებენ უფრო დიდ ხელფასს უნარის ან შრომითი ვალდებულებების შესრულებისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ ამ რამოდენიმე ხნის წინ იაპონურმა კომპანიებმა შემოიღეს ეგრეთ წოდებული ეფექტიანი ხელფასის სისტემა, ანუ შრომითი კვალიფიკაციის შესატყვისი ხელფასის სისტემა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად: 1980 წლისათვის კომპანიების 13,8% თავიანთი თანამშრომლებისათვის ხელფასს აწესებდნენ მხოლოდ უნარისა და შრომის შედეგების მიხედვით; 80,6% – შრომის შედეგებისა და შრომითი სტაჟის მიხედვით; 5,6% – შრომითი სტაჟის მიხედვით.

ხელფასი იაპონიაში შედგება რამოდენიმე კომპონენტისაგან: ყოველთვიური საბაზო ხელფასი, დანამატები, პრემიები, ბონუსები, რომელთა ოდენობა მერყეობს ძირითადი ხელფასის 10 დან 50%-მდე. წელიწადში ორჯერ ბონუსი, როგორც წესი, გაიცემა როგორც ჯილდო როდესაც კომპანია იღებს დიდ მოგებას და მისი ოდენობა როგორც წესი რამოდენიმეჯერ აღემატება ყოველთვიურ ხელფასს. ბონუსის თანხა განისაზღვრება შრომითი კონტრაქტით და იაპონელი მუშები მას განიხილავენ, როგორც ხელფასის ნაწილს. პრემიები გაიცემა ორჯერ: ზაფხულში და საახალწლოდ (პრემიის განაწილება ხდება სტაჟისა და ასაკის მიხედვით. მაგალითად 1988

წლისათვის რიგ კომპანიებში 35 წლის თანამშრომლების საზაფხულო პრემია 13-ჯერ უფრო მეტი იყო ვიდრე 22 წლის თანამშრომლებს). ყველა ეს სახელფასო დანამატები მოწოდებულია აამაღლოს შრომის ნაყოფიერება, შრომითი დისციპლინა და უფროსისადმი მორჩილება. გარდა ამისა ხდება მნიშვნელოვანი სარეზერვო ფონდის ფორმირება, რომელიც საშუალებას იძლევა მოხდეს ფირმაში წარმოქმნილი ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების კომპენსირება და მიესადაგება კონკურენტულ ცვლილებებს.

სამსახურეობრივი წინსვლა დამოკიდებული არის კომპანიაში ნამსახურები წლების (ზოგჯერ ასაკზეც) რაოდენობაზე. მეორე მსოფლიო ომამდე ხდებოდა, საუნივერსიტეტო განათლების მქონე სახელმწიფო მოსამსახურეებისა და მსხვილი კორპორაციების თანამშრომლების ავტომატური დაწინაურება ასაკის მიხედვით. დღეისათვის სიტუაცა შეცვლილია. სამსახურებრივი წინსვლა ხდება როგორც სამსახურეობრივი სტაჟის, ასევე უნარისა და სამსახურეობრივი მოვალეობის შერულების გათვალისწინებით. მოსამსახურის ხელფასი იზრდება ყოველ წელს, მაგრამ სამსახურეობრივი წინსვლა აღარ ხდება ავტომატურად. მართვის უმაღლეს ეშელონში მოხვედრისათვის მოსამსახურემ უნდა გამოავლინოს ნიჭიერება და კარგად შეასრულოს თავისი მოვალეობები. თუმცა კიდევ დიდია სამსახურეობრივი წინსვლის დამოკიდებულება შრომით სტაჟზე. გარკვეულ ასაკამდე, ახალგაზრდა ადამიანი ვერ დაიკავებს მაღალ თანამდებობას. მსხვილ კორპორაციებში უმცროსი ადმინისტრატორის თანამდებობის დაკავებისათვის საჭიროა 30 წლის ასაკი, ხოლო უფროსი ადმინისტრატორისათვის – 35 წელი.

სამსახურებრივი წინსვლის ამ სისტემის კარგ ილუსტრაციას იძლევა იაპონიის კერძო უვნივერსიტეტების პრაქტიკა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ ადამიანი შეიძლება მიიღონ სამსახურში პროფესორის ასისტენტად, და მხოლოდ 2 წლის შემდეგ იგი შეიძლება აირჩიონ დოცენტად. 6 წლის სამსახურის შემდეგ დოცენტი შეიძლება გახდეს პროფესორი. მაგრამ თუ ის თავის მოვალეობებს ასრულებს არც თუ ისე კარგად, მისი დაწინაურება გადაიდება. ამგვარად, გარკვეულ ჩარჩოებში სამსახურეობრივი წინსვლა დამოკიდებულია ნიჭიერებასა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებაზე, მაგარამ თავისი არსით იგი დამოკიდებული არის შრომით სტაჟზე. ახალგაზრდა ასისტენტი, ნობელის პრემიის ლაურეატიც რომ გახდეს, ვერ გახდება პროფესორი 8 წლიანი სამსახურის სტაჟის გარეშე.

იაპონურ კორპორაციებს მიაჩნიათ, რომ სამსახურეობრივი წინსვლის თანამედროვე სისტემა, დაფუძნებული შრომითი სტაჟისა და მოვალეობების წარმატებითი შესრულების შეხამებაზე, წარმოადგენს კომპანიის მიზნების მიღწევის საუკეთესო საშუალებას იაპონიის სოციალურ კლიმატში.

სამუდამოდ დაქირავებული თანამშრომელი დაზღვეულია უმუშევრობისაგან, ვინაიდან ნებისმიერ სიტუაციაში შეუძლებელია მისი სამსახურიდან განთავისუფლება (ფირმის გაკოტრების გარდა), იღებს მაღალ და მუდმივად მზარდ ხელფასს, სარგებლობს შეღავათებითა და უპირატესობებით (სამუშაო ადგილამდე მგზავრობის ანაზღაურება, მკურნალობის ხარჯების დიდი ნაწილის ანაზღაურება, ფირმის სპორტული დარბაზებითა და პანსიონატებით სარგებლობა, სტაჟირება საზღვარგარეთ და სხვა).

ბინის ყიდვისათვის მათ ეძლევათ შეღავათიანი სესხი (კომპანია იღებს კრედიტს ბანკიდან და სთავაზობს თავის თანამშრომლებს შეღავათიან პირობებზე, როგორც წესი არა უმეტეს 4-6%). სახლები თანამშრომლებისათვის, როგორც წესი, შეიძინება ერთ საცხოვრებელ რაიონში, რაც ხელს უწყობს ოჯახებს შორის მეგობრული კონტაქტებისა დამყარებას, მუდმივ შეხვედრებს არასამუშაო პირობებში. სხვა კომპანიაში გადასული პიროვნება კარგავს ყველა პრივილეგიას და ახალ ადგილზე ყველაფერს იწყებს თავიდან.

იაპონური საზოგადოების დაბერება [იაპონური საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებამ გამოიწვია სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა, იგი მსოფლიოში ყველაზე მაღალია: მამაკაცებისათვის – 75,2 წელი, ხოლო ქალებისათვის – 80,8, შობადობის დაბალი კოეფიციენტი – 1,8%] აიძულებს მენეჯერებს დაფიქრდნენ ინდივიდუალური სამუდამოდ დაქირავების სისტემის მოდიფიცირებაზე, სულ უფრო ხშირად იყენებენ შრომითი ურთიერთობების ახალ ფორმებს: დროებითი დაქირავება, ხანმოკლე დაქირავება სეზონურ, საავარიო ან დამხმარე სამუშაოებზე ("არბაიტოს" სისტემა), არასრული კვირით დაქირავება და სხვა.

**ლიტერატურა**

**References:**

1. პოლიტიკა. კვინტესენცია. თბილისი, 1999

2. ოთარ ქოჩორაძე. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ESM ბიზნესის სკოლა. 2009 წელი.

3."http://ka.wikiquote.org/wiki/%E1%83%91%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9C_%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98"-დან.
4.«http://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A2%D0%B0%D1%82%D1%8D%D0%B8%D1%81%D0%B8,_%D0%9A%D0%B0%D0%B4%D0%B7%D1%83%D0%BC%D0%B0»
5. Кадзума Татеис. Вечный дух предпринимательства. Практическая философия бизнесмена. - М., 1990
6. http://www.omron.com/about/corporate/history/founder/06.html
7. Вахрушев В., Принципы японского управления. - М: ФОЗБ ,1992.
8. Каору И. , Японские методы управления качеством. - М: Экономика, 1988.
9. «Как работают японские предприятия» // под. Редакцией И.Каору. - М: Экономика, 1989.
10. Оучи У. Методы организации производства: японский и американский подходы. М.: Наука, 1993.
11. Пронников В.А., Ладанов Н.Д. Управление персоналом в Японии: Очерки. — М.: Наука, 1989.

**Otar Kochoradze, Georgi Gamkhrelidze, Georgi Eradze,**
**David Kiknadze, Nino Shamanadze , Karlo Sherazadishvili**
**Philosophy of Japanese management**

## Summary

Management systems have a big meaning for Japanese. They have deep concerns about proper management for the country's progress and prosperity and that's why they are demonstrating a great responsibility for the ruling activities. An illustrative example of this is the founder of one of the successive Japanese corporation Mr. Matsushita Konosuke (1894-1989), who's personal characteristics and ruling ideology clearly shows the specifics of Japanese management style. He thought that the main purpose of his activities was to support the progress of society and the personal characters of manager as fairness, integrity, aspiration for perfection and so on are the necessary components for the above mentioned goal.

One of the important indispensable conditions for Japanese success and fast growth is their cultural heredities and traditions, which has a great impact for rising of country's economical and other activities. But these are only one side, because most important is the Japanese selfless effort to redesign their cultural values under the modern tendencies. They afford the faith in values such are the labor and the role of each person's share in the

country's success. Japanese used the experience of foreign countries very actively and shared it in the model of their country. This is the specific character of Japanese, to make a balance between their traditions, self-identifying values and achievements of other countries and make this blend effective.

Japanese society seems to be founded more on collective principles rather than Western countries. They are trying to afford common goals through collective work when the Western civilization pays more attention to the individuals.

Management subjects as job evaluation, motivation and job description are on the high levels of people's attention in Japan which is great factor for the labors stabile and effective work. Japanese are paying great attention to the education and keeping the qualified personnel. Selection of personnel is a long process, which starts in educational schools and continues with many non-formal meetings. This process gives the possibilities to underline specific job oriented personnel. After selection, chosen person gains absolute rights as perpetual job holding principle, payment in due of length of service, etc. These principles are used because of stabile development and for the reducing personnel's fluctuation.

**Keywords:** Philosophy of management, Matsushita Konosuke, Tateishi Kazuma, Takaianagi Satoru.

**Reviewer**: Professor Giorgi Bagaturia , Georgian Technical University

**Кочорадзе Отар Георгиевич, Гамкрелидзе Георгий Гелаевич ,**
**Ерадзе Георгий  Гиаевич, Кикнадзе Давид Важаевич,**
**Шаманадзе Нино Бадриевна, Шеразадишвили Карло Давидович,**
**Философия японского менеджмента**

## Резюме

В 1966 году между компанией «Мацушита» и компанией «Филипс» был заключен беспрецедентный договор, согласно которому компания «Мацушита» принимала дополнительные перечисления за оказанные услуги – за передачу опыта управления.

По мнению Мацушита Коносуке, основой для подготовки высококвалифицированных управленческих кадров является ориентация каждого сотрудника на кредо фирмы, которое основывается на 7 основных принципах: вклад в общественное развитие; справедливость и честность; сотрудничество и коллективизм;

неустанные усилия в достижении совершенства; любезность и скромность; адаптация; благодарность.

Философия менеджмента по Татеиши Кадзума основывается: на 4 характеризующих идеального рабочего места: привлекательность, талантливые коллеги, удовлетворение вкуса покупателя, награждение труда и усердия; на 3 линиях менеджмента: изучение спроса покупателя, оценка достоинства каждого работника, поощрение соревнования; на 3 кратковременные цели: восстановление структуры прибыли, создание соответствующей запросам нового общества инфраструктуры, оживление корпоративности организации; на 5 оперативных принципах: определение всех действий по краткосрочным и долгосрочным планам, ориентация на приоритеты, реальные сроки операций, тотальная оптимизация, взаимоотношения на принципах честности и скромности.

В философии менеджмента Татеиши Кадзума большое внимание уделяется трем К-технологиям: компьютер, коммуникация, контроль.

Одной из характерных особенностей для японской философии менеджмента является система бессрочного найма работников.

Известный японский менеджер Такаянаги Сатору в труде «Японская система управления трудовых ресурсов» отмечает, что «система бессрочного найма работников обусловлена стратегией управления персоналом японских корпораций, а не специфичностью японских обрядов». Компания «Mitsubishi Shipbuilding» основала школу, чтобы молодежь получала соответствующую квалификацию. Траты на обучение покрывала компания. С целью удержания подготовленных квалифицированных кадров была введена система бессрочного найма работников и система назначения зарплаты по трудовому стажу. После введения этой системы компании в кратчайший срок решили проблему высоких трудовых затрат.

Несмотря на недостаточность сырья и других стратегических ресурсов, развитие Японии было обусловлено умной организацией труда и высоким уровнем исполнительской дисциплины. «Синтез японского духа и западных технологий породил японское чудо», которое страну восходящего солнца превратило в одну из ведущих государств современного мира. Как раз они создали основу для молниеносного экономического подъема Японии.

**Ключевые слова:** Философия менеджмента, Мацушита Коносуке, Татеиши Кадзума, Такаянаги Сатору.

**Рецензент:** профессор Багатуриа Георгий Шотаевич, Грузинский технический университет

**თეა ხაჩიძე**

# სოციუმისა და ხელისუფლების ურთიერთობის ასპექტები

*„ადამიანები განუწყვეტლივ იმყოფებიან ძალაუფლების მოქმედების ქვეშ და ამავე დროს თვითონაც ახორციელებენ მას“*

*მიშელ ფუკო.*

დაცულ სამეცნიერო ლიტერატურაში სოციუმისა და ხელისუფლების ურთიერთობის ასპექტების შესახებ არაერთი ღირებული ნაშრომი არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, ამ პრობლემის მთელი რიგი საკითხები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. ჩვენს მოხსენებას აღნიშნული პრობლემების ყოველმხრივი შესწავლის პრეტენზია სრულიად არა აქვს, ჩემი მიზანია ზოგიერთ ასპექტზე ჩემეული ხედვა გაგიზიაროთ.

ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ სოციუმი ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოზე და პირიქით, სახელმწიფო ოპერირებს სოციუმზე.

ადამიანთა ერთობლიობას, სოციუმს საკუთარი მოთხოვნილებები და სურვილები გააჩნია, რომლის რეალიზებასაც ის სახელმწიფოსაგან ცდილობს. სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს თითოეულ მოქალაქეზე და ეს მისი საქმიანობის უმთავრეს მიზანსაც შეადგენს.

ხშირად სოციუმსა და სახელმწიფოს შორის ხდება უთანხმოება და კონფლიქტი, რისი მთავარი გამომწვევი მიზეზიც ე.წ. „ყურის არ დაგდებაა“ ანუ სახელმწიფოსაგან სოციუმის ინტერესებისა და მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობაა. როგორია სოციუმსა და სახელმწიფოს ურთიერთ ზეგავლენის ასპექტები, რომელიც წინამდებარე ნაშრომის მიზანს შეადგენს.

სოციუმი წარმოადგენს მასას, რომელსაც აკლია დამაჯერებლობა და პრინციპულობა. დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირების ძირითად საყრდენს საზოგადოება წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი სურვილისამებრ ირჩევს წარმომადგენელს, რომელმაც ის უნდა მართოს. დემოკრატიული პრინციპის გათვალისწინებით ეს არის მმართველისა და მასზე დაქვემდებარებული თანასწორუფლებიანი სოციუმის

ურთიერთობა, რადგან ქვემდგომი ირჩევს მმართველს და ეს უკანასკნელი ქვემდგომის ნება-სურვილს გამოხატავს, თუ საკითხს წმინდა თეორიული პოზიციიდან შევხედავთ დავასკვნით, რომ სოციუმი უპირობო ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოზე. ეს რომ მართლაც ასე არ იყოს სახელმწიფო განვითარების გარკვეულ ეტაპზე დაიშლება, თუმცა ეს ფაქტი არ გულისხმობს დემოკრატიული პრინციპის უგულვებელყოფას, რომ სოციუმი ზეგავლენას არ უნდა ახდენდეს სახელმწიფოზე, პირიქით, ეს უნდა იყოს ფარდობითი და თანასწორი, რის შედეგადაც გადაწყვეტილებებისა და შედეგების მიღება წარმატებულია.

როგორ ხდება სოციუმის სახელმწიფო სტრუქტურებზე ზეგავლენა? ამის საილუსტრაციოდ, შეგვიძლია მოვიყვანოთ მიტინგები და გაფიცვები, რომლებიც ოპოზიციის ლოზუნგით გამოდიან, საბაბი ყოველთვის არის უკმაყოფილება გარკვეულ საკითხთან ან საკითხებთან დაკავშირებით, რომლებსაც აპროტესტებენ, და ვთქვათ ასეთია შვიდი. სახელმწიფო, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ვალდებულია და ამავე დროს იძულებულია წავიდეს დათმობასა და მოლაპარაკებაზე უთანხმოებაში მყოფ ხალხთან, რათა დაძაბული სიტუაცია არ გადაიზარდოს კონფლიქტში და დაიწყოს მოლაპარაკება. მოლაპარაკება ხანგრძლივი და მშვიდობიანი პროცესია. დაპირისპირებული მხარეები მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი მიზნების მიღწევას. ამ ვითარებაში ოპოზიცია განიცდის დროის სიმცირეს, რადგან სოციუმს აღმგზნებად მდგომარეობაში ყოფნა დიდხანს არ ძალუძს, ადამიანთა გარკვეული ნაწილი ვერ ითბენს ქუჩაში ყოფნას, სიცივეს, შიმშილის, უძილობას და ა.შ. გონიერი სახელმწიფო ამ გარკვეულ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ იყენებს, კონკრეტულად კი, აჭიანურებს მოლაპარაკებას. თავდაპირველად, სახელმწიფო მზადაა შეასრულოს წამოყენებული ყველა პირობა, მხოლოდ ითხოვს დროს და საკითხის ღრმა ანალიზს, სოციუმის მიერ წამოჭრილი საკითხებიდან ის ირჩევს რამდენიმე, ნაკლებად პრინციპულს და სახელმწიფოს მართვისთვის ნაკლებად საზიანოს და ახდენს მის შესრულებას. სოციუმი და ოპოზიციის სუსტი ნებისყოფის მქონე ლიდერები პირველსავე „ხაფანგში ებმებიან“. ორი-სამი უმნიშვნელო საკითხის შესრულება უკვე ხდება მიზეზი ოპოზიციის ლოზუნგით გაერთიანებული მასის დაშლისა, ამის

საილუსტრაციოდ 2009 წლის გაზაფხულზე მიმდინარე მიტინგიც თვალსაჩინოა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციუმისა და მის მიერვე არჩეული დემოკრატიული სახელმწიფოს ზეგავლენის ასპექტი საკმაოდ განსხვავებულია. სოციუმი უპირობოდ კი არ მოქმედებს სახელმწიფოზე, არამედ პირიქით სახელმწიფო უპირობოდ ზემოქმედებს სოციუმზე და ილუზია იმისა, რომ დემოკრატია სრულ თანასწორუფლებიანობას ნიშნავს, უბრალოდ თვალისასახვევად დაგებული ფარსია, თუმცა ეს არ არის უკიდურესობა იმისა, რომ სოციუმი არ ახდენს ზეგავლენას სახელმწიფოზე, ახდენს, მაგრამ პროცენტულად ძალზე მცირე რაოდენობით გამოიხატება სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესებითა და ნორმების სახით, ხოლო ყველაზე მაღალ მაჩვენებლად არჩევნები შეიძლება მივიჩნიოთ, სადაც სოციუმის ზეგავლენა სახელმწიფოზე უპირობოა, ხოლო უკვე არჩეული სახელმწიფო მმართველებისა სოციუმზე უფრო მეტად დიდი. ამ ფაქტორს ერის ფსიქო - სოციალური მენტალობაც უწყობს ხელს.

ის რომ სახელმწიფო უფრო დიდ ზეგავლენას უნდა ახდენდეს სოციუმზე ავტორიტარიზმის ქადაგება სულაც არაა. სახელმწიფო ხომ სოციუმის განვითარების რეგულატორად გვევლინება. სახელმწიფოს მარეგულირებელი როლი ჩნდება სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად და მისი ლიკვიდაცია შეუძლებელია.

ცნობილი ავსტრიელი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტოლოგი კონფლიქტების მოგვარების დარეგულირების საქმეში ჯონ ბარტონი, რომელიც სოციალური მოძღვრების ძირეულ ადამიანურ მოთხოვნილებათა თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია, აღნიშნავს, რომ თუკი ძირეული ადამიანური მოთხოვნილებანი არა არის დაკმაყოფილებული, მაშინ საზოგადოება ყოველთვის დგას ძალადობრივი კონფლიქტის საშიშროების წინაშე. ძალზე საინტერესოა ბარტონისეული პრიზმით კონფლიქტის შეფასება სოციუმსა და ხელისუფლებას შორის, თუ რამდენად არის დაკმაყოფილებული ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილის მატერიალური, ფსიქო-სოციალური მოთხოვნილებანი, ხდება თუ არა გარკვეული სამთავრობო თუ კორპორატიული ჯგუფების მიერ იმის გააზრება, რომ ამ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობამ შეიძლება მიგვიყვანოს სოციალურ და მასიურ ძალადობის კატასტროფამდე. აღსანიშნავია, რომ ყველა საშინაო

კონფლიქტი შეიძლება მოგვარებულ იქნას ცენტრალური ხელისუფლების მიერ მშვიდობიანად.

ზოგადად თუ ვიმსჯელებთ, შიდა კონფლიქტის თავიდან აცილება, ხდება მისი დათრგუნვით დროის შეზღუდულ მონაკვეთში. მსოფლიოში კონფლიქტების უმრავლესობა შიდა ხასიათისაა, რომლებიც ხშირად გამოდიან საერთაშორისო ურთიერთობებში. საერთოდ კი, ძალაზე დამყარებული პოლიტიკური რეალიზმი ქცევითი რეალიზმის უკუპროპორციულია და ამას ცხადყოფს მაიკლ ბანქსის სტატია „საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინა: კონფლიქტების მოგვარების მომგებიანობა თუ წამგებიანობა“, სადაც საუბარია იმაზე, რომ ადამიანის უფლებებზე დაყრდნობილი პოლიტიკის რაციონალიზაცია, რომელიც მოხერხებულად მორგებულია იმაზე, რომ მოხდეს არსებული კულტურისა და ინსტიტუტების შენარჩუნება, ვერ შეძლებს ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობის თავიდან აცილებას. მართალია, სოციუმის გარკვეულ ნაწილს გავლილი აქვს კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის ეტაპები, მაგრამ საზოგადოებები ჯერ არ არიან მზად იმისთვის, რომ გამოიყენონ ძალაუფლების ჩავარდნის ეს გაკვეთილები საკუთარი საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად. უფრო დიდ პრობლემას კორუმპირებულ ლიდერებთან ვაწყდებით, რომელთაგან მოსახლეობას კონსტიტუციური დაცვის მექანიზმების სჭირდება და ეს მექანიზმი ლიდერის და წამყვანი ძალების ძალაუფლების შეზღუდვაშია.

საერთოდ კი, ჩვენ უნდა გავამახვილოთ ყურადღება სოციუმზე, უნდა გამოვყოთ მისგან პოლიტიკა და შემდეგ გადავინაცვლოთ ამ უკანასკნელის გამოყენებაზე. უთანხმოება რომელიც სოციუმსა და ხელისუფლებას შორის არსებობს შემდეგნაირად მოვაგვაროთ: უნდა მოხდეს წამოჭრილი საკითხების ზედმიწევნითი ანალიზი, შემდეგ უნდა მოხდეს დაპირისპირებული მხარეების ისეთ გარემოში შეხვედრა, სადაც მათი პრობლემები სიღრმისეულად და არა ზერელედ იქნება განხილული, ხოლო როდესაც მხარეებს შორის მოხდება შეთანხმება პრობლემის განსაზღვრაზე და სრული აღრიცხვა იმ დანაკარგებისა, რომლებიც მოჰყვა ადამიანური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას, უკვე ამის შემდეგ შეიძლება დაიწყოს პოზიტიური ალტერნატივების გამოყენება. უნდა აღინიშნოს ერთი რამ ხელისუფლების მიმართ, რომ ცალკეული უთანხმოების მოგვარება არ ახდენს ავტომატურად

მომდევნო დაპირისპირების თავიდან არიდებას. ბარტონისეული თანამშრომლობითი ურთიერთობა კი ყველაზე პოზიტიური გზაა უთანხმოების პრევენციისათვის, პრევენცია კი საჭიროა და მიესადაგება ნებისმიერ სისტემას და მისი ზუსტად გამოყენება დიდი ფილოსოფიაა.

საინტერესო იქნებოდა ჰენრი კისინჯერის „მაქოს დიპლომატიის“ გამოყენება შიდა უთანხმოების, კერძოდ, კი სოციუმსა და ხელისუფლების ურთიერთობების ასპექტის დარეგულირებისას და ამ მხრივ ის წარმატებული ორივე მათგანისთვის იქნება.

დემოკრატიის ცნება, როგორც სერიოზული პოლიტიკური კონცეფცია, ზოგჯერ ძალიან ბუნდოვანია. ის სხვადასხვა მნიშვნელობებს აიგივებს. მასში ჩადებულია მნიშვნელობები – მასების ძალაუფლებიდან დაწყებული მმართველობის ფორმებით დამთავრებული. დემოკრატიის სხვადასხვა მოდელში სოციუმისა და ხელისუფლების ზეგავლენის ფაქტორები სხვადასხვაგვარია.

კლასიკური დემოკრატია დაფუძნებულია სახალხო თვითმართველობის პრინციპზე, სადაც მნიშვნელოვანია მოქალაქეთა პოლიტიკური აქტივობა. ერთი შეხედვით ამ იდეალურ კლასიკურ დემოკრატიას კრიტიკოსები ჰყავდა და მათ შორის ფილოსოფოსი პლატონი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ძალაუფლება მეფე-ფილოსოფოსების ხელთ უნდა ყოფილიყო. **[1,62]**. კლასიკური ანუ ათენური დემოკრატია ბოლომდე მაინც არ ანიჭებდა ყველა მოქალაქეს საზოგადო საკითხში ხმის მიცემის უფლებას და ამ ჯგუფში შედიოდნენ: მონები, ქალები და უცხოელები. პროტექტული დემოკრატია გამომდინარეობს თავისუფლების ინდივიდუალური გაგებიდან, კლასიკური დემოკრატიისაგან განსხვავებით, რომელიც მოიაზრებს სოციუმის პოლიტიკურ ცხოვრებაში მუდმივ ჩართვას, პროტექტულ დემოკრატიას მიაჩნია, რომ ის არის საშუალება, რომლის ძალითაც სოციუმმა უნდა მოთოკოს ხელისუფლება, ანუ იკისროს მაკონტროლებელი როლი. ეს კი მას საშუალებას აძლევს იცხოვროს ისე, როგორც სურს, ინდივიდმა უნდა მოახდინოს თავისი სოციალური და ეკონომიკური გარემოს სტაბილიზება. თუკი პროტექტორული დემოკრატიის პრინციპებს ღრმად გავიაზრებთ, გარკვეულ საფეხურზე ის უფრო იდეალისტური მოგვეჩვენება, რადგან სოციუმის სრული მაკონტროლებელი სადავეების ხელში აღება, ვფიქრობ, წარმატებულ სახელმწიფოდ ვერ აქცევს ქვეყანას. სახალხო

დემოკრატია, რომლის უმთავრესი ამოსავალი წერტილია კლასებს შორის ურთიერთობა სათავეს იღებს ორთოდოქსალური საბჭოთა რეჟიმიდან.**[3, 66]**. სინამდვილეში კი ის არის კლასებს შორის არსებული ურთიერთობების დამახინჯებული ფორმების დამამკვიდრებელი და ავტორიტარული სახელმწიფოს მოსამზადებელი პერიოდი, სადაც მნიშვნელოვანია არა სოციუმის წევრებს შორის ურთიერთობა, არამედ მათზე გაბატონება ძალისმიერი მეთოდით, რომელიც პირველად ძმობისა და მეგობრობის სახელით შეინიღბა. უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია, დემოკრატიის პრაქტიკაში არსებობის ელემენტების განხილვა სოციუმისა და ხელისუფლების ურთიერთობების მაგალითზე. როგორც აღიარებულია, სამეცნიერო ლიტერატურაში, ლიბერალური დემოკრატია რეგულარულ არჩევნებზეა დაფუძნებული **[2, 71]**. საინტერესოა ვილფრედო პარეტოს მიერ შემუშავებული მმართველის ორი ტიპი, რომლებსაც მართვის უნარი გააჩნიათ: - „მელიები", რომლებიც მართავენ ეშმაკობით და „ლომები", რომლებიც მიზანს ძალადობითა და იძულებით აღწევენ. სხვაგვარი მიდგომა აქვს ამ საკითხისადმი რობერტ მიშელს, რომელიც ამბობს, რომ ნებისმიერი ორგანიზაცია, როგორი დემოკრატიულიც არ უნდა იყოს ის, მასში ხდება ხელისუფლების კონცენტრაცია ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ, რომლებსაც გადაწყვეტილებების მიღების, დომინირების და ორგანიზაციის ნიჭი აქვთ, სხვათა საწინააღმდეგოდ **[4,68]**. საინტერესოა „ახალი მემარჯვენეების" წარმოდგენა დემოკრატიაზე. მათი აზრით, დემოკრატია შოკოლადს ჰგავს, რომელიც ბავშვების მოსატყუებლადაა ხშირად განკუთვნილი, მცირე რაოდენობით იგი უვნებელია, დიდი რაოდენობით კი დამანგრეველი. ამიტომ „ახალი მემარჯვენეები" დემოკრატიაში სოციალური გარდაქმნების ძალას კი არ ხედავენ, არამედ ხელისუფლების შეზღუდვის საშუალებას.

ლიბერალური და გამართლებული მინი მოდელი სოციუმისა და ხელისუფლების ურთიერთობისა და ზეგავლენის შესახებ იქნება, თუ ისინი ურთიერთზე მოიპოვებენ ბატონობას არა ღია ძალდატანებით, არამედ იდეოლოგიური მანიპულაციებით.

მნიშვნელოვანია ლიდერის როლი ხელისუფლებაში, მათგან მომდინარე ტალღებს დიდი ზეგავლენა აქვს სოციუმზე, რომელსაც ა. ტოინბი „პროლეტარიატს", ხოლო ორტეგა ი გასეტი „მასებად" მოიხსენიებს, მათ არ შეუძლიათ თავად მიაგნონ და აღმოაჩინონ ოპტიმალური მართვის გზები, არ აქვთ

ამის უნარი, რასაც ქმნის სწორედ ხელისუფლების ელიტა. სოციუმი ცენტრისკენულია, ის ცენტრის გარშემოა ლოკალიზებული. ა.ჯ. ტოინბის „გამოწვევა-პასუხის" თეორიის მიხედვით სოციუმის წარმოშობა-განვითარებაზე დადებით როლს წარმოადგენს „გამოწვევა", რომელიც მომდინარეობს ბუნებრივი და ადამიანური გარემოდან. ეს გამოწვევა მისი აზრით უნდა იყოს მკაცრი და მუდმივი, მაგრამ ამავე დროს, მას თან უნდა ახლდეს შემამსუბუქებელი გარემოება, რათა სოციუმი მოექცეს განვითარების „ოქროს შუალედში". საინტერესოა ტოინბის დამოკიდებულება ტერიტორიის მიმართ, იქ სადაც ტერიტორიას არ გააჩნია არანაირი მიმზიდველობა, სახელმწიფოთა და ხალხთა ინტერესები დუნდება, ხოლო ტერიტორიით დაინტერესება მას აყენებს მკაცრი ადამიანური გარემოს „გამოწვევათა" წინაშე, რაც ხდება სტიმული სოციუმის არსებობისა. ამ ფაქტორის გათვალისწინებით თუ ვიმსჯელებთ საქართველო ტერიტორიულად მუდმივი დაინტერესების ობიექტს შეადგენს, ხოლო სოციუმის განვითარება ჯერ კიდევ არ არის იმ ძალისა, რომ მან შეძლოს როგორც განვითარებულმა საზოგადოება მართოს ხელისუფლება, ამის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ სამოქალაქო საზოგადოების არარსებობა. როდესაც ქვეყანაში ჩამოყალიბდება შეგნებული სამოქალაქო სოციუმი, მხოლოდ მაშინ მოხდება დემოკრატიული პრინციპით ურთიერთზეგავლენის ფაქტორები ლიბერალური.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ ვიდრე ვინმეს მართვას მოვინდომებთ, ჯერ მისი მორჩილება უნდა შევძლოთ, კონკრეტულად კი, თუ სახელმწიფოს სურს მართოს ხალხი, ჯერ მათი მორჩილება უნდა შეძლოს და პირიქით. ეს მეთოდი, ჩემი აზრით, დიპლომატიური ხელოვნებაა პრაქტიკაში გამოყენებული.

**ლიტერატურა**

**References:**

1. daviT gegeWkori – henri kisinjeri. quTaisis saxelmwifo universitetis gamomcemloba. 2002 weli. . (Georgian)

2. politologia (politikuri Teoria da praqtika) endriu heivudis mixedviT. gamomcemloba `basiani~, Tbilisi 2010 weli. . (Georgian)

3. http: //www.iccn.org.ge/old- iccn/pt1.html#2 konfliqtologiis centris axali wamowyebis Sesaxeb omi da mSvidoba jon bartonis mixedviT – konfliqtebis mogvareba, rogorc politikuri filosofia (jon bartoni) – giorgi xuciSvili. 2001 weli. . (Georgian)

4. Jurnali `civilizaciuri Ziebani~ #1 Tbilisi 2003 weli – ivane wereTeli a.j. toinbis `gamowveva-pasuxis~ Teoria da saqarTvelos kulturul-istoriuli ganviTarebis zogierTi problema. . (Georgian)

**Tea Khachidze**

**Aspects of Relationship between the Society and the Government**

### Summary

Aspects of relationship between the society and the government are discussed in the Article. There are a lot of valuable works on the issue in scientific literature, but I think there are a number of issues that have not been properly studied yet. My report is not on complete study of the problems; my aim is to share with you my point of view on some aspects.

There are often disagreements and conflicts between the society and the government. The main sause of it is so called “not to listen to policy or unsatisfaction of the interests and claims of the society by the government. Society is a mass with a lack of credibility and principles. Formation of democratic state is mainly depended on society. relationshipbetween the governor and its subordinated one should be equal according to the principles of democracy. How does the society influence the government? Good example of this is the mass meeting held in Georgia in spring, 2009; and the illusion that democracy means complete aquality is simulation used to blind the mass. But it does not mean that society has no influence on the government at all. Of course, it has influence but very little. The elections may be regarded as a higt indicator of influence of the society on the government. The fact is also supported with the psycho-social mentality of the nation.

The view that the government should have much more influence on the society is not regarded as a preaching of authoritarianism at all. the government is generally regulationg development of the society. The government takes a role of regulator as soon as state starts existence and it is impossible to ignore this fact.

Assessment of conflicts between the government and the society according to the “Theory of Main Human Requirements” by Austrian Political Scientist John Barton is also very interesting.

According to general discussion, internal conflict (society and government) can be avoided by its restriction in a limited period of time. But, usually, political realism based on the power is disproportional of

behavioral realism. Although certain part of society have passed the stages of colonialism and imperialism, societies still are not ready to use lessons learnt from those failure of power for resolving their own internal problems.

Generally, we have to pay attention to the society, distinguish politics from society, and afterwards, think to use politics. The conflicts existing between the society and the government should be settled as follow: first, the aroused issues should be analyzed thoroughly, then proper environment should be chosen for meeting the opposite parties in order to discuss their problems deeply and not superficially. And when the opposite parties come to agreement on the definition of the problem, use of political alternative may be started.

Use of “Shuttle Diplomacy” by Henry Kissinger in regulation of internal conflicts, namely, in aspects of relationship between the society and the government should be very interesting. In this case, it will be useful for both parties.

Existence and discussion of aspects of the relationship between the society and the government are different in Classical Democracy, in Protective Democracy, in Public Democracy, in Liberal Democracy and etc. It must be noted that it is very important to discuss elements of democracy which exist in practice on the example of relationship between the society and the government.

At the end, I want to note that before we wish to govern somebody we should make them obey us. Namely, if the government wishes to govern the people, first they have to make the people obey them and vise versa. This method, to my mind, is the art of diplomacy used in practice.

**Keywords:** Aspect; operation; disagreement; conflict; formation; authoritarianism; regulator; nationalization; conception; orthodox; society; government.

**Reviewer**: Professor Temur Todua, Georgian Technical University

**Хачидзе Теа Нодаревна**

**Аспекты отношений между обществом и правительством**

**Резюме**

В статье обсуждаются аспекты отношений между обществом и правительством. Много ценных трудов по этому вопросу в научной литературе, но я думаю, есть ряд вопросов, которые не были должным образом изучены. Мой доклад не претендует на полное изучение

проблем, моей целью является поделиться с вами моей точки зрения по некоторым аспектам. Часто происходят разногласия и конфликты между обществом и правительством. Основной причиной этого является так называемое «не слушание» политика или неудовлетворенность интересов и требований общества к власти. Общество это масса с отсутствием доверия и принципов. Формирование демократического государства, в основном зависит от общества. Отношений между правительством и подчиненными должны быть ровны в соответствии принципами демократии. Как общество влияет на власть? Хорошим примером этого является массовый митинг в Грузии весной 2009, и иллюзия, что демократия означает полное равенство, это фальс использованная для ослепления массы. Но это не означает, что общество вовсе не имеет никакого влияния на правительство. Конечно, он имеет влияние, но очень мало. Выборы можно считать высоким показателем влияния общества на правительство Психо-социальной ментальности нации также поддерживает этот факт. Мнение, что правительство должно иметь гораздо большее влияние на общество вообще не проповедь авторитаризма. Правительство, как правило, регилирует развитие общества. Правительство принимает роль регулятора, как только государство начинает существование, и игнорирование этого факта невозможно. Оценка конфликтов между правительством и обществом по теории о «Главных Общественных Требованиях» австрийского политолога Джона Бартона тоже очень интересно. В соответствии с общей дискусии, внутренний конфликт (общество и правительство) можно избежать его ограничением в течений ограниченного периода времени. Но, как правило, политический реализм основанный на силы непропорционален поведенческого реализма. Хотя определенная часть общества прошла этапы колониализма и империализма, общества еще не готово к учитованию уроков из тех неуспехов для решения своих внутренних проблем. В целом, мы должны обратить внимание к обшеству, отличать политику от общества, а потом, думаю, исспользовать политику. Конфликты, существующие между обществом и государством должны быть решены следующим образом: во-первых, проблемы должны быть тщательно проанализованны, а затем выбрать подходящую обстановку для встречи противоположных сторон, чтобы обсудить проблемы глубоко. И когда противоположные стороны придут к согласию вопроса об определении проблемы, то можно начать исползование политической альтернативы. Использование «Челночной Дипломатии» Генри Киссинждера в регулировании внутренных конфликтов, а именно в аспекте отношений между обществом и

государством должно быть очень интересно. В этом случае, это будет полезно для обеих сторон. Существование и обсуждение различных аспектов отношений между обществом и правительством различными по классической демократии, по защитных демократии, по общественной демократии по либеральной демократии и т. д. Следует отметить, что очень важно обсудить элементы демократии примененные в практике  на примере отношений меджу обществом и правительством.

В конце, я хочу отметить, что, прежде чем мы захотим управлять кем-либо, мы должны заставить подчиняться нам. А именно, если правительство хочет управлять народом, оно должно сначала заставить себя подчинится ему, и наоборот. По-этому, этот метод является искусством дипломатии использованная на практике.

**Ключевые слова**: Аспект; операция; несогласие; конфликт; обоазование; авторитаризм; регулятор; национализация; концепция; православный; общество; правительство.

**Рецензент:** профессор Тодуа Темур Тариэлович, Грузинский технический  университет

# ი ს ტ ო რ ი ა

**ნანა ავალიანი**

## სირია XXI საუკუნის პირველ ათწლეულში

### სირია საერთაშორისო ასპარეზზე

2003 წელს, მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალა ერაყში შევიდა და სადამ ჰუსეინის რეჟიმი დაამხო, სირია დარწმუნებული იყო, რომ შემდეგი ის იქნებოდა. ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში “მოგზაურობა” წერს, რომ აშშ-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი ერაყში პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის ჩამოგდების შემდეგ გეგმავდა, პირველი დარტყმა სირიაზე მიეტანა, ხოლო სირიის დაპყრობის შემდეგ - ირანზე. ჩეინის აზრით, 11 სექტემბრის შემდეგ მსოფლიო მთლიანად უნდა შეცვლილიყო და ეს ძალის გამოყენებით და გადაუდებლად უნდა მომხდარიყო.

2002-2006 წლებში სირიის რეპუტაცია დასავლეთში ძალზე არასახარბიელო იყო. ამის მიზეზები გახლდათ:

1. ირანთან მოკავშირეობა;
2. ისრაელის წინააღმდეგ ისლამისტური სამხედრო დაჯგუფებების მხარდაჭერა;
3. ერაყიდან გამოქცეული ბაასისტი რენეგატების შეფარება და იქ ამერიკელთა დასახოცად ჯიჰადისტთა შეგზავნა;
4. ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, ძალზე მძიმე მდგომარეობა.

მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც სირია დაადანაშაულეს ლიბანის მეხუთედ არჩეული, ძალზე პოპულარული პრემიერ-მინისტრის, სარკოზის დიდი მეგობრის, რაფიკ ჰარირის მკვლელობაში, რომელიც სირიის დიდი მტერი იყო. საერთაშორისო ზეწოლის შედეგად, სირია, თითქმის ოცდაათწლიანი დომინირების შემდეგ, იძულებული შეიქმნა სამარცხვინოდ დაეტოვებინა ლიბანი.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომელმაც ჯერ კიდევ 2003 წელს დაუწესა სანქციები სირიას, ამ ფაქტის შემდეგ საერთოდ შეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობები სირიასთან. აშშ-მ და მისმა არაბმა მოკავშირეებმა დიდი ტალღა ააგორეს დამასკოს წინააღმდეგ, რომელსაც ბრალს მთელს ახლო აღმოსავლეთში ქაოსისა და ძალადობის დანერგვაში დებდნენ.

**ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა სირიას შინ**

ლტოლვილების ნაკადი ერაყიდან, ასობით ათასობით სირიელი მუშახელის დაბრუნება ლიბანიდან, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა – ყოველივე ეს ეკონომიკის კოლაფსს იწვევდა.

**სირია გამოდის საერთაშორისო იზოლაციიდან**

ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ სირია შესძლებდა მდგომარეობის გამოსწორებას. თუმცა, ყველასათვის მოულოდნელად, სირიამ მოახერხა დაემარცხებინა შინაური მტრები, მინიმუმამდე დაეყვანა საგარეო საფრთხეები, თავი დაეღწია იზოლაციისთვის და აღედგინა თავისი გავლენა მის მეზობელ ლიბანზე და მთლიანად - რეგიონში. ამასთანავე, დღითიდღე იზრდება პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის ავტორიტეტი რეგიონში, რომელსაც (ერთადერთ კანდიდატს) 2007 წელს რეფერენდუმმა პრეზიდენტობის მანდატი მეორე 7-წლიანი ვადით მისცა.

ანალიტიკოსების აზრით, ბაშარ ალ-ასადმა ამ წარმატებებს მიაღწია მას შემდეგ, რაც ერაყის ოკუპაცია ქაოსში გადაიზარდა და ევროპელი და მათი მოკავშირე არაბული ქვეყნების სუნიტი ლიდერები მიხვდნენ სირიის იზოლაციის უაზრობას და შეცვალეს მასთან ურთიერთობის ტაქტიკა. რაც უფრო მეტი იყო ზეწოლა სირიაზე, მით უფრო მეტი არეულობა შეჰქონდა სირიას ერაყსა და ლიბანში და კიდევ უფრო ღრმავდებოდა მისი სიახლოვე ირანთან. ბარაკ ობამას სათავეში მოსვლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებიც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სირიასთან დალაპარაკებას ჰქონდა აზრი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სირიამ სწორედ ლიბანში მისი სამხედრო მოკავშირის - ჰეზბოლას გაძლიერებით მოახერხა გავლენის გარკვეულწილად აღდგენა ბეირუთში.

სირიის თავდაცვის მინისტრი, გენერალი ალი ჰაბიბი ასე აფასებს სირიის პოზიციებს: სირია რეგიონში იქცა

გრავიტაციისა და სტაბილურობის ცენტრად და მან ეს შესძლო ეროვნული, პან-არაბული და რეგიონალური პრობლემების მიმართ სწორი ხედვითა და თანმიმდევრული პოლიტიკით.

ჯებელ კასიუნში მდებარე ბაშარ ალ-ასადის სასახლეში მაღალჩინოსანთა სტუმრობა თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 2008 წელს სირიას სტუმრობდა საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი. მაღალი რანგის სტუმართა შორის იყვნენ: ხორვატიის პრეზიდენტი, თურქეთის, იორდანიის, ერაყის და ესპანეთის პრემიერ-მინისტრები. 2009 წლის მარტში სირიის პრეზიდენტი ელ-რიადში თბილად მიიღო საუდის არაბეთის მეფე აბდულამ.

**პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი**

ბაშარ ალ-ასადი სირიის ისტორიულად მარგინალური უმცირესობის – ალავიტთა წარმომადგენელია. მისი მეუღლე, ასმა, კარგად ჯდება თანამედროვე სეკულარული რესპუბლიკური დინასტიის სურათში, ეწევა სეკულარულ ცხოვრებას და ხელს უწყობს ქვეყანაში სამოქალაქო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას. თავად პრეზიდენტი ამაყი ნაციონალისტია, თუმცა იმავდროულად, მისი დიდი სურვილია ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროპასთან დაახლოება. მისი მიზანია 1967 წელს 6-დღიან ომში დაკარგული გოლანის სიმაღლეების დაბრუნება და ისრაელთან მშვიდობის დამყარება. ბაშარ ალ-ასადს ახლო ურთიერთობა აქვს ირანთან და ეხმარება როგორც ჰამასის ისლამისტებს პალესტინაში, ასევე ჰეზბოლას – ლიბანში (რომლებიც ატლანტიკის ორივე მხარეს ტერორისტებად მიჩნევიან, შინ კი მათ საქმიანობას წინააღმდეგობის მოძრაობას - resistance movement - უწოდებენ). თავისი საგარეო პოლიტიკით ბაშარი განსხვავდება როგორც პროდასავლური, ისე კონსერვატული არაბული მიმართულებისაგან. აღსანიშნავია, რომ ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით (გარდა ქურთებისა), სირიაში არსებული მდგომარეობა მთელს რეგიონში სამაგალითოა.

**ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან**

2009 წლის ივლისში პრეზიდენტმა ასადმა მიწვევა გაუგზავნა აშშ-ს პრეზიდენტს, თხოვნით, ჩასულიყო დამასკოში. ეს დიდი მოულოდნელობა იყო, ვინაიდან 1994 წელს ბილ კლინტონისა და ბაშარის მამის, ჰაფეზ ასადის შეხვედრის შემდეგ ასეთი კონტაქტი არ შემდგარა. მიპატიჟებიდან სამი

კვირის შემდეგ ობამას ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ სირიის მიმართ გატარებულ სანქციებს გადახედავდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ობამას ადმინისტრაციამ თხოვნით მიმართა სენატს, დაემტკიცებინა აშშ-ს ელჩი დამასკოში, რომელიც მას არ ყოლია უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში. რესპუბლიკელმა სენატორებმა ეს წინადადება დაბლოკეს.

ახლო აღმოსავლეთის საკითხებში აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის ჯორჯ მიტჩელის განცხადებით, აშშ ცდილობს ისრაელი და სირია ჩართოს მოლაპარაკებებში და რომ სირიას აშშ განიხილავს, როგორც მთავარ მოთამაშეს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დასამყარებლად.

**ურთიერთობა ევროკავშირთან**

ევროკომისია 30 წელზე მეტია მუშაობს სირიაში. 2011-13 წლებისათვის ევროკომისიამ სირიას 129 მილიონი ევრო გამოუყო. ოთხი წლის მანძილზე - 2007-2010 წლებში ეს თანხა შეადგენდა 130 მილიონს.

დღეისათვის ევროკავშირი (ევროკომისია, ევროპის წევრი ქვეყნები და ევროპის ინვესტიციების ბანკი) ყველაზე დიდი დონორია სირიაში, რომელსაც ყოველწლიურად 210 მილიონ ევროზე მეტს აძლევს გრანტებისა და სესხების სახით.

ევროკავშირი სირიის ძირითადი სავაჭრო პარტნიორია. 2008 წელს სირიამ ევროკავშირიდან ქვეყანაში შეიტანა 3.6 მილიარდი ღირებულების იმპორტი, მათ შორის, მანქანა-დანადგარები (26%), სატრანსპორტო მოწყობილობა (8.5%), ენერგია (19%) და ქიმიური პროდუქტები (13%). ევროკავშირმა სირიიდან მოახდინა 3.7 მილიარდი ევროს ღირებულების საქონლის იმპორტი, ძირითადად, გადაუმუშავებელი ნავთობი (86.6%) და სხვადასვა სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქტი.

ევროკავშირის 27 წევრმა ქვეყანამ 2009 წლის ოქტომბერში გამოხატა მზადყოფნა ხელი მოაწეროს სირიასთან ასოცირებულ შეთანხმებაზე. სირიამ მოსაფიქრებლად მოითხოვა გარკვეული დრო.

**ურთიერთობა ლიბანთან**

6 სექტემბერს "ახლო აღმოსავლეთის გაზეთისადმი" ("ალ-შარკ ალ ავსატ" - Asharq al-Awsat) მიცემულ ინტერვიუში ლიბანის პრემიერ-მინისტრმა ალ-ჰარირიმ განაცხადა, რომ ის შეცდა, როდესაც 2005 წელს სირია დაადანაშაულა მამამისის, რაფიკ ალ-ჰარირის მკვლელობაში და რომ ეს ბრალდება

დამასკოს წინააღმდეგ პოლიტიკურად იყო მოტივირებული: “ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის შეცდომები, რომლებიც დავუშვით სირიის წინააღმდეგ, რამაც ზიანი მოუტანა სირიელ ხალხს და ორი ქვეყნის ურთიერთობებს.. ეს პოლიტიკური ბრალდება მოხსნილია. გარკვეულმა პირებმა გამოძიება შეცდომაში შეიყვანა, დააზარალა სირია, ჩვენი ოჯახი და ლიბანი, დაანგრია ორმხრივი ურთიერთობები და მკვლელობას პოლიტიკური სახე მისცა.”

იყო დრო, როდესაც ლიბანის დრუზი უმცირესობის მეთაური ვალიდ ჯუმბლათი, რომელსაც, როგორც ვარაუდობდნენ, 1977 წელს სირიის აგენტებმა მოუკლეს მამა, რამაც ხელი შეუწყო სირიის, როგორც მშვიდობისმყოფელთა შესვლას ლიბანში, სირიას უწოდებდა “ქვეყანას, რომელიც ერთმა ოჯახმა და მაფიამ ჩაიგდო ხელში”. ჯუმბლათმა კარდინალურად შეიცვალა დამოკიდებულება სირიის მიმართ და ახლა მას მოიხსენიებს, როგორც “არაბული სამყაროს გულს”.

**ურთიერთობა ერაყთან**

ანალიტიკოსების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ერაყში სირია ყოველმხრივ ეხმარებოდა ჯიჰადისტებს (საღვთო ომის მომხრეებს) ამერიკელებთან ბრძოლაში, სირია ხვდება, რომ ერაყიდან ამერიკელების გასვლის შემდეგ თავად შეიძლება იქცეს ჯიჰადისტების სამიზნედ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ იგი რაიმე სახის სამშვიდობო ხელშეკრულებას გააფორმებს ისრაელთან.

**ურთიერთობა ისრაელთან**

ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა 2000 წელს. არაპირდაპირი მოლაპარაკებები, თურქეთის შუამავლობით, განახლდა 2008 წელს, მაგრამ ისევ ჩიხში შევიდა ისრაელის ახალი მთავრობის ფორმირების მოლოდინში. ბენიამინ ნეთანიაჰუს პრემიერ-მინისტრად მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გართულდა მოლაპარაკებების განახლების პროცესი. 2009 წელს ბაშარ ალ-ასადმა გამოთქვა სურვილი, რომ ისრაელსა და სირიას შორის პირდაპირ მოლაპარაკებებში შუამავალი ყოფილიყო ამერიკის შეერთებული შტატები.

**ურთიერთობა ირანთან**

ამერიკის შეერთებული შტატები სირიას ვერ პატიობს ირანის მხარდაჭერას და რომ არა ირანი, ორ ქვეყანას შორის დიპლომატიურ ფრონტზე შეიძლებოდა მიღწეული ყოფილიყო წარმატებები.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ახლო აღმოსავლეთში ვერცერთი მოთამაშე ვერ იგრძნობს თავს კომფორტულად სანამ იარსებებს ირანის ბირთვული საფრთხე და არაბული ქვეყნების კონფლიქტი ისრაელთან.

**ურთიერთობა თურქეთთან**

თურქეთს, რომელიც 10 წლის წინ იმუქრებოდა, რომ დაიპყრობდა სირიას, ახლა საზღვარი აქვს გახსნილი და მათ შორის უვიზო მიმოსვლაა. ორ ქვეყანას შორის დაიდო რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება.

**ეკონომიკა**

უკანასკნელი 4 წლის მანძილზე გატარებულმა რეფორმებმა - გადასახადებისა და იმავდროულად სახელმწიფო სუბსიდიების შემცირებამ - ხელი შეუწყო ქვეყანაში, ნავთობის გარეშე, შემოსავლების ზრდას. საბანკო სისტემის, ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაციამ ძალზე გაზარდა ქვეყნის პოტენციალი, რომელიც 50 წლის უკან რეგიონში ყველზე წარმატებული იყო. GDP, საგარეო ვაჭრობა და კერძო სექტორზე გაცემული ვალები უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში თითქმის გაორმაგდა. რამდენიმე მძლავრ ბანკთაგან ერთერთს – ბანკ აუდი სირიას დეპოზიტზე 1.6 მლრ დოლარი აქვს და აფინანსებს ქვეყანაში პირველ სინდიკატს – ცემენტის ქარხანას, რომელიც ერთობლივი საწარმოა საფრანგეთის ლაფარჟესთან ერთად.

ქვეყნის მე-11 ხუთწლიანი გეგმის დირექტივებში პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ინვესტიციებს. მთავრობის მიერ დაგეგმილი ინვესტიციების პროექტების ღირებულება 4 მლრ სირიული ლირაა (85 მლნ აშშ დოლარი), რომელიც რეალიზებული იქნება მთავრობისა და კერძო სექტორის მიერ - როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი.

ოქსფორდ ბიზნეს ჯგუფმა (OBG) ახლახან გამოაქვეყნა ანგარიში, "სირია 2010", რომელშიც წარმოჩენილია ქვეყნის მიერ განხორციელებული მყარი პროგრესი ეკონომიკის ლიბერალიზაციის კუთხით. მასში ნათქვამია, რომ სირიამ მოახერხა განესაზღვრა თავისი ფუნქცია საერთაშორისო ასპარეზზე და თავიდან აეცილებინა გლობალური ეკონომიკური კრიზისი. ანგარიშში განხილულია მთავრობის ძალისხმევა შექმნას საზოგადოებრივი და კერძო სექტორების მყარი თანამშრომლობა, განსაკუთრებით - ნავთობის მრეწველობაში, რომელიც სირიის ეკონომიკის საფუძველია. სამრეწველო სექტორი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 25 პროცენტს

შეადგენს. დასახულ გეგმებში, ასევე, შედის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, სავაჭრო სფეროში შეზღუდვების გამარტივება, აქციების სახელმწიფო ბაზრის შექმნა და ა. შ.

სირიის ექსპორტისათვის ტრადიციულ ბაზარს ერაყი წარმოადგენდა. თავად სირია რეგიონში ენერგომატარებლების სატრანზიტო პუნქტი იყო. დღესდღეობით, მიუხედავად მიმდინარე რეფორმებისა, სირიაში სამუშაო ძალის მეოთხედი ჯერ კიდევ სოციალისტურ ეკონომიკაშია დასაქმებული და ძირითადი ბარიერი, რაც ხელს უშლის ინვესტიციების მოზიდვას – ეს არის კორუფცია, არაეფექტურობა და სახელმწიფოს მკაცრი ხელი ეკონომიკაზე. ჯონ ალტერმანი, ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ახლო აღმოსავლეთის განყოფილების დირექტორი პესიმისტურად უყურებს სირიის მომავალს: “დიდი იმედგაცრუება ის არის, რომ იმ დიდი ოპტიმიზმის შემდეგ, რომ სირიის მომავალი არ დაემსგავსებოდა წარსულს, მომავალი დიახაც, რომ გავს წარსულს - დაბალი ეკონომიკური ზრდით, პიროვნული თავისუფლებების არქონით და მთავრობით, რომელიც ამუხრუჭებს პროგრესს”.

მიუხედავად კრიტიკისა, უნდა აღინიშნოს, რომ ბაშარის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ქვეყანაში პირველად დაიწყო გარკვეული ლიბერალიზაცია.

სირიის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ ნაჯი ოტრი მიიჩნევს, რომ სირიას მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს სტაბილური და ყოვლისმომცველი განვითარების კუთხით. მათგან უმნიშვნელოვანესად გამოყოფს საკვების უსაფრთხოებას, საკუთარი რესურსებით ქვეყნის დაკმაყოფილებას (self sufficiency), მთლიან ეროვნულ შემოსავალსა (GDP) და განვითარების ტემპს. ოტრის თქმით, სირიამ თავისი ხალხის, ბუნებრივი რესურსებისა და ეროვნული ერთობის საშუალებით, გადაწყვეტილებების მიღებაში დამოუკიდებელი პოლიტიკითა და ეროვნული სტანდარტების დაცვით მოახერხა გადაელახა ის ზეწოლა და გამოწვევები, რომლებიც მას გარედან მოახვიეს თავს.

**სირია და ისლამი**

სირია, რომელიც მის საზღვრებს გარეთ მხარს უჭერს ისლამისტ დაჯგუფებებს – ჰამასსა და ჰეზბოლას, შინ 2008 წლიდან (ამ წელს დამასკოში განხორციელდა ძლიერი

აფეთქება, რომელმაც 17 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. მთავრობამ მაშინ რადიკალური ჯგუფი ფათჰ ალ-ისლამი დაადანაშაულა.) საწინააღმდეგო პოლიტიკის გატარებას იწყებს: პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი ცდილობს სირიაში ტრადიციული სეკულარიზმი აღადგინოს, რეგიონში პოლიტიკური ისლამიზმისა და რადიკალურად განწყობილი დაჯგუფებების გაძლიერების საპირისპიროდ.

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, სირიის პრეზიდენტი ამას აკეთებს აშშ-სა და ევროკავშირის გულის მოსაგებად, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს პოლიტიკა სირიის მიმართ. ეს ცვლილება მიზნად ისახავს სირიის ჩამოშორებას ირანისგან და იქ ჰამასისა და ჰეზბოლას გავლენის შემცირებას. თუმცა ფაქტია, რომ რეჟიმის გადარჩენა, რომელიც ღრმად სეკულარულია (ქვეყანას სუნიტი უმრავლესობით, რელიგიური უმცირესობა - ალავიტები მართავენ) დაკავშირებულია სირიის საზოგადოების სეკულარიზმთან. ამერიკული “თოქ შოუს” წამყვან ჩარლი როუზთან ინტერვიუში სირიის პრეზიდენტმა კითხვაზე, თუ რა არის ქვეყნისათვის ყველაზე დიდი გამოწვევა, უპასუხა: “გამოწვევა არის ექსტრემიზმი რეგიონში”.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს კამპანია რადიკალური ისლამის წინააღმდეგ დელიკატურად მიმდინარეობს, დროდადრო გარკვეული დათმობებით კონსერვატორების მიმართ. ამ ზაფხულს მაგალითად, ერთი მხრივ, ათასი მასწავლებელი, რომლებიც ატარებდნენ ტრადიციულ ნიკაბს, გადაყვანილი იქნენ ადმინისტრაციულ სამუშაოზე. მეორე მხრივ, კონფერენცია სეკულარიზმზე, რომელიც დაგეგმილი იყო ამა წლის პირველ ნახევარში, გადაიდო ყოველგვარი მიზეზების გარეშე.

**დამასკო დღეს**

დამასკო, პლანეტის უძველესი დედაქალაქი, ტურისტებითაა გადაჭედილი. ბუტიკის ტიპის სასტუმროები, გადავსებული ბარები და რესტორნები, ახალი მანქანები, საშუალო კლასით დასახლებული გარეუბნები “შოპინგ მოლებითა” და “ფასტ ფუდებით” - ყოველივე ამან დამასკოს ახალი კოსმოპოლიტური იერსახე შესძინა.

**ლიტერატურა**

**References:**


1. “Has Syria Won?” The Economist. Nov. 27, 2009
2. Country Profile, Syria. BBC NEWs. July 6.2010.

3. Syria is yet to play its Cards. President Bashar al-Assad May not be the Modernizer the West had Hoped for, but his Regime Shows Signs of Progress. By Jon Black. The Guardian. July 1, 2010.
4. Threats Pushed to the Margins as Syria's Ruler Marks Decade. By Roula Khalaf. The Financial Times. July 9, 2010.
5. Can Exotic Food Lead to Liberty? The New Yen for Sushi May Have Further Consequencies. The Economist. April 10, 2010.
6. Syria. By Oliver Hartung. The New York Times. July 26, 2010.
7. SANA – Syrian Arab News Agency. Sept. 02, 2010; Sept. 06, 2010.
8. Syria's Solidarity with Islamists Ends at Home. By Kareem Fahim. The New York Times. Sept. 3, 2010.

**Nana Avzliani**
**Syria in the First Decade of the XXI Century**

## Summary

Syria went through a very hard time during the period from 2002 to 2006 and the main reason to that was its close relationship with Iran and support for the Islamists of Hamas and Hezbollah. The situation aggravated after the assassination of Lebanon's former Prime Minister Rafiq al-Hariri in 2005 when Syria was forced to end dominance over its neighbor. The United Stated, which imposed sanctions on Syria in 2003, broke all diplomatic relations.

Syria stubbornly pursued its policy and managed to emerge from isolationism and regained the role of key player in the regional diplomacy. President Bashar al-Assad, having consolidated his power, now is looking for a rapprochement with the United States and the West. Of course, the main ambition of Syria is the return of Golan Heights.

The United States, the EU and European nations have changed their policy toward Syria with the aim to isolate it from Iran and curb the influence of Hamas and Hezbollah.

Economic reforms, cutting taxes and import duties, reducing subsidies, liberalization of banking, prices and trade has set his country on the road of modernization.

Damascus, the oldest capital on the planet, has become a desired destination for Western tourists. New constructions, foreign-food restaurants and bars fully booked and smart boutique hotels, middle-class suburbs with shopping malls and fast-food outlets – all this is a product of economic liberalization.

**Keywords:** President Bashar al-Assad; Relationship with Iran; Support for the Islamists of Hamas and Hezbollah; Sanctions on Syria; Emerging from isolationism; The United States; The return of Golan Heights; Economic reforms; Modernization; Damascus.

**Reviewer:** Professor Shota Dogonadze, Georgian Technical University

**Нана Авалиани**

**Сирия в первом десятилетии XXI века, Сирия на международной арене**

**Резюме**

Сирия пережила тяжелые времена в 2002-2006 годах. Ее репутация на западе была крайне неблагоприятной. Основные причины этого кроились в союзничестве с Ираном, в поддержке исламистских вооруженных формировании против Израеля, в укритии Баасистских ренегатов, сбежавших с Ирака , тяжелейшего положения в деле обеспечения прав чедовека в самой Сирии.

Положение более осложнилось после того, когда Сирию обвинили в убистве популярного политика, Премьер Министра Либана Рафика Харира, считавшегося злейшим врагом Сирии.

Волну обвинений в хаосе и насилии на Ближнем Востоке направляли США и их Арабские союзники против Дамаско. Также неблагоприятное положение было у Сирии и внутри страны.

Но Сирия ,на удивление, многих экспертов смогла справится с внутренными и внешними вызовами, выйти из изоляции и восстановить свое влиание в регионе.

Этому во многом способствовало политика, проводимая Президентом Башаром Аль-Асадом. Который стремится наладить отношения с США.

Администрация США и Евросоюз со своей сторони предпринимают шаги, направленные на улучшение отношении с Сирией и дистансировании этой страны от Ирана.

Заметные продвижения имеет Сирия и в развитии экономики и Банковского дела. Сирия становитса интересным и для инвесторов.

**Ключевые слова:** Президент Башар Аль-Асад; Связь с Ираном; Поддержка исламистов; Санкции против Сирии; Изоляция;

Соединенные Штаты; Экономические реформы; Модернизация; Дамаско.

**Рецензент:** профессор Догонадзе Шота Акакиевич, Грузинский технический университет.

# ე კ ო ნ ო მ ი კ ა

## თეიმურაზ გორშკოვი, ნონა ჭიჭიკოშვილი

## საქართველოს რკინიგზის განვითარების პერსპექტივები (სატრანზიტო პოტენციალი)

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, განვითარებული სატრანსპორტო ქსელი, გაუყინავი პორტების არსებობა - ყველაფერი ეს მეტყველებს საქართველოს ტრანზიტის პერსპექტივებზე. დღეს, ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის გამოყენებით საქართველოს შეუძლია მსოფლიოს ეკონომიკურ რუკაზე ღირსეული ადგილი დაიკავოს, უზრუნველყოს შემოსული (გარე) გადასახადების ახალი წყარო და მყარი საფუძველი ჩაუყაროს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება ერთ-ერთი რეალური ალტერნატივაა მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის განვითარებისთვის.

საქართველოს რკინიგზა, მიუხედავად მრავალი პრობლემებისა, ჩამოყალიბდა მომგებიან საწარმოდ, რაც ძირითადად განაპირობა წარმოების, ამ შემთხვევაში სატრანზიტო გადაზიდვების მოცულობის ზრდამ. სატრანზიტო გადაზიდვებზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი: პოლიტიკური, ეკონომიკური, ინტეგრაციული, რეგიონალური და ა.შ. სხვადასხვა მიზეზების გამო ბოლო წლებში რთული მდგომარეობა შეიქმნა ბიზნეს-გარემოში - მწვავეა კონკურენცია სატრანსპორტო სისტემაში. ტრასეკას ალტერნატიული სატრანსპორტო დერეფნები სულ უფრო მეტად მიმზიდველი ხდება ტვირთმფლობელებისთვის გადაზიდვის ტარიფების, მომსახურების ხარისხის, ინოვაციური პოლიტიკით, გადაზიდვის სისწრაფით, სასაზღვრო-საბაჟო გადასასვლელების

შეუფერხებელი ფუნქციონირებით და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. სარკინიგზო ტრანსპორტისთვის სიტუაციას ართულებს მილსადენები: ბაქო-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიხანი, რომლებიც პერმანენტულად ამცირებენ რკინიგზით ძირითად სატრანზიტო ტვირთის - ნედლი ნავთობის გადაზიდვის მოცულობას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დიდი სატრანზიტო პოტენციალი გააჩნია, არსებობს რიგი რისკებისა, რომლებიც შეაფერხებს სატრანზიტო ტვირთების მოზიდვას, კერძოდ, დაწყებულია სომხეთ-ირანის შემაერთებელი ხაზის მშენებლობა, რომელიც გათვლილია სატრანზიტო ტვირთების გადასაზიდად (ნავთობპროდუქტები, მადანი) რუსეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან. გარდა ამისა, უახლოეს 3-5 წელიწადში დაგეგმილია სომხეთ-თურქეთის სარკინიგზო ხაზის აღდგენა და აზერბაიჯან-ირანის სარკინიგზო შემაერთბელი ხაზის მშენებლობა, ასევე შენდება ირან-სომხეთის მილსადენი, რომელიც ძირითადად ნავთობპროდუქტებით დაიტვირთება. აღნიშნული ვითარება მნიშვნელოვნად შეცვლის ტვირთნაკადების მიმართულებას და, სავარაუდოდ, სერიოზულად შემცირდება ტრანზიტული ტვირთზიდვის მოცულობა საქართველოს რკინიგზით.

საქართველოს რკინიგზის გადაზიდვებში ტრანზიტს უკავია 60-65 %, 2006 წლიდან ტრანზიტის მოცულობა ნელ-ნელა კლებულობს (სურ. 1), რაც გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზებით, კერძოდ: ნავთობსადენების სიმძლავრეების გაზრდით, ალტერნატიულ დერეფნებში პრევენციების მასშტაბური გამოყენებით და ა.შ.




სურ.1

ძირითადი ტრანზიტული ტვირთებია: ნედლი ნავთობი, ნავთობპროდუქტები, მარცვლეული, ფერადი ლითონის მადანი, შაქარი და ა.შ. (‘სურ. 2)




სურ, 2

დღეისათვის რკინიგზაში ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობა და ტექნიკური აღჭურვა საკმარისია ოპერაციების

არსებული დონის წარმოებისათვის. მომავალში რეგიონის ეკონომიკური ზრდის შესაბამისად სარკინიგზო გადაზიდვებზე გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება, როგორც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (სარკინიგზო მაგისტრალის, ხიდების, გვირაბების შეკეთება ან ახლის მშენებლობა), ასევე კომპანიაში არსებული მოძრავი შემადგენლობის განახლება. დღეისათვის რკინიგზაში არსებული მოძრავი შემადგენლობის დიდი ნაწილი ხანდაზმულია და საჭიროებს შეცვლას.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ იტცჰ ღატინგს საქართველოს რკინიგზას მიანიჭა გრძელვადიანი, სტაბილური რეიტინგი " +". ბიზნესის ინტეგირებული ხასიათი, ტარიფების დადგენის ლიბერალური პოლიტიკა და ფულადი სახსრების საკმაოდ პროგნოზირებადი ნაკადები - ასე აფასებს იტცჰ-ი რკინიგზის დამოუკიდებელი ბიზნესის სტრუქტურასა და ფინანსურ მდგომარეობას.

Fitch ratings-ის მიერ საქართველოს რკინიგზისთვის მინიჭებული მაღალი საკრედიტო რეიტინგი დაფუძნებულია კომპანიის არსებული მდგომარეობის, მომავალი განვითარების ხედვის, მისი მენეჯმენტისა და სხვა მრავალი ფაქტორის საფუძვლიან შესწავლასა და შეფასებაზე.

მწვავე კონკურენციის პირობებში საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება:

1) კომპლექსური სატრანზიტო პოლიტიკის შემუშავება;

2) ერთობლივი სატრანსპორტო დანახარჯების შემცირება სარკინიგზო ტრანსპორტის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სატრანსპორტო მომსახურების ხარისხის კონკურენტუნარიანი დონის მიღწევით;

3) სატვირთო მატარებლებისა და ჩქარი სამგზავრო მატარებლების ერთიან სარკინიგზო ქსელში მოძრაობის ორგანიზაციის სისტემური ამოცანების გადაწყვეტა, რაც გადაზიდვის თვითღირებულების ოპტიმიზაციისა და დიდწონიანი ავტომობილებისთვის საჭირო გზების მშენებლობის ხარჯების შემცირების შესაძლებლობას იძლევა;

4) მოწინავე გადაწყვეტილებების რეალიზაცია სარკინიგზო ტრანსპორტის გლობალურ სატრანსპორტო-ლოგისტიკურ სისტემაში ინტეგრირების მიზნით სატრანსპორტო

მომსახურების კომპლექსურობისა და მაღალი ხარისხის სტანდარტების მიღწევის გზით;

5) ეფექტური და მრავალფუნქციონალური სატრანსპორტო კლასტერის ფორმირება და საქართველოს რკინიგზის სატრანსპორტო მომსახურების, ტექნოლოგიებისა და ტექნიკური გადაწყვეტილებების ექსპორტიორად გარდაქმნა;

6) ქვეყნის სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსის განვითარებისთვის მძლავრი იმპულსის მინიჭება გრძელვადიანი, გადახდისუნარიანი შეკვეთის ფორმირებით ინოვაციურ ტექნიკაზე, ტექნოლოგიებზე, მასალებსა და პროგრამულ-საინფორმაციო პროდუქტებზე სარკინიგზო ტრანსპორტის ტექნიკური გადაიარაღებისა და განვითარების მიზნით.

**ლიტერატურა**

**References:**

**1.** T. gorSkovi, “satransporto politikis ZiriTadi amocanebi saqarTveloSi”, gardamavali periodis safinanso – ekonomikuri problemebi saqarTveloSi (tomi 3), finansebis samecniero – kvleviTi instituti, 1999w;

**2.** T. gorSkovi, g. baRaTuria, “strategiuli marketingi sarkinigzo kompaniaSi”, saqarTvelos ekonomika #4(101), 2006 w. Tbilisi;

**3.** T. gorSkovi, g. baRaTuria n. WiWikoSvili, **“**moklevadiani prognozireba saxelmwifo marTvis amocanebSi”, “xelisufleba da sazogadoeba” #2(6) 2008 w. Tbilisi;

**4. С.М. Резер, «Управление транспортом за рубежом», Москва 1994;**

**5. H. Assael, “Marketing: Principles and Strategy” , New York 1999;**

**6. Campbell R. McConnell, Stanley L. Brue, “Economics Principles, Problems, and Policies” 1992.**

**Teimuraz Gorshkov,**
**Nona Chichikoshvili**

**Perspectives of development Georgian railway (Transit Potentials)**

**Summary**

Georgian geographical situation, developed transport net, being of unfrozen ports - all of this tells about Georgian transit growing perspectives.

Despite strong competition, Georgian railway has formed as a profitable organization, it was mainly provoke by growing volume of transit transportation.

For the last years a difficult condition has got in business area – there is a strong competition both in regional and in Eurasian systems, this permanently decrease the volume of transportation of Railway transit cargos.

In spite of that, Georgia has got great transit potential, there is many kinds of risks, those will delay bringing of the transit cargos. In a Georgian Railway transportation transit has got 60-65 % from total transportation, since 2006 volume of transit transportation slowly decreased, what is provoke different kind of reasons, for them: to grow pipelines capacities, great use of preventions in alternative corridor, and etc.

Today railways technical and infrastructure situation is enough to produce real and forecast streams. In a future, according to region economic development, it will be necessary to improve infrastructure also renew rolling stock in a company for to satisfied growing demand of railway transportation. Today in a Georgian Railway most of rolling stock is old and it needs to change.

**Keywords:** Railway, transit, oil, transportations, pipelines, oil products, transport.

**Reviewer:** Professor Giorgi Bagaturia, Georgian Technical University

**Горшков Теймураз Шотаевич,**
**Чичикошвили Нона Гивиевна**

**Перспективы развития Грузинской железной дороги (Потенциал транзита)**

**Резюме**

Географическое положение Грузии, развитая сеть транспорта, наличие незамерзающих портов - все это говорит о перспективах грузинского транзита.

Несмотря на сильную конкуренцию, Грузинская железная дорога сформировалась как прибыльная кампания, чему в основном способствовало увеличение объема транзитных перевозок.

В последние годы, тяжелая ситуация сложилась в бизнес – среде: острая конкуренция, как в региональной, так и в евразийской транспортной системе, перманентно уменьшает объем транзитных грузов.

Несмотря на то, что Грузия имеет большой транзитный потенциал, есть ряд рисков, которые задерживают привлечение транзитных грузов.

В железнодорожных перевозок транзит имеет 60-65%, с 2006 года объем транзита постепенна снижается, что обусловлено различными причинами, в частности, увеличение мощностей трубопроводов, масштабное использование преференций в альтернативных коридорах и т.д.

Сегодня, инфраструктура железной дороги достаточна для производства операций на уровне реальных и прогнозируемых потоков. В будущем, согласно экономическому развитию отрасли, будет необходимо улучшить инфраструктуру, а также обновить подвижной состав компании для удовлетворения растущему спроса. Сегодня на грузинской железной дороге большая часть подвижного состава изношена, и она требует обновления.

**Ключевые слова:** Железная дорога, транзит, нефть, перевозки, трубопровод, нефтепродукты, транспорт.

**Рецензент:** Профессор Багатуриа Георгий Шотаевич, Грузинский технический университет.

სალომე ჩხიკვაძე

# ბიუჯეტის მონიტორინგის და ფინანსური კონტროლის გაუმართავი მექანიზმებით გამოწვეული პრობლემები ადგილობრივ თვითმმართველობებში (საერთაშორისო გამოცდილება)

## ადგილობრივი მთავრობის ფინანსები და ცენტრალური კონტროლი

ადგილობრივი მთავრობის სისტემა ინგლისსა და ჩრ. ირლანდიაში ძირითად ასპექტებში მსგავსია. მათი სტრუქტურა და ფინანსური ბაზისი სათავეს იღებს 19-ე საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან. იმ პერიოდში, ისევე როგორც ამჟამად, ადგილობრივი თვითმმართველობა ფუნქციონირებდა პარლამენტის მიერ მინიჭებული ძალაუფლების ფარგლებში, მაგრამ ისინი უპირველესად პასუხისმგებელნი იყვნენ მათი დასახლებული პუნქტების მოსახლეობის წინაშე. ადგილობრივი პასუხისმგებლობის ამგვარი დონე დამყარებული იყო არჩევნების ბაზისს – რაც 19-ე საუკუნის რეფორმების ძირითად

მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს და გადასახადების სისტემის არსებობას, რაც აძლევდა მათ ცენტრალური ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად დაბეგვრის ძალაუფლებას. ამ მხრივ ადგილობრივმა მთავრობამ მოახდინა ადმინისტრაციული და პოლიტიკური დეცენტრალიზაცია. ადგილობრივი საბჭოები ადრე მიაჩნდათ პასუხისმგებელ ორგანოებად იზიარებდნენ რა პოლიტიკურ ძალაუფლებას ცენტრალური მთავრობის ორგანოებთან.

ამ ფაქტის საპირისპიროდ, ცოტა თუ უარყოფს იმ ფაქტს რომ ორივე საზოგადოებაში ჩვენ მომსწრენი გავხდით მტკიცე პოლიტიკური პასუხისმგებლობის გადასვლისა ადგილობრივი მთავრობიდან ცენტრალური მთავრობისკენ. სხვათა შორის, ინგლისში ჩატარებულ ბოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომფერენციაზე ითქვა, რომ ეფექტური ძალაუფლების დაკარგვა იქამდე მივიდა, რომ საფრთხე შეექმნა თვით ადგილობრივი თვითმმართველობის, როგორც მთავრობის, არსებობას და რომ ის ხდებოდა მხოლოდ ეროვნული პოლიტიკის ადგილობრივი ადმინისტრაციული სისტემა.

იმ დროს, როდესაც სახეზეა ამგვარი შეხედულებები, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მოახდინა ინიცირებაკანონმდებლობისა, რომელიც ზეგავლენას მოახდენდა ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურაზე, ფუნქციებზე და ფინანსურ ბაზისზე, რათა უზრუნველყო “ძლიერი და დამოუკიდებელი ადგილობრივი მმართველობის სისტემა”, როგორც “გარანტი, რომელსაც უნდა გაუფრთხილდნენ გადაჭარბებული ცენტრალური ძალაუფლების გამოყენების საპირისპიროდ”.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დოკუმენტი ეხება მხოლოდ ფინანსურ წინადადებებს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ისინი არიან გაცილებით უფრო ფართო მიდგომის ნაწილნი, რაც ვიმედოვნებთ გაზრდის ადგილობრივი პასუხისმგებლობის ელემენტს ინგლისის ადგილობრივ მთავრობაში.

შედარებისთვის, სტორმონტის მთავრობას საჯაროდ არ მიმოუხილავს ან განუხილავს ადგილობრივი თვითმმართველობის მომავალი მთლიანობაში და მისი ერთადერთი ამჟამინდელი მოქმედება ამ კუთხით იყო ადრეულ 1955 წელს კომიტეტის შეხვედრა სერ როლანდ ნუჯენტის თავმჯდომარეობით, რათა განეხილათ ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები ოლქებში. მაშასადამე დიდი

ბრიტანეთის მთავრობის ფინანსური წინადადებებისა და ნუჯენტის კომიტეტის მოხსენების შედარებისას, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელს არ წარმოუდგენია სამთავრობო პოლიტიკის ხედვები და ის ფაქტი, რომ თვით მოხსენება ჯერ არ განუხილავთ ჩრ. ირლანდიის თემთა პალატაში.

**ადგილობრივი ფინანსური რესურსები**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შემოსავლის ნაწილი მიიღება გაწეული მომსახურებისთვის გადახდილი საფასურიდან, როგორიცაა: საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სახლში გაწეული დახმარება. ამჟამად ჩვენი განხილვის სფეროს წარმოადგენს დარჩენილი შემოსავლის წყაროები – ცენტრალური მთავრობიდან მიღებული გრანტები და ადგილობრივი წლიური შემოსავლის მაჩვენებლები. ამ ორს შორის ცვალებადი ურთიერთდამოკიდებულება ბოლო 30 წლის მანძილზე გამოხატულია ქვემოთ მოყვანილ ციფრებში:

| | ინგლისი და უელსი | | ჩრ. ირლანდია | |
|---|---|---|---|---|
| | გადასახადები | გრანტები | გადასახადები | გრანტები |
| | მილ. | | | მილ. |
| 1923-4 . . | 143.3 | 78.3 | 2.1 | 1.5 |
| 1933-4 . . | 148.6 | 125.2 | 1.8 | 2.0 |
| 1945-6 . . | 222.6 | 238.1 | 3.0 | 2.8 |
| 1947-8 . . | 283.3 | 280.6 | 3.9 | 4.1 |
| 1950-1 . . | 291.7 | 313.4 | 4.1 | 6.1 |
| 1953-4 . . | 376.7 | 433.6 | 5.4 | 8.7 |

მოცემული ციფრებით გამოტანილი დასკვნა ცხადი და ცნობილია. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ დონეზე გასავალი საგრძნობლად გაიზარდა მოცემულ დროის პერიოდებში, ადგილობრივ გადასახადებზე მოსული შეფარდება თანდათან შემცირდა. ინგლისში ამ მომენტისთვის გრანტები ოდნავ აჭარბებენ გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს და თუ ამჟამინდელი ტენდენცია გაგრძელდება, შესაძლოა გრანტები მოექცნენ დომინანტურ პოზიციაზე, რაც უკვე მოხდა ჩრდილოეთ ირლანდიაში.

*მომავლის მოდელი ინგლისში*

ბრიტანეთი მთავრობის წინადადებები შემუშავებულია, რათა “გაზარდონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობა თანხების მოძიებასა და ხარჯვის საკითხში, რაც ჯერჯერობით ასეც ხდება”. ეს მიზანი შესაძლოა მიღწეულ იქნას არსებული დაბეგვრის სისტემის

გაძლიერების გზით, რათა მან თავის თავზე აიღოს გაცილებით დიდი წილი ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯებისა.

ქვემოთ განხილული მიზეზების გამო, ბრიტანეთის მთავრობა წინააღმდეგია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მისცენ ახალი შემოსავლის წყაროები და არც ზომებს იღებენ იმისთვის, რათა აღმოფხვრან ადგილობრივი გადასახადების სისტემაში არსებული ხარვეზები, რაც ხელს უშლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს იმავდროულად გაზარდონ გადასახადები. მაგრამ, სამაგიეროდ სურთ, რომ უზრუნველყონ ადგილობრივი მმართველობა გრანტებით.

ერთ-ერთ ასეთ ხარვეზს წარმოადგენს გადასახადების შემცირება, რაც იმას ნიშნავს, რომ გადასახადების ტვირთი არათანაბრადაა განაწილებული სხვადასხვა სახის ქონებაზე. როცა ინგლისური ბილი (კანონპროექტი) გახდება კანონი, ინდუსტრიული და სატვირთო ტრანსპორტის ქონებაშეფასებული იქნება 50%-ით მათი წლიური ქსელური ღირებულებიდან გამომდინარე. იმ 25%-ის და ამჟამინდელი შეფასებითი დონის გათვალისწინებით, ადგილობრივ დონეზე შემოსავალი გაიზრდება სულ რაღაც 30 მილიონი ფუნტი სტერლინგით, რაც შეადგენს 7%-ს. თუმცა, ამის ნახევარი გაემართება ხაზინისკენ, რადგან უფრო მაღალი გადასახადები შეამცირებს შემოსავლის გადასახადზე პასუხისმგებლობას; სამთავრობო გრანტები ადგილობრივ თვითმმართველობასთან შესაბამისობაში მოვა, რათა შემცირდეს ქსელური ნამატი წელიწადში 10მლ. ფუნტი სტერლინგით. არაფერია ნახსენები რაიმე სახის ცვლილებებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადების შემცირებაზე. ეს სფერო დახვეწას საჭიროებს.

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც შეფასება შესაძლოა არაპროპორციული იყოს, არის ყოველ წლიურად ან ნახევარ წელიწადში ერთხელ მოთხოვნილი გრანტები. ბევრისთვის ეს ერთ ჯერზე მოთხოვნილი ყველაზე დიდი ოდენობის გადასახადია, რაც თავითავად მტკივნეული საკითხია.

ყოველწლიური ოფიციალური სამთავრობო მოხსენება (White Paper) რეკომენდაციას უწევს ამგვარი შენატანების ინსტიტუტის არსებობას.

ახალი გადასახადების დაწესების გარეშე, სამთავრობო გრანტები მაინც დარჩება შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ. შედეგად, სამთავრობო შემოთავაზებები კონცენტრირდება გრანტების სისტემაზე და მოხდება არსებითი ცვლილებები

რათა მიეცეს ადგილობრივ თვითმმართველობას მეტი თავისუფლება ლოკალური საჭიროებისათვის გრანტების მოძიებისა.

ამჟამინდელი გრანტები შესაძლოა დავყოთ ორ ფართე კატეგორიად. პირველი, გრანტები, რომლებიც გამიზნულია ხელი შეუწყონ განსაკუთრებული მომსახურებების გაწევას, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და ა.შ. იმგვარად, რომ გამოყოფილი თანხა პროპორციული იყოს გაწეულ მომსახურებასთან და მეორე – გრანტები, რომელიც გამიზნულია ხელი შეუწყონ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ზოგად ხარჯებს და არ უკავშირდება, არც რაოდენობრივად და არც განაწილებით განსაკუთრებულ მომსახურებას. ე.წ. “განსაკუთრებულ” გრანტებს ზოგადად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის მოითხოვს უფრო მაღალი დონის დეტალურ კონტროლს ხელისუფლების მხრიდან, ვიდრე მეორე სახის გრანტი.

ამ კატეგორიების გამოყენებით 1954-55 წლებში ინგლისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მიიღეს 452 მლ. ფუნტი სტერლინგი:

“განსაკითრებული” ----- ----------- 385 მილ. 85%

“განუსაზღვრელი” ------ ------------ 67 მილ. 15%

ძირითადი წილი განუსაზღვრელი გრანტებისა იმ წელს მოდიოდა – განათლება, განსახლება, პოლიცია, გზები, პირადი ჯანმრთელობა, ბავშვთა მოვლა და სახანძრო სამსახური.

67მლ. ფუნტი “განუსაზღვრელი” გრანტი თითქმის მთლიანად შედგებოდა ხაზინასთან გასწორების გრანტებისგან, გადახდილი, როგორც წლიური შემოსვლის სუბსიდია იმ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის, რომელთა დასაბეგრი წყარო ეროვნულ მინიმუმზე ქვევით დაეცა.

ახალი შემოთავაზების მიხედვით “განსაკუთრებული” გრანტები განკუთვნილი პოლიციისთვის, გზების მშენებლობისთვის, განსახლებისთვის, სასკოლო რძისა და საკვებისთვის კვლავ დაფინანსდება. ხოლო განათლების, ჯანდაცვის, ბავშვთა მოვლის, სახანძრო სამსახურის და სხვა მომსახურებები – არა. ის ჩანაცვლდება ერთი “განუსაზღვრელი” გრანტით, რაც არსებითად შეცვლის “განსაკუთრებული” და “განუსაზღვრელი” გრანტების ნიმუშებს და დიდ გავლენას მოახდენს განათლების დაფინანსებაზე, რაზედაც დღეს მოდის “განსაკუთრებული” გრანტის 60%-ზე

მეტი. ეს ახალი სქემა, რომ ყოფილიყო 1954-55 წლებში, ასეთი ცვლილება გექნებოდა:

| **ახლანდელი** | | | **შემოთავაზეული** | |
|---|---|---|---|---|
| "განსაკუთრებული" გრანტები | **385** | **85%** | **152** | **34%** |
| განუსაზღვრელი" გრანტები | **67** | **15%** | **300** | **56%** |
| ხაზინასთან ანგარიშის გასწორება | **67** | | | |
| ახალი ერთჯერადი გრანტი | **233** | | | |

ახალი "განუსაზღვრელი" გრანტის მთლიანი ოდენობა და მისი დისტრიბუციის მეთოდი – ორივე მნიშვნელოვანია. ახალმა გრანტმა საშუალება უნდა მისცეს საჭიროების შემთხვევაში განვითარდნენ. გრანტის ხანგრძლივობის პერიოდის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორები:

ა) "გადასახადების დროული გადახდის" შესახებ მონაცემები და მიმდინარე ფასებისა და ჯილდოების მაჩვენებელი მომავალში გასათვალისწინებელ ცვლილებების დონესთან ერთად;

ბ) ნებისმიერი მომსახურების მოთხოვნის შესაძლო მერყეობა, რაც გაზრდის ხარჯებს, იქიდან გამომდინარე, რომ ეს მერყეობა შესაძლოა მიეწეროს იმ გარემოებებს, რომელიც ჭარბობს ინგლისსა და უელსში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონტროლს არის დაქვემდებარებული.

გ) ამგვარი მომსახურების შექმნის საჭიროება განპირობებული ზოგადი ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით.

ვისაც ეს გრანტი უნდა გამოეყოს მათთვის დადგინდება ახალი განაწილების ფორმულა, რომელშიც ასახული იქნება ქალაქის ზომა და მოსახლების რაოდენობა და მისი პროპორციული რესურსები.

**ხარჯვის თავისუფლება**

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში ახალი გრანტის მხარდასაჭერად წამოაყენეს 3 არსებითი არგუმენტი:

1."განსაკუთრებული" გრანტი და განსაკუთრებით ხარჯვის პროპორციულობაზე დამოკიდებული გრანტი, ნიშნავს იმას, რომ განხორციელდება უფრო მეტად დეტალური კონტროლი, ვიდრე სხვა სახის გრანტებზე. შესაბამისად, ამ სახის გრანტის რაოდენობრივი შემცირებით, ასევე შემცირდება ადმინისტრაციული კონტროლის დონეც;

2.ახალი გრანტი თან მოიტანს მეტ პასუხისმგებოლობას ადგილობრივ დონეზე, რაზედაც უნდა დაიხარჯოს ან დაიზოგოს;

3.ახალი გრანტის ეროვნული რაოდენობა განისაზღვრება იმ ფაქტორებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადგილობრივი თვითმმართველობის გარკვეული ორგანოების ფუნქციონირებაზე, რომლებსაც შეუწყდათ სუბსიდირება "განსაკუთრებული" გრანტებით. მათ მოუწევთ თავიანთი ძალებით მოიძიონ სახსრები.

რამდენად მოქმედია ამგვარი არგუმენტები?

1. გრანტების პროპრციულობას და კონტროლის დონეს შორის ურთიერთდაოკიდებულება, როგორც ჩანს, დავის საკითხი გახდა მუნიციპალიტეტის ხაზინასა და ხარჯთაღრიცხვის კვლევით გუნდს და მინისტრს შორის. კვლევითი გუნდი აცხადებდა, რომ კონტროლის დონე ცოტათი თუ ახდენდა გავლენას გრანტის სახეობაზე და რომ კონტროლი ასოცირებული პროცენტულ გრანტთან გაზვიადებული იყო. ისინი თავის დასკვნებს აკეთებდნენ ინგლისის ექვსი საგრაფო ქალაქის გამოცდილების დეტალურ შესწავლაზე. მათი აზრით, მინისტრის შეკითხვები მოდიოდა იქიდან, რომ გრანტის მოთხოვნებიარ იყო მიზანშეწონილი და არახელსაყრელი იყო მათზე პასუხის გაცემა. მინისტრმა უარყო ეს შეხედულება. მისი აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანებოს მიერ გახარჯული თანხები ასევე შედიოდა ხაზინაშიც და დეპარტამენტს უნდა ეკონტროლებინა ყოველი ადგილობრივი თანამდებობის პირის მოქმედება.

2. გაზრდის თუ არა ახალი გრანტი ხარჯვასა და დაზოგვასთან მიმართებაში ადგილობრივ პასუხისმგებლობას?

მთლიანი გრანტის ფიქსირება მოხდება ეროვნული მომსახურების დონის გათვალისწინებით, რაც მთავრობის აზრით სასურველი და მიღწევადია. მინისტრთა ხელსი იქნება კონტროლის მექანიზმები, რათა დაინახონ მიღწეულ იქნა თუ არა სასურველი შედეგი და დონე ყოველი თანამდებობის პირის მიერ. თუ რომელიმე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო შეძლებს გასავალი ხარჯების შემცირებას, ისე რომ არ შეამციროს მომსახურების ხარისხი, მაშინ ამ სიტუაციიდან გადამხდელებიც მიიღებენ სარგებელს, რადგანაც გრანტი უცვლელი დარჩება. ეს უნდა იყოს სტიმული დაცული იქნას უმეტესი ეკონომიკური რესურსების გამოყენება, რათა მიაღწიონ დასახულ მიზანს.

მსგავსად, ხარჯვითი გადაწყვეტილებების ზეგავლენა უფრო ლოკალურ ხასიათს მიიღებს. დავუშვათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სურს უზრუნველყოს სამთავრობო სტანდარტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. მაგ: სასკოლო წიგნებზე გამოყოს უფრო მეტი თანხა. მას ამის გაკეთების შესაძლებლობა მიეცემა, მისი ეს გადაწყვეტილება გაზრდის მისი გრანტის შემოსავალსაც.

White Hall-ის დეპარტამენტები არც თუ ისე მკაცრად აკონტროლებენ გრანტების ხარჯვის ხარისხს. ისინი ნებას რთავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ოდნავ უფრო სწრაფი ტემპით იმოქმედონ, ვიდრე ეს გაწერილია გრანტის პირობებით. ახალი გრანტის პირობებით კი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს მაინც მოუწევთ დაიცვან მთავრობის მიერ დადგენილი მინიმალრუი მოთხოვნები.

3. და ბოლოს არსეობობს მოსაზრება, რომ გრანტი ე.წ. “ძაფების” გარეშე დიდი არჩევანის საშუალებას მისცემს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ადგილობრივ დონეზე თუ რომელი მომსახურება შესთავაზონ ამომრჩევლებს.

ზედაპირზე ეს არგუმენტები მართებულად ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ “განსაკუთრებული” გრანტები ირიცხება მმართველობის ორგანოს საერთო ანგარიშზე, ისინი განკუთვნილია განსაკუთრებული მომსახურების გაწევისთვის და როგორც წესი დაწესებულია ამ მომსახურებისთვის. სხვათაშორის კომიტეტთა უმეტესი შეფასებები აჩვენებს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა არ დაადგენს ერთჯერად გრანტს რომელიმე კონკრეტული მომსახურების გაწევისთვის, არამედ იგი შევა მთლიან ხარჯებში. ამის თქმა არც ერთ კომიტეტს არ შეუძლია, რადგან მათზე მოდის გრანტების 60%. მათ უფრო დიდი პრეტენზია აქვთ თვითმმართველობის შემოსავალზე, ვიდრე არა გრანტის კმაყოფაზე მყოფ კომიტეტებს. ყოველმა კომიტეტმა უნდა განსაზღვროს მოთხოვნები დამსახურების ხარისხიდან გამომდინარე და ადგილობრივი თვითმმართველობა გადაწყვეტს თავის ადგილობრივ პრიორიტეტებს.

ერთი შეხედვით ესეც სარწმუნო არგუმენტია, რომელიც თითქოსდა ზრდის ადგილობრივ ძალაუფლებას მოიძიოს გრანტი ადგილობრივი საჭიროებისთვის. თუმცა, იმ კონტექსტში, რომელშიც შემოთავაზებულია გრანტის ცვლილება, ეს თავისუფლება შეიძლება იყო მოჩვენებითი. გრანტის მთლიანი ოდენობა დამოკიდებულია გაუქმებული “განსაკუთრებული”

გრანტების მიერ წინდაწინ დაფიქსირებული მომსახურებების ეროვნულ მოთხოვნილებებზე. ის მხედველობაში არ იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ზოგად ხარჯებს, მაგრამ ასახავს მთავრობის პოლიტიკას ზოგიერთი მომსახურების მიმართ, რომელთაგან თითქმის ყველა შეესაბამება ადგილობრივი სტანდარტების დონეს. მაშასადამე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გრანტების მოძიების შესაძლებლობა მთელი რიგი ადგილობრივი სამსახურებისთვის ლიმიტირებულია. არსებობს 4 შესაძლო გარემოება რომელშიც შესაძლებელია მოძიებულ იქნას ე.წ. “თავისუფალი” სახსრები:

ა) თუ გრანტის განაწილების მეთოდი ანიჭებს ადგილობირივი თვითმმართველობის ორგანოებს უფრო მეტს, ვიდრე ის მათ სჭირდებათ შეთანხმებული სტანდარტების შესანარჩუნებლად გაკონტროლებულ მომსახურებაში.

ბ) თუ ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ გახარჯა ბევრი, მაგ: განათლებაზე და ამჟამად წინ უსწრებს ზოგადად დადგენილ სტანდარტებს.

გ) თუ მაკონტროლირებელი ორგანოები უშფოთველად არიან.

დ) თუ სხვადასხვა დეპარტამენტები მზად არიან დართონ ნება მმართველობის ორგანოებს ”გააფართოვონ” უფრო დაბალი ოდენობის გრანტი იმაზე მეტად, ვიდრე ამას ”განუსაზღვრელი” გრანტის გაანგარიშებები ითვალისწინებს.

თუ ”ა” შესაძლებლობა მოხდება, ეს იქნება დისტრიბუციის ფორმულის კრიტიკის ტოლფასი და ვეღარ შეძლებს პრეტენზიის განცხადებას გრანტზე. არც “გ” და “დ” ვარიანტებია სავარაუდო, თუ მინისტრს მოუწია ბრძოლა კაბინეტთან იმ ფონდებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფენ დადგენილი სტანდარტების არსებობას და მაინც ამ საკითხში ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე. მიუხედავად ამისა, პრაქტიკაში შეიძლება წარმოშვას ნებისმიერი ამ ვარიანტებიდან იქნება ეს განზრახ თუ უნებლიედ. ესსაგრძნობლად გაზრდის ადგილობრივი დისკრეციის ელემენტს ფინანსური რესურსების გამოყენების კუთხით. მაგ: განათლების სფეროს მოუწევს კონკურირება პარკებთან და სასაფლაობთან ფინანსურ კომიტეტსა და საბჭოში.

ყველა აცნობიერებს, რომ მოპაექრე სამსახურები უნდა მორიგდნენ, მაგრამ ყველა არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ

ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს უნდა გაეზარდოთ გადაწყვეტილებების მიღების ელემენტი.

ინგლისში, მთავრობის წინადადებები მართებულად არის ინტერპრეტირებული, როგორც ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი და როგორც მცდელობა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ფინანსური თავისუფლება. ჩრ. ირლანდიაში, განიხილა რა ნაჯენტის კომიტეტმა ადგილობრივი თვითმმართველობა კომუნაში დაუსაქმებელ რესურსებად და გააცნობიერა რა მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი გზა, განიხილავს ადგილობრივი თვითმმაღთველობის ორგანოებს, როგორც მთავრობის ერთიანი პროცესის ნაწილს, რომელიც მოძრაობს დასახული მიზნის მიღწევის მიმართულებით, რომელსაც საბოლოო ჯამში უნდა ესახურებოდეს გრანტების სისტემა.

**ადგილობრივი ფინანსები და ეკონომიკური პოლიტიკა**

ვერც ვესტმინსტერი და ვერც სტორმონტი ვერ საზღვრავს პირდაპირ ადგილობრივი თვითმმართველობის მიმდინარე ხარჯების დონეს, ეს ეხება ასევე გრანტების მიერ სუბსიდირებულ მომსახურებებს, რადგან ადგილობრივი თვითმმართველობა შესაძლებელია გასცდეს სამთავრობო გრანტის ლიმიტებს თუ იგი მზადაა დამატებითი ხარჯები აანაზღაუროს ადგილობრივი გადასახადებიდან. თუმცა, ცენტრალური მთავრობა ვერ ახერხებს დაადგინოს ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯების დონე, მას შეუძლია ზეგავლენის მოხდენა გრანტის ოდენობასა და სახეობაზე. ამ კონტექსტში ცვლილება ”განსაკუთრებული” გრანტებიდან ”ზოგად” გრანტებად ცვლილების ფისკალური შესაძლებლობები უფრო მნიშვნელოვანი ხდება. როგორც დოქტორმა დ.ს. ლიიმ ხაზი გაუსვა იმფლაციის დროს გრანტების პროცენტულობა ხელსაყრელ პირობას წარმოედგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის და შესაცფუნებულია ცენტრალური მთავრობისთვის. ამგვარი გრანტები ინარჩუნებენ ნამდვილ შეძენის უნარს რადგან ზრდიან ხარჯვის დონეს. ფასების ცვლილებები გასათვალისწინებელი ფაქტორია, ახალმა რეგულირებებმა შესაძლოა შეამციროს ინფლაციის დროს ხარჯვა. პროცენტული ხარჯვის პირობებში ადგილობრივმა თვითმმართველობამ იცის, რომ მაღალი ფასების გამო გაზრდილ ხარჯებზე მიიღებს შეთანხმებულ პროცენტულ გრანტს და იმ მომენტისთვის, როცა გადაწყვეტს დახარჯოს ფული, ერთჯერადი გრანტის პირობებში

გრანტის ოდენობა ფიქსირებულია. შეიძლება ვიმედოვნოთ, რომ დღევანდელ გაზრდილ ფასებს გაითვალისწინებენ გრანტის განხილვის დროს, უფრო მეტიც, ინდივიდუალურ თანამდებობის პირზე მოსული ერთჯერადი გრანტის წილი დამოკიდებული იქნება არა მის ხარჯვაზე, არამედ განაწილების ფორმულაზე. მაშასადამე, მაშინაც კი როცა მთლიანი გრანტი გიზრდება ფასების ზრდასთან დაკავშირებით, ”X” თანამდებობის პირის ხარჯვის ხარისხზე გავკლენას არ იქონიებს.

განსახლების მინისტრი ამბობს: ”სხვათაშორის ახალი სისტემა საშუალებას მოგვცემს უფრო მეტი სიზუსტით განისაზღვროს დასაგეგმი განვითარების მოსულობა”. ეს იმას ნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ექნებათ ნაკლები შესაძლებლობა მიიღონ გრანტები, რომელიც დადგენილი ხარჯვის ნაწილში გადაცდება ზღვრულ დონეს, ვიდრე ეს აქვთ ამჟამინდელი პროცენტული გრანტების სისტემით. ეს მოსაზრება მოგვიანებით გამყარდა ვესტმისტერის დებატებზე საპარლამენტო მდივნის მიერ განათლების მინისტრისთვის გაცემულ პასუხში:”ჯერჯერობით შესაძლოა თანამდებობის პირებს უწევდეთ გაუმკლავდნენ იმ გარემოებებს, რომლებიც მათ კონტროლს არ ექვემდებარება. ეს პრობლემა უნდა მოაგვაროს ფორმულამ, მაგრამ თუ ადგილობრივი თვითმმართველობა დაიწყებს წინასწარგანსაზღვრულ განათლების მომსახურების ექსპანსიას, როგორც ადგილობრივი პოლიტიკის აქტს, ეს იქნება მთავრობის განზრახვა, რაც დამახასიათებელია მათი წინადადებებისთვის და მომავლისთვის ეს საკითხი უკვე უნდა გადაიქცეს ადგილობრივი თვითმმართველობის საქმედ.

ნათელია, რომ ცენტრალური გადასახადების ადგილობრივ დონეზე გადმოსატანად ერთჯერადი გრანტების ზოგად მიმოხილვაშიც კი იქნება ძლიერი ტენდენცია ინფლაციისა და ექსპანსიისკენ. ამ კუთხით უნდა გვახსოვდეს, რომ ცოტა რამ თუ გაკეთდა არასტაბილურ გადასახადებზე ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენისთვის და არც დამატებითი შემოსავლების წყარო იქნება მოძიებული ადგილობრივი საშემოსავლო გადასახადების სახით.

ადგილობრივი მთავრობის ფინანსების შესწავლამ 13 ქვეყანაში აჩვენა, რომ ზოგადად, ადგილობრივი ყოველწლიური საშემოსავლო გადასახადები ყველაზე სუსტი რგოლი იყო, როგორც მთლიანად საშემოსავლო გადასახადებში, ისე ადგილობრივ ხარჯებთან მიმართებაში, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების მხოლოდ ქონების გადასახადზე დამოკიდებულების პირობებში. ამის საწინააღმდეგოდ, იმ ქვეყნებიდან, რომლებიც გადასახადებს გაწერდნენ ადგილობრივ საშემოსავლო გადასახადზე, მხოლოდ დანიაში შეიმჩნეოდა ადგილობრივი დაბეგვრის პროცენტის დაცემა 60%-ზე ქვევით ადგილობრივ წლიურ შემოსავალთან შედარებით. აქედან გამომდინარე კვლევითმა ჯგუფმა რეკომენდაცია გაუწია გადასახადების გაზრდას 3 ერთეულით ფუნტებში. ვესტმისტერში გამართულ დებატებზე მინისტრა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა მოხარული იქნებოდა მიეღო ეს წინადადება, ამას ვერ შეძლებდნენ. მან ხაზი გაუსვა ტექნიკურ და ადმინისტრაციულ სირთულეებს. თუმცა კვლევითმა ჯგუფმა წარმოადგინა სარწმუნო შემთხვევა, სადაც ნათლად ჩანდა ამ სირთულეების გადალახვის შესაძლებლობა. მათ განაცხადეს: "შეთავაზება მდგომარეობდა იმაში, რომ ეს უნდა შემცირებულიყო სამ ფუნტამდე, მაგრამ პალატისთვის ცნობილია პროცესის დაწყების შემთხვევაში რა ბედი შეიძლება ეწიოს საშემოსავლო გადასახადს. ეს თითქოს და უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ თვითონ პარლამენტი განსაზღვრავდა გადასახადს, რომელიც შეიძლეობოდა აეკრიფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. მაგრამ ჭეშმარიტი უარის მიზეზი ამ შემოთავაზებაზე მდგომარეობდა მის ინფლაციურ პოტენციალში. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გავიგოთ, როგორც მთავრობის ზოგადი პასუხისმგებლობა ეკონომიკურ სიტუაციაზე და მისი არც თუ დიდი სურვილი გაუნაწილოს ადგილობრივ თვითმმართველობას ისეთი გასეული ფისკალური იარაღი, როგორიცაა საშემოსავლო გადასახადი. რამდენადაც გასაგები არ უნდა იყოს ეს, განგრძობადი ინფლაციის პირობებში მთავრობას წარედგინება ბრალდება, რომ იგი ცდილობს გაზარდოს ადგილობრივი პასუხისმგებლობის ხარისხი შეფასებითი სისტემის მეშვეობით, რომელიც "ცუდადაა აღჭურვილი გაუძლოს მთავრობის დიდ ტვირთს".

**ადგილობრივი მთავრობის როლი ჩრდილოეთ ირლანდიაში**

ნაჯენტის კომიტეტის დასკვნა არის ამომწურავი და დეტალური მიმოხილვა ჩრდილოეთ ირლანდიაში ადგილობრივი თვითმმართველობების ფინანსური ბაზისისა. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მოყვანილი ციფრებიდან ცხადია, რომ ოლქებში ადგილობრივი მმართველობები უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ცენტრალურ მთავრობაზე ვიდრე, ინგლისსა და

უელსში. მაგ: ყოველი მიღებული 1 მილიონი ფუნტისთვის 1956-55 წლებში დამატებით ხაზინისაგან მიღებულ იქნა 30%.

1953-54 წლების განმავლობაში ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მიიღეს გრანტები, რომელთა ოდენობამაც მთლიანობაში შეადგინა 8,8 მლ. ფუნტი სტერლინგი. აქედან 5,6 მლ. განკუთვნილი იყო განსაკუთრებული სამსახურებისთვის და 3,2 მლ. "ზოგადი ხაზინის მოხმარებისთვის", ან "გაუნაწილებელი გრანტისთვის".

თავის მხრივ კომიტეტი ხაზს უსვამს რომ "განსაკუთრებული მიზნებისთვის გამიზნული გრანტები აუცილებლად გაზრდის მკაცრ კონტროლს გრანტების გამცემი ორგანოების მხრიდან", და ეს განსაკუთრებით მართებულია ოლქებთან მიმართებაში, სადაც დეტალური ცენტრალური კონტროლის დონე უფრო მაღალია "განსაკუთრებულ გრანტებთან მიმართებაში, ვიდრე ინგლისში. დამატებით ზოგადი ხაზინის კონტრიბუცია გადაიხდება მხოლოდ "მოწონებულ ხარჯებზე" და ამგვარად რომ იქცეს, ყოველმა ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ უნდა წარმოადგინოს თითოეული სამსახურის შემოთავაზებული ხარჯების ყოველწლიური შეფასებითი ანგარიშები. ეს საშუალებას მისცემს ჯანდაცვის სამინისტროს და ადგილობრივ მთავრობას გამორიცხოს ნებისმიერი ხარჯის შემოთავაზება და მთელი რიგი ადგილობრივი თვითმმართველობების მოქმედებები დაუქვემდებაროს დეტალურ კვლევას, რასაც არ ექნება ანალოგი ინგლისში. როდესაც შემოთავაზება იხილებოდა სორმონტში, 1948 წელს რამდენიმე წევრმა ყურადღება გაამახვილა ამ მხედველობაში მისაღებ ცენტრალური კონტროლის გაფართოებაზე, მაგ: დამტკიცდა რომ: "დამტკიცებული ხარჯის საბოლოო გადაწყვეტის საკითხი სამინისტროს პრეროგატივაა და შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს დემოკრატიულ ადგილობრივ მთავრობასთან". საქმისა და პრობლემის გაცნობიერების მიუხედავად ამ პუნქტმა კომიტეტში დებატების გარეშე გაიარა.

თუმცა ნაჯენტის კომიტეტი ამტკიცებს რომ: "განგრძობითი ხასიათის დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროს არსებობა არის... საუკეთესო საშუალება შენარჩუნდეს ადგილობრივი ავტონომიის ჯანსაღი დონე" და "არსებული პოზიციის დაცვა და ცენტრალიზაციის შემოწმება სასარგებლოა. მათ არ შეუძლიათ შემოგვთავაზონ ცვლილებები, რომლებიც ან გააძლიერებს შემოსავლის ადგილობრივ

წყაროებს ან შეამცირებს მისი კონტროლის ხარისხს, რაც ასახავს ამჟამინდელ გრანტების სისტემას. როგორც შესაძლო დამატება ყოველწლიურ გადასახადზე, ადგილობრივი შემოსავლის გადასახადის თავიდან აცილების განხილვა არც კი შევიდოდა ჩრ. ირლანდიის პარლამენტის საკანონმდებლო კომპეტენციაში", უფრო მეტიც, ისინი დაეთანხმნენ ბრიტანეთის კომიტეტის კვლევებს სამხარეო ფასეულობების შეფასების უარყოფაში.

შესაძლოა თუ არა მეტი ყოველწლიური შემოსავლის მიღება არსებული გადასახადებიდან ჩრ.ირლანდიაში? ამ საკითხში შესაძლოა ერთმანეთს შევადაროდ გადასახადები ინგლისსა და ირლანდიაში:

| | 1954-55წ. | |
|---|---|---|
| | ინგლისი და უელსი | ჩრ. ირლანდია |
| პროპორციული გადასახადი კაცზე | **8,09** | **4,7** |
| შეფასება ერთ ფუნტზე | | |
| მთლიან შეფარდებაში | **22/8დ** | **17/4დ** |

აქედან გამომდინარე, ორივე შეფასების ზოგადი დონე უფრო დაბალია ჩრ. ირლანდიაში, ვიდრე ინგლისში.

ჩრ. ირლანდიის მთავრობამ შეიძლება გადაწყვიტოს ან არ გადაწყვიტოს ინგლისის შემოთავაზების მიხედვით წარმოების სექტორში გადასახადების გაზრდა. ეს რომ მოიმოქმედოს, ეს ცოტათი თუ გააძლიერებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსურ დამოუკიდებლობას ოლქებში. გადასახადების შემცირების შედეგად მიღებული დანაკარგების კომპენსირების საჭიროება ერთ-ერთი მთავარი მიზეზია უფრო დიდი მოცულობის გრანტების მოთხოვნისა. ეს დანაკარგები არათანაბრადაა განაწილებული: მხოლოდ 10% მოდის ურბანულ არეალზე, 50%-ზე მეტი მოდის სოფლებზე, ხოლო 75%-ე მეტი ფერმანგანატის საგრაფოზე. მიუხედავად ცალკეული ადგილობრივი მმართველობის ორგანოების აღიარებული სუსტი ფინანსური მდგომარეობისა, დღესდღეობით არსებობს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების პერსპექტივა. ბრიტანეთის მთავრობა ამ საკითხთან დაკავშირებით დუმს, ხოლო ნაჯენტის კომიტეტი აცხადებს, რომ მეურნეობის ხარისხი რომც გაუმჯობესდეს ინგლისში, ჩრ. ირლანდიის პოზიცია იქნება დააწესოს ცალკეული ჯარიმები, რადგან სოფლის მეურნეობა წარმოადგენს ჩრ. ირლანდიის ეკონომიკის საფუძველს და არახელსაყრელ კავშირშია მის ძირითად ბაზართან.

ნაჯენტის კომიტეტის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები გადაფარავს ძირითადი ხაზინის შესაწირსა და გამოთვლის მეთოდს. მოსალოდნელი არ არის, რომ შემცირდება საერთო ხარისხის ცენტრალურ ფინანსურ ან საერთო ადგილობრივ ურთიერთობებზე დამოკიდებულება. ფაქტია, რომ კომიტეტი ნათლად იღებს ინტეგრაციის მნიშვნელოვან ხარისხს სტორმონტსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. მათი აზრით: "ჩვენ შეიძლება მოწმეები ვართ ახალი სახის ურთიერთობებისა ადგილობრივ ხალხსა და მთავრობას შორის. შეიძლება ეს ურთიერთობები განსაკუთრებულია, მაგრამ არა ადაპტირებადია ჩვენს ძირითად მოთხოვნებთან". ეს გულისხმობს ნიმუშს, რომელიც დამყარებულია უფრო ახლო სამსახურეობრივ ურთიერთობებზე, ვიდრე პასუხისმგებლობის ფორმალურ დელიმიტაციაზე. ჩრ. ირლანდიაში პერსონალური კავშირების დამყარება ოფიციალურ პირებსა და ხალხს, ადგილობრივ ხელისუფლებას, მინისტრებს და ქვეშევრდომებს შორის ბევრად უფრო ადვილია ვიდრე ინგლისში. ურთიერთობები არის ნაკლებად საზოგადოებრივი და განყოფილებები მიმართულნი არიან იმისკენ, რომ უფრო მჭიდროდ ჩაერთონ ადგილობრივი ხელისუფლების შემოთავაზებებში საწყის სტადიებზე.

ინგლისში ადგილობრივ და ცენტრალური მმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობები გამოვლინდა ომის შემდეგ პერიოდში ადგილობრივი მთავრობის მუშათა კომიტეტის სახით. ისინი წარმოადგენდნენ ორივე მხარეს და მათი ძირითადი მიმართვა განსაზღვრული იყო ცნობილ მოხსენებაში: "ჩვენ ვცნობთ ადგილობრივი ხელისუფლების მოვალეობების შესრულების კომპეტენტურობას და რომ ისინი შეიძლება იყვნენ კანონით დადგენილი პირები, რომლებიც ეფექტურად ასრულებენ თავიანთ საქმეს. ისინი ამჟღავნებენ თავიანთ პასუხისმგეობლობას თავისებურად, არა როგორც რიგითი მთავრობის დანაყოფების აგენტები". გარდა ამისა, ცენტრალური კონტროლის მიმოხილვა დაპირებულია ბრიტანეთის მიერ. ეს არის მთავრობის როლის შენარჩუნების მცდელობა. ჩრ. ირლანდიაში არსებული ახლო ურთიერთობები კითხვებს არ ბადებს ნაჯენტის კომიტეტში. ისინი თვლიან, რომ უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი მომსახურების სტანდარტები და ამისთვის საჭიროა არა მხოლოდ ფინანსური ურთიერთობა, რომელიც უზრუნველყოფს "პირდაპირი აღქვრის საშუალებებს", არამედ, აგრეთვე ადმინისტრაციული ინტეგრაციის მაღალი

ხარისხი მინისტრებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის საქმიანობებში.

**ლიტერატურა**
**References:**

1. STRATEGIC CONTROL IN THE LOCAL GOVERNMENT: FROM NEW PUBLIC MANAGMENT TO NETWORK APPROACH – Silvia Pilonato; ადგილობრივ მთავრობაში სტრატეგიული კონტროლი ახალი საჯარო მენეჯმენტიდან ქსელურ მიდგომამდე – სილვია პილანატო;
2. Local Government Finance and Central Control – By D. Lofts, M.A;

**Salome Chkhikvadze**
**Problems Caused by Unadjusted Mechanisms of Financial Control and Budget Monitoring in the Local Self-Governments (International Experience)**

## Summary

Because of the weak and in most cases unadjusted mechanisms of the financial control, the financial resources are often ineffectively spent, which conditions a very low quality of the independence of local self-governments. The necessity of working out financial control mechanisms is caused by this factor. Moreover, it is an obligatory feature acknowledged by the Law in all countries of Europe.

In order to ensure reasonable spending of public finances of the local self-governmental bodies, it is necessary to create a legal base, to work out mechanisms of financial control and to guarantee the existence of the controlling body /bodies.

In order to understand the above mentioned issue better, I would like to discuss the audit of the European Council member country (The United Kingdom). Considering the procedures and regulations of the financial controlling and financial accounting practices, which inform us of the experience of the country in the related sphere, we will be able to see on the concrete example, that the suggestions of the government of Great Britain have been worked out for the sole reason to "increase the independence of the local self-governmental bodies in searching for the funds and their spending, which nowadays really happens". Nowadays it is considered that England is one of the countries possessing a successful

public finances, the system of the local governmental bodies in England and in the North Ireland are almost the same. Their structure and financial basis starts from the last decade of the 19th century. Here the local government has carried out an administrative and political decentralization, which should be considered as a most progressive step. England has worked out the new attitude and policy towards the public finances, which is known in England as the “Model of the Future in England”. They wish to supply the local government by means of grant. The new model is mainly directed towards “preserving a sound level of the local autonomy”.

**Keywords**: local self-government; audit; auditor; budget system; local government; economic policy; local finances; international practice.

**Reviewer**: Professor David Narmania, Executive Director of the Institute of Caucasian Economy and Social Researches.

**Чхиквадзе Саломэ Шалвовна**

**Проблемы, вызванные неурегулированными механизмами мониторинга бюджета и финансового контроля местного самоуправления (международный опыт)**

## Резюме

Ввиду слабых и неурегулированных механизмов финансового контроля, часто происходит неэффективный расход финансовых ресурсов, что обусловливает низкое качество самостоятельности местного самоуправления. Этим обусловлена необходимость разработки механизмов финансового контроля самоуправления, тем более, что это во всех европейских странах является признанным законом обязательством.

С целью обеспечения рационального расхода финансов местного самоуправления, необходимо создание правовой базы, разработка механизмов контроля и существование контролирующего органа/органов.

Для лучшего понимания указанного вопроса, рассмотрим аудит, процедуры и регуляции контроля и практики финансовой отчетности страны, члена Евросоюза (Соединенного Королевства), которые знакомят нас с практикой страны в связи с указанным вопросом. На конкретном примере увидим, что предложения Правительства Великобритании разработаны с целью "повысить

самостоятельность органов местного самоуправления в вопросах изыскания и расходов средств, что по сей день именно так и происходит". В настоящее время признано, что Англия является одной из стран, имеющих успешные публичные финансы. Системы местного правительства в Англии и Сев. Ирландии, в основном, схожи в основных аспектах. Их структура и финансовый базис берут свое начало в последние десятилетия 19-го века. Здесь местное правительство осуществило административную и политическую децентрализацию, что можно назвать шагом вперед. Англия разработала новый подход и политику в отношении публичных финансов, что известно под названием "Модель будущего в Англии". Они желают обеспечить местное управление посредством грантов. Новая модель направлена на "сохранение здорового уровня местной автономии".

**Ключевые слова**: местное самоуправление; аудит; аудитор; бюджетная система; местное правительство; экономическая политика; местные финансы; международная практика;

**Рецензент:** Профессор Нармaниа Давид Константинович, исполнительный директор Кавказского института экономических и социальных исследований.

# ს ა მ ა რ თ ა ლ ი

**კონსტანტინე დოხნაძე**

## ოჯახური ძალადობა: მზარდი პრობლემა და თავისებურებები

საზოგადოების უმთავრესი სპეციფიკა ფარული მხარეების გახსნილობისა და გამოაშკარავებისაკენ სწრაფვაა. მრავალი პრობლემა, რომელიც ადრე დაფარვისკენ იყო მიდრეკილი, თანამედროვე საზოგადოებისათვის განსხვავებული მიდგომის სფეროს წარმოადგენს. პროფესიონალები თანხმდებიან ერთ მთავარ საკითხში – დღევანდელობა ბიძგის მიმცემია მაქსიმალური ღიაობის, პრობლემების დასმისა და გადაწყვეტისა და საკითხების საჯაროობის.

საზოგადოების წინაშე მწვავედ მდგარი და ჩვენში ადრევე აპრობირებული ერთ-ერთი პრობლემა **ოჯახური ძალადობაა,** რომელიც დღეს ინოვაციურ მიდგომებს და ახალი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

სოციალურ-პოლიტიკურმა და შესაბამისად ფსიქოლოგიურ-ინდივიდუალურმა შეხედულებებმა, კორუფციის ზრდამ, მკვეთრმა ცვლილებებმა ტრადიციულ არსებობაში, სიმპტომატური ხასიათი შეიძინეს და ოჯახური თანაარსებობის კუთხითაც გაამწვავეს სიტუაცია ცალკეულ ქვეყანასა თუ ზოგადად პოსტსაბჭოურ სივრცეში.

საოჯახო კონფლიქტის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულების სიმრავლემ დაიტერესებულ პირებსა და მკვლევრებს საშუალება მისცა წინა პლანზე წამოეწიათ ეს საკითხი, მოეძიათ მისი თავიდან აცილების ზომები. ოჯახური ძალადობა იმ ტიპის მოვლენაა, რომელიც თანამდევია ამა თუ იმ ეტაპზე ყოველი ეპოქისა და ნებისმიერი განვითარების საზოგადოებისათვის. ადრე თუ მას ქვეყნების (resp. რეგიონების) დაწერილი თუ დაუწერელი კანონები არეგულირებდა, დღეს იგი ცივილიზებული სამყაროს ყველაზე მტკივნეულ პრობლემად იქცა – მას სპეციალისტები გლობალურად იკვლევენ, იძიებენ, სწავლობენ და საზოგადოებას და სახელმწიფოს განსხვავებულ და ნაირგვარ პრევენციულ ზომებსაც სთავაზობენ.

ოჯახური კოფლიქტების პრობლემით (საკითხებით) დაინტერესებული მკვლევრები სინამდვილის შელამაზებას არ ცდილობენ და მხოლოდ არსებული რეალობის სერიოზულ და სკრუპულოზურ ანალიზს გვთავაზობენ. ისინი შემაშფოთებელი ფაქტების აღწერით აღარ იფარგლებიან და ამ ფატების დეტერმინანტებზეც ამახვილებენ ყურადღებას, თავიანთი მსჯელობებისას ითვალისწინებენ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას და ჩვენს ნიადაგზე მის გადმონერგვას ცდილობენ.

ოჯახური ძალადობის მზარდი ფაქტების შესწავლა და ანალიზი მხოლოდ იურისტების, სამართალდამცავი ორგანოების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ფსიქოლოგების მოვალეობა კი არაა, არამედ იგი იმავდროულად პოსტსაბჭოური საზოგადოების მოვალეობაც არის. სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურები მთელი ძალით ცდილობენ მსოფლიოში ყველა სტანდარტის გამოყენებას, მორგება-

ათვისებას, რათა კიდევ უფრო მოქნილი და ქმედუნარიანი გახდეს ამ პრობლემის წარმატებით დაძლევა.

ოჯახური ძალადობის მკვლევარი, ცნობილი პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი ნ. გაბრიჩიძე წერს: „საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობის გამოკვლევისას მიღებული დასკვნები შეიძლება გამოყენებული იქნეს კონფლიქტური სიტუაციების მოდელირებისათვის. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს გამოკვლევის პროგნოსტული ფუნქცია, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია ინდივიდუალური პროფილაქტიკისათვის, ოპერატიული მოქმედების ჩატარებისათვის და სხვა“ [1, 16].

პროგნოსტული ფუნქცია, რომელიც გამოკვლევის მთავარი მიზანია, ძალიან აქტუალური და სასარგებლოა ოჯახური ძალადობის აღკვეთისა და შემცირების რაკურსით. პროგნოზირება ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუ იგი რეალურ მონაცემებს აანალიზებს და სინამდვილეს შეუფარავად და ადეკვატურად ასახავს.

მკვლევრებს ხშირად მოჰყავთ ტრაგიკული და სასტიკი ფაქტები, როცა ოჯახის წევრები, ერთ ჭერქვეშ მცხოვრები ადამიანები, სასტიკად იქცევიან, იმეტებენ ურთიერთს, მტრული მოქმედებით საშინელ განსაცდელში აგდებენ ახლობელს.

საყოველთაოდ გაზიარებული აზრის თანახმად, აგრესიის გამოვლენას მეტწილად სწორედ ოჯახური ძალადობის სცენების ყურება და ინტენსივობა განაპირობებს. ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ ბავშვი, რომელიც ხშირად ესწრება ოჯახურ სცენებს, ხედავს დედის ფიზიკურ შეურაცხყოფას და ასევე ხედავს ამ ნიადაგზე მოძალადის დაუსჯელობას, თვითონაც აგრესიული, გარემომცველი სამყაროსადმი უნდობი და გაბოროტებული ხდება. ერთი დაუსჯელი დანაშაული სხვა მრავალი ნეგატიური ფაქტის საფუძველი, ბიძგის მიმცემი, მასტიმულირებელი და შთამაგონებელი ხდება. სპეციალისტები მშობლებს ურჩევენ, არ გაარკვიონ ურთიერთობა ბავშვების თანდასწრებით, მაქსიმალურად შეზღუდონ ისეთი სატელევიზიო პროგრამების ხელმისაწვდომობა, სადაც მოჭარბებულად სასტიკი სცენებია. თუკი ვერ ხერხდება ასეთი სასტიკი სცენებიდან მოზარდების გარიდება, მაშინ მშობლებმა უნდა განუმარტონ თავიანთ შვილებს, თუ რა განსხვავებაა ეკრანზე ნანახსა და რეალურ ცხოვრებას შორის.

საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტიც, რომ აგრესია და აგრესიულობა უფრო მძიმედ და სასტიკად უბრუნდება თავად აგრესორს. ხოლო აგრესიულობას განაპირობებს გაძლიერებული დეპრესია და მძიმე სულიერი განწყობილება. მიზეზად სახელდება: ალკოჰოლიზმი, მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ნარკომანია, არასრულფასოვნების კომპლექსი და სხვ.

ოჯახური ძალადობის კუთხით აგრესიის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს: მრავალი მაგალითია მაპროვოცირებელი საქციელით გამოწვეული აგრესიისა, მაგრამ იმავე დროს ასევე ბევრი ფაქტია მაპროვოცირებელი საქციელის გარეშე გამოვლენილი აგრესიულობისა; ჩვენ ხშირად გვსმენია და ვიცით უმცირესი მიზეზით გამოვლენილი აგრესიულობის თაობაზეც. არანაკლებ დამანგრეველია სიტყვიერი აგრესია, რომელსაც თითქმის ყოველთვის აქვს ადგილი თანამედროვე ყოფაში. ზოგი ადამიანი იმ ზომამდე არის ასოციალური და გარიყული სოციუმიდან, რომ ყველა ცოცხალი არსების მიმართ მტრულად განწყობილია, რის გამოც ანგრევს თავის ფსიქიკას. ავტოაგრესიაც ერთ-ერთი გავრცელებული ფორმათაგანია, რომელსაც ინდივიდი საკუთარ თავს აყენებს და თვითმკვლელობამდე მიდის.

ოჯახური აგრესიის ფაქტების დამალვა და მიჩქმალვა ადრე უფრო მიღებული იყო, საბჭოთა საზოგადოების კარჩაკეტილობა ამგვარ ტენდენციებს მხოლოდ მიესალმებოდა. სისტემა მაქსიმალურად ზღუდავდა სწორი ინფორმაციის გავრცელებას და ყველანაირად უწყობდა ხელს არასრულყოფილი და შელამაზებული სურათის წარმოჩენას. სწორედ ამ საკითხს ეხება პროფესორი ნ. გაბრიჩიძე თავის წიგნში „საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი ძალადობითი დანაშაულობა“ და აღნიშნავს: „საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებამდე ჩემთვის ხელმიუწვდომელი იყო, თუ რას ფიქრობდნენ ოჯახში ძალადობით დანაშაულის გამომწვევ მიზეზებზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები, მკვლევრები. საერთოდ საბჭოთა პერიოდში დაუშვებელი იყო სოციალურ ფონზე მომხდარი დანაშაულობების გამოკვლევა, აღიარებული იყო, რომ დანაშაული არის კაპიტალიზმის გადმონაშთი და „კომუნიზმის მშენებლობის დასრულებისას“ დანაშაულიც აღარ იარსებებდა, რომ „კონფლიქტი“, როგორც სოციალური მოვლენა, მით უმეტეს „განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქაში, უკვე დიდი ხანი

ამოიფხვრა“. ამიტომ ამ კატეგორიის დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესწავლა საბჭოთა კავშირის სივრცეში იმ პერიოდში არ ხდებოდა“ [1, 10].

დღეს უკვე თავად რუსეთშიც აღარ მალავენ, რომ ფედერაციაში ოჯახური ძალადობის მასშტაბებმა საშიშ ზღვარს მიაღწია. ეს მაჩვენებლები მოიცავს საერთო დანაშაულების 30-40%-ს. კიდევ უფრო საგანგაშო ფაქტია ის გარემოება, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა 30% ბავშვები არიან. რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ოჯახიდან ბავშვების გაქცევამ არნახულ ზღვარს მიაღწია და მათი უმეტესობა ოფიციალურად იძებნება. ანუ ყოველი გაქცეული ბავშვიდან ნახევარი არ უბრუნდება მშობლიურ კერას და ეს საერთო კრიზისულ ფონს კიდევ უფრო ამძიმებს. რუსი სამართალდამცავები იმით ინუგეშებენ თავს, რომ მსგავსი მოვლენა არ არის მხოლოდ მათი ქვეყნისთვის დამახასიათებელი და მას უნივერსალური ხასიათი აქვს [2].

ოჯახური ძალადობის ფაქტებს ხშირად თავად ოჯახის წევრები მალავენ, ისინი არ მიმართავენ სამართალდამცავ ორგანოებს, არ ცდილობენ სამართლის ჩარჩოში მოაქციონ აგრესორის ქმედება და საკუთარი ძალით წინ აღუდგნენ განსაცდელს. საოჯახო ურთიერთობები ძალიან თავისებური და რთულია ისეთი ტრადიციების ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ოჯახური კავშირი წარმოადგენს მეტად თავისებურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნაირსახეობას, რომელშიც აისახება არამარტო პირთა განსაზღვრული წრის მრავალწახნაგოვანი ინტერესები, არამედ ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებისა და სახელმწიფოს შესაბამისი თავისებურებანი [3].

საქართველომ ოჯახური ძალადობის პრობლემის მოსაგვარებლად საგანგებო კანონი გამოსცა: „ოჯახური ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ (2006 წლის 25 მაისს). კანონი დროულად და სათანადო დონეზე მომზადდა, რასაც მოწმობს 2007-2009 წლების სტატისტიკური დინამიკა.

ოფიციალური მონაცემებით დგინდება, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით ოჯახური ძალადობის ფაქტებმა საგრძნობლად იკლო სწორედ 2006 წლის კანონის ამოქმედების დღიდან.




კანონის ამოქმედებამ შეძლო ძირეული გარდატეხის შეტანა მონაცემების მიხედვით. ასევე საინტერესოა სტატისტიკის სხვა კომპონენტებიც მსხვერპლისა და მოძალადის მაჩვენებელი გენდერის ნიშნით:

2007 წ. მსხვერპლი → მამაკაცი 69; ქალი 509

მოძალადე → მამაკაცი 523; ქალი 55

2008 წ. მსხვერპლი → მამაკაცი 9; ქალი 190

მოძალადე → მამაკაცი 370; ქალი 19

2009 წ. მსხვერპლი → მამაკაცი 12; ქალი 162

მოძალადე → მამაკაცი 162; ქალი 11

შეუდარებლად მაღალია ქალების ჩაგვრის მაჩვენებელი, მსხვერპლის უმეტესობას სწორედ ისინი შეადგენენ. მამაკაცის მხრიდან ძალადობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, დაწყებული ეკონომიკურიდან, ვიდრე პირადულ-ფსიქოლოგიურამდე.

ოჯახში ფიზიკური ძალადობა გულისხმობს ცემას, წამებას, ჯანმრთელობის ხელყოფას, მკვლელობასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას. ბოლო სამი წლის სტატისტიკა ადასტურებს, რომ სწორედ ფიზიკური ანგარიშსწორებაა ფსიქოლოგიურთან თუ სხვა სახის იძულებასთან კომბინირებული.

საზოგადოებას საშუალება ეძლევა თავად შეადაროს, თუ რა სახის ოჯახური ძალადობაა აღნუსხული სამართალდამცავი ორგანოების მიერ (იხ. ცხრილი).

| № | ძალადობის სახეები | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|
| 1 | ფსიქოლოგიური, ფიზიკური მუქარა | | 1 | 1 |
| 2 | ფიზიკური, ფსიქოლოგიური | 186 | 69 | 51 |
| 3 | ფსიქოლოგიური | 208 | 60 | 58 |
| 4 | ფსიქოლოგიური, იძულება | 5 | 1 | 6 |
| 5 | სიტყვიერი შეურაცხყოფა | 53 | 9 | 11 |
| 6 | ფიზიკური | 43 | 23 | 9 |
| 7 | ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიური | 11 | 3 | 7 |
| 8 | ფსიქოლოგიური, ეკონომიური | 12 | 1 | 5 |
| 9 | ფიზიკური, სიტყვიერი შეურაცხყოფა | 34 | 20 | 18 |
| 10 | ფსიქოლოგიური, სიტყვიერი | 1 | 3 | 3 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 11 | ეკონომიური | 6 | 2 | -- |
| 12 | ფიზიკური, ეკონომიური | 1 | 2 | 3 |
| 13 | ფიზიკური შეურაცხყოფა | 2 | -- | 1 |
| 14 | იძულება | 4 | 2 | -- |
| 15 | ფიზიკური, ფსიქოლოგიური, იძულება | 1 | -- | 2 |
| 16 | ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური | 2 | 1 | -- |
| 17 | ფიზიკური, მორალური | -- | 1 | 1 |
| 18 | ფსიქოლოგიური, ძალადობა | -- | 1 | -- |
| 19 | ფსიქოლოგიური, სექსუალური | 1 | -- | -- |
| 20 | ფიზიკური, სექსუალური | 3 | -- | -- |

ჩვენ მიერ წარმოდგენილ ცხრილში 2007-2008-2009 წლების მაჩვენებელია მოყვანილი. მართალია, თითქოსდა არის ძალადობის კლების ტენდენცია, მაგრამ ჩვენ ვიცით აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ტრადიციულ საზოგადოებაში სირცხვილად არის მიჩნეული ოჯახური პრობლემების გარეთ გატანა და მისი საჯაროობა. როდესაც ამ სტატისტიკას ვეცნობით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ არაოფიციალური მხარეც.

პროფესიონალი იურისტებისათვის ცნობილია უფრო ადრინდელი მონაცემებიც, რომლებიც ხუთი წლის მონაკვეთს შეიცავს. ნ. გაბრიჩიძემ 1998-2002 წლებში ოჯახური ძალადობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის დინამიკა და გამომწვევი მიზეზები შეისწავლა და საგანგაშო სურათიც მიიღო. ამ წლების მონაცემების მიხედვით, თითქმის ყველა რეგიონში, გარდა სამცხე-ჯავახეთის, იმერეთისა და რაჭისა, აღინიშნებოდა ოჯახური ძალადობის დანაშაულებათა მატების ტენდენცია. გამოვლინდა კრიმონოლოგიური თავისებურებები, მათი წარმოშობის მიზეზები და გარემოებები. პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, დაისახა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი და ეფექტური მეთოდების გამოყენება, საგამოძიებო პრაქტიკისა და კრიმინალური ხერხების ახლებურად გააზრება და სრულყოფა [3].

პრევენციული ზომების, ახლებური მიდგომის თაობაზე არამარტო თეორეტიკოსები მსჯელობენ და კამათობენ, არამედ სახელმწიფოც აქტიურად მოქმედებს. საქართველოს

კონსტიტუციის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია: „სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას“, ხოლო „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ მთლიანად აწესრიგებს მძიმე შემთხვევებში მხარეთა უფლებებს. მე-9 მუხლიც ამ საკითხის მოგვარების ერთგვარი მცდელობაა – „თანასწორობა კანონისა და სასამართლოს წინაშე“, რაც იმთავითვე არის სამართლიანობის გარანტი ნებისმიერი მხარისათვის. ასევე მე-11 მუხლით გარანტირებულია „ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვის უფლებების უზრუნველყოფა“.

სისხლის სამართლის კოდექსის IV თავი შეიცავს ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ზიანის სამართლებრივ მხარეს. იურიდიულ პირს აქვს უფლება და ამ უფლების გარანტორია სახელმწიფო (რომ მან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით,იქნება ეს ქონებრივი, ფიზიკური თუ მორალური კუთხით). კანონში 30-ე მუხლის მე-5 პუნქტი განმარტავს: „მორალური ზიანი ანაზღაურდება ფულადი და სხვა ქონებრივი გამოხატულებით, დაზარალებულისთვის დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისათვის, მათ შორის, დასახიჩრების, დამახინჯების, ბიოლოგიური და ფსიქიკური ფუნქციების მოშლისა თუ დაქვეითებისათვის, აგრეთვე სხვა სახის ფიზიკური თუ მორალური ზიანით გამოწვეული განცდისათვის. დანაშაულის შედეგად მიყენებული მორალური ზიანისათვის ფულადი კომპენსაციის ოდენობას ადგენს სასამართლო ზიანის სიმძიმისა და ბრალდებულის (სამოქალაქო მოპასუხის) ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით“ [4, 24].

გარდა ზემოთ თქმულისა, ოჯახური ძალადობის პრევენციას არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც აქტიურად ეწევიან.

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 25 მაისის კანონი ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ არსებულ ვითარებას.

როგორც არსებული ტენდენციები ცხადყოფს, ამგვარი კანონის მიღება და ამოქმედება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სახელისუფლო ორგანოებს, თავიდან აიცილონ მრავალი ფატალური მოვლენა და ფაქტი [5].

ოჯახური ძალადობის აღკვეთის კუთხით მნიშვნელოვანია „შემჩნეულ“ ოჯახებზე ორგვარი ზემოქმედება – ზემოქმედება მთლიანად ამ ოჯახზე, ან მის ცალკეულ პირზე.

ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრებიც გარკვეულწილად მოქმედებს ამ ნეგატიური ქცევის სტანდარტებზე, რომლებიც აქვს ამა თუ იმ პიროვნებას (ან პიროვნებათა გარკვეულ ჯგუფს). დესოციალიზაცია არის ის მოვლენა, როდესაც ხდება გაუცხოება ადამიანებს შორის. ამ დროს მკვეთრად იკლებს ლოგიკური აზროვნება, ქვეითდება პასუხისმგებლობის გრძნობა, სოლიდარობის სურვილი, ერთიანი მიზნებიც უგულებელყოფილია და ოჯახი თუ პიროვნება დეგრადაციისკენ მიექანება. საზოგადოებას შეუძლია და ევალება კიდეც მიიღოს საგანგებო ზომები. ნ. გაბრიჩიძე გვთავაზობს გამოსავლის ორ გზას: 1) კორექციის საშუალებათა სახით გამოყენებულ უნდა იქნეს ის შესაძლებლობა, რომელსაც ფლობს ოჯახი პიროვნების განვითარებისათვის; 2) ზეგავლენა უნდა იყოს იძულებითი [1, 159].

თანამედროვე საზოგადოების პრობლემად სოციალური და ეკონომიური ცხოვრების დონის გაუარესების გამო ოჯახის დაცვა უმთავრეს პრობლემად იქცა. ყველაზე აქტუალური მაინც წინასწარი პროგნოზირება და პრევენციული ზომების შემუშავების მეთოდიკა და მისი დანერგვაა.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება, რომელიც 2005-2010 წლების სამოქმედო გეგმას მოიცავს, ითვალიწინებს მიზანს, ამოცანას, საქმიანობას, შემსრულებელს, ვადას, ინდიკატორს. ამ კატეგორიებით პირველ რიგში დასახულია აქტიური საქმიანობა, რაც მოიცავს მთელ კომპლექსს: „**ოჯახში ძალადობის აღკვეთას, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ**“ საქართველოს ამ კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებსა და დამატებებს, მოქმედი სოციალური მუშაკების დროებითი სტატუსის განსაზღვრას, სოციალურ მუშაკად გადამზადების სპეციალური პროგრამის შექმნას, კანონმდებლობისა და შესაბამისი პრაქტიკის შეფარდებას ოჯახში ძალადობას მსხვერპლ-არასრულწლოვანებთან დაკავშირებით, ოჯახში ძალადობის შემთხვევათა აღრიცხვას, ანონიმურობის მკაცრ დაცვას, სტატისტიკის წარმოებას და მის ანალიზს, მსხვერპლთა დაცვის პროგრამების ამუშავებას და დახვეწას, თავშესაფრების შექმნას, „ცხელი ხაზის“ ამოქმედებას, ოპერატორების მომზადებას, დამცავი და

შემაკავებელი ორდერების მონიტორინგს, საინფორმაციო-საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოებას და ა. შ. [6].

ჩვენ შევეხეთ 2007, 2008 და 2009 წლების მაჩვენებლებს, რაც, ბუნებრივია, ზოგადი მდგომარეობის მხოლოდ ნაწილია. მომავალში მიზნად ვისახავთ მთელი პოსტსაბჭოური ხანის სათანადოდ მიმოხილვას და პრევენციული ზომების საგულდაგულოდ აღნუსხვას. **ოჯახური ძალადობა** ჩვენი ყოველდღიურობის ნეგატიური მოვლენაა და ყველამ უნდა ვცადოთ, საერთო ძალისხმევით მივაღწიოთ მის გონივრულ ზღვარზე მიყვანას და მაქსიმალურად თავიდან აცილებას.

**ლიტერტურა**
**Referenses:**


1. gabriCiZe n., saojaxo konfliqtis Sedegad Cadenili ZaladobiTi danaSauloba, Tb., 2004
2. WWW. studzona. com.
3. **gabriCiZe n.**, saojaxo konfliqtis Sedegad Cadenili mkvlelobis gamoZiebis meTodika. Tb., 2005
4. saqarTvelos sisxlis samarTlis saproceso kodeqsi, anbanur-sagnobrivi saZiebliT, cvlilebebiTa da damatebiT 2007 wlis 25 ianvramde, Tb., 2007
5. **gabriCiZe n.**, ojaxuri Zaladobis kanonis srulyofisaTvis. `marTlmsajuleba~, saqarTvelos uzenaesi sasamarTlos Jurnali, #1, Tb., 2009
6. saqarTvelos prezidentis gankarguleba #304, 2009 wlis 23 aprili, q. Tbilisi (ojaxSi Zaladobis winaaRmdeg brZolisa da ojaxSi Zaladobis msxverplTa dasacavad gasatarebel RonisZiebaTa 2009-2010 wlebis samoqmedo gegmis damtkicebis Sesaxeb)


**Konstantine Dokhnadze**
**Spousal assault: growing problem and peculiarities**

**Summary**

The study and analysis of growing facts of spousal assault is not only a duty of lawyers, law-enforcement agencies, nongovernmental organizations and psychologists but at the same time requires activation and effort from the whole society. From this viewpoint among those measures that should be undertaken the most topical is propaganda (advocacy) and introduction of the newest approved methods. In this regard we think the

most effective is to overcome the social withdrawal (restraint) and to introduce maximum openness.

The 2007, 2008, 2009 data are interesting and their statistics obviously reflects the reality existing today. According to our analysis, the database gives us only approximate picture and for accurate conclusions as we think is necessary fastest elimination of those traditional belief according to which demonstration and giving publicity to domestic problems is considered to be unacceptable.

The 2007-2009 data have been considered and analyzed by us, and that is only the tip of the iceberg (short interval taken from general provisions). Though at this stage it should be stated definitely that beforehand forecasting and newest strategy of preventive measures gives us a possibility to slow down spousal assault to the reasonable limits and to get rid from it as much as possible.

By taking into account international legislative acts worked out against spousal assault step-by-step improvement is self-evident and create certain guarantee for introduction of the new statesmanlike approach and tactics, its actualization and liquidation of many crimes.

**Keywords**: spousal assault, growing facts, law-enforcement agencies, nongovernmental organizations, social withdrawal, liquidation of crime.

**Reviewer:** Professor Zviad Rogava, Georgian Technical University

**Дохнадзе Константин Бадриевич**

**Семейное насилие: растущая проблема и особенности**

**Резюме**

Изучение и анализ увеличивающихся фактов семейного насилия не является обязанностью только лишь юристов, правоохранительных органов, неправительственных организаций и психологов, но и в то же время требует активизации и усилий всего общества. С этой точки зрения среди тех мер, которые необходимо предпринять, актуальной является пропаганда и внедрение новейших апробированных методов. В этом смысле, мы считаем наиболее эффективным преодоление общественной замкнутости и внедрение максимальной открытости.

Интересны данные 2007, 2008 и 2009 годов, статистика которых наглядно отображает существующую сегодня действительность. По нашему анализу, база данных дает только приблизительную картину и для четких выводов нам представляется необходимым быстрейшее

устранение тех традиционных взглядов, согласно которым считается неприемлемым выносить наружу и придавать огласке семейные проблемы.

Мы рассмотрели и проанализированы данные 2007-2009 годов, что, естественно, является только одним коротким промежутком из общего положения. Впрочем, и на этом этапе можно достоверно утверждать, что предварительное прогнозирование и новейшая методика превентивных мер даст нам возможность довести семейное насилие до разумного предела и максимально избавиться от него.

С учетом требований международных законодательных актов, разработанных против семейного насилия постепенное усовершенствование является само собой разумеющимся и определенным гарантом внедрения нового государственного подхода, тактики, проведения ее в жизнь и искоренения многих преступлений.

**Ключевые слова**: семейное насилие, увеличивающиеся факты, правоохранительные органы, неправительственные организации, общественная замкнутость, искоренение преступления.

**Рецензент:** Профессор Рогава Звиад Джемалович, Грузинский технический университет.

მამუკა დვინიაშვილი

# სასამართლო, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტი და მისი უფლებამოსილების ფარგლები

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპებსა და დებულებებს შორის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მოცემულია 42-ე მუხლში, რომლის თანახმად „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“[1]. ანალოგიურ პრინციპს შეიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.[2]

სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების განხილვამდე ალბათ საინტერესოა შევეხოთ თავად მის სტრუქტურულ მოწყობას. სასამართლო, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტი, კონსტიტუციით მისთვის გათვალისწინებული უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ როლს ასრულებს სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებაში, შესაბამისად რთულია თავად მისი სტრუქტურული მოწყობაც. თანახმად „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონისა მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. საერთო სასამართლოების სისტემა კი შედგება რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და უზენაესი სასამართლოებისაგან [3], თითოეულ სასამართლო ინსტანციას გააჩნია საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

სასამართლოს, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტის როლი, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სუბიექტებს შორის სადავო ურთიერთობის გადაწყვეტაში.

ფიზიკური თუ იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის საპროცესო უფლებების რეალიზაციის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც ირღვევა მისი მატერიალურ-სამართლებრივი უფლებები და ინტერესები, შესაბამისად, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წარმოადგენს კერძო სამართლის დარგს და განამტკიცებს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა „კერძო ავტონომიის“ პრინციპს, საპროცესო უფლებათა რეალიზაციაზე გადაწყვეტილების მიღებაც მხოლოდ სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ნებაზეა დამოკიდებული.

მატერიალური სამართლით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა „კერძო ავტონომიიდან“

გამომდინარე შესაბამისი ასახვა მოხდა საპროცესო კანონმდებლობაში, კერძოდ, ჩამოყალიბდა შემდეგი პრინციპები:

1. დისპოზიციურობა – რაც გულისხმობს დავის საგნის განსაზღვრას და სარჩელის შეტანაზე გადაწყვეტილების მიღებას თავად მოსარჩელის მიერ, ანუ, საპროცესო უფლებების განკარგვას თავად მოსარჩელის მიერ, რაც შეიძლება განხორციელდეს ასევე წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლოს უფლება არა აქვს იმსჯელოს ისეთ საკითხზე, რომელიც მხარეთა მიერ სადავო არ გამხდარა, მხარეს გადაწყვეტილებით მიაკუთვნოს ის, რაც მას არ მოუთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა [4]. „სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით, მოპასუხის შეგებებული მოთხოვნის, აგრეთვე მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით". სასამართლოს „უფლება არა აქვს მიაკუთვნოს მოსარჩელეს იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, საქმის მასალებით კიდეც რომ დასტურდებოდეს უფრო მეტის მოთხოვნის საფუძველი" [5].

2. შეჯიბრებითობის პრინციპი – რაც გულისხმობს ფაქტებისა და მათი დადასტურებისათვის საჭირო მტკიცებულებების წარდგენას თავად მხარეების მიერ. ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სასამართლოს პირდაპირ ვალდებულებას თავისი ინიციატივით შეეკრიბა საქმის გარემოებათა გამორკვევისათვის საჭირო მასალები და მტკიცებულებები. [6]

დისპოზიციურობის პრინციპთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ განჩინებაში აღნიშნა: „სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილი უფლების სასამართლო წესით დაცვა და მართლმსაჯულების განხორციელება დამოკიდებულია იმ პირის მიერ სასამართლოსათვის სარჩელითა თუ განცხადებით მიმართვაზე, რომელიც მიიჩნევს, რომ მისი უფლება დარღვეულია, ამავე კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად კი მხარეები თავადვე განსაზღვრავენ დავის საგანს და იღებენ გადაწყვეტილებას დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების სასამართლო წესით დაცვის შესახებ" [7].

გერმანული კანონმდებლობის თანახმად დისპოზიციურობა ეს არის სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს „კერძო ავტონომიიდან", დისპოზიციურობის პრინციპის თანახმად

მხარეები თვითონ განსაზღვრავენ კონკრეტული დავის დაწყებას, გაგრძელებას და შეწყვეტას, რაც ნიშნავს მხარეთა საპროცესო უფლებების განკარგვას თავად მათი ინიციატივით. გერმანულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ასევე გათვალისწინებულია დისპოზიციურობის საწინააღმდეგო პრინციპი – სარჩელის აუცილებელი აღძვრის პრინციპი, რომელიც გამომდინარეობს სისხლის სამართალწარმოებიდან. [8]

რაც შეეხება შეჯიბრებითობის პრინციპს, გერმანულ საპროცესო კანონმდებლობაში ცალკე მუხლის სახით მოცემული არ არის, მაგრამ მისი დებულებები გაბნეულია სხვადასხვა მუხლებში (138-140, 142, 288).

სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებთან დაკავშირებით ანალოგიური მიდგომა აქვს ფრანგ კანონმდებელსაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად მოსამართლე ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება ყველა სასარჩელო მოთხოვნასთან, და მხოლოდ მათთან დაკავშირებით, ხოლო მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად მოსამართლეს უფლება არა აქვს გადაწყვეტილება დააფუძნოს ფაქტებზე, რომლებიც სასამართლო განხილვის საგანს არ წარმოადგენდა, მე-16 მუხლი კი მოსამართლეს ავალდებულებს ნებისმიერ შემთხვევაში, უზრუნველყოს დაცვა და თვითონ დაიცვას შეჯიბრებითობის პრინციპი. [9]

სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლების უკეთ განსაზღვრისათვის უმჯობესია საკითხი განვიხილოთ თავად საქმის განხილვის ეტაპებთან ერთობლიობაში, მით უფრო, რომ რაიონული (საქალაქო), სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების უფლებამოსილებებს შორისაც მნიშვნელოვანი განსხვავებებია.

სასამართლოს უფლებამოსილების პირველი გამოვლინება მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლში და ეს არის სამოქალაქო საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე. აღნიშნული დებულება განამტკიცებს პრინციპს, რომ მხოლოდ სასამართლოს აქვს უფლება განიხილოს სამოქალაქო დავა, მაგრამ მასვე ეკისრება ვალდებულება, რომ კანონით მინიჭებული თავისი უფლების რეალიზაცია (სამოქალაქო საქმის განხილვა) განახორციელოს კანონისა და სასამართლოს

წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე, ანუ, შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვით.

აღნიშნული დებულება ერთგვარად მოიცავს „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის" მე-6 მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებულ პრინციპს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლების შესახებ.

მართლმსაჯულების სამართლიანი განხორციელებისათვის თავის მხრივ, მოსამართლეს სჭირდება მისივე უფლებების კანონით დაცვა. შესაბამისად, საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია მოსამართლის, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი პირის უფლება, იყოს დამოუკიდებელი და ემორჩილებოდეს მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიის უზრუნველსაყოფად 2007 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა სპეციალური კანონი „საერთო სასამართლოების მოსამართლეებთან კომუნიკაციის წესის შესახებ", რომლის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საქმის სასამართლოში შესვლის მომენტიდან ამ საქმეზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე აკრძალულია მოსამართლესთან პროცესის მონაწილის ან სხვა დაინტერესებული პირის კომუნიკაცია, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საქმის ან საკითხის განხილვასთან ან/და საქმის სავარაუდო შედეგთან და არღვევს სასამართლოს/მოსამართლის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობის პრინციპებს. ამავე კანონის მე-2 მუხლის თანახმად კი მოსამართლესთან კომუნიკაციაში მოიაზრება ნებისმიერი ფორმით ურთიერთობა, მიმოწერა, სატელეფონო საუბარი და ა.შ. [10]

სასამართლოს უფლებამოსილებების უმნიშვნელოვანესი ნაწილია გადაწყვეტილებათა სავალდებულოობა [11]. ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმო, ვალდებულია შეასრულოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, განჩინება თუ დადგენილება. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება – ვალდებული პირის მოვალეობა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებაზე წარმოიშობა მხოლოდ

მავალდებულებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სულ სხვაგვარი მიდგომა აქვს საჯარო სამართლის დარგებს. მაგალითად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 148-ე მუხლის თანახმად სადავო თანხისა და სანქციების გადახდის ვალდებულება შეჩერებულად ითვლება საგადასახადო დავის დაწყების დღიდან საქალაქო (რაიონული) სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მართლმსაჯულება სამოქალაქო საქმეებზე ხორციელდება მხოლოდ სასამართლოს მიერ და საქმის განხილვის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ დაინტერესებული პირის სარჩელი, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ნებისმიერი სარჩელი ექვემდებარება სასამართლოს მიერ განხილვას. არსებობს კანონით გათვალისწინებული შემთხვევები, როდესაც სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სარჩელის წარმოებაში მიღებასა და განხილვაზე. მაგალითად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება განსახილველად გადაეცეს არბიტრაჟს.

საარბიტრაჟო განხილვაზე შეთანხმება არის მხარეთა მიერ დავის გადაწყვეტისათვის ალტერნატიული გზის არჩევა, რომელიც შეიძლება სასამართლო განხილვისაგან სრულიად განსხვავებულ წესებს ითვალისწინებდეს. შესაბამისად, თუ მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს იმ დავის გადაწყვეტისათვის, რომელზეც დადებულია საარბიტრაჟო შეთანხმება, სასამართლომ უარი უნდა თქვას ასეთი სარჩელის წარმოებაში მიღებასა და განხილვაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროდ მიმაჩნია შემდეგის აღნიშვნა: 2010 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა „არბიტრაჟის შესახებ" კანონი, რომლის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად სასამართლო, რომელშიც შეტანილია სარჩელი იმ დავის არსებით საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმების საგანია, ვალდებულია ამ საკითხზე საარბიტრაჟო განხილვის დაწყების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე უარი თქვას სარჩელის მიღებაზე ან შეწყვიტოს წარმოება, გარდა იმ

შემთხვევისა, თუ აღმოაჩენს, რომ საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.

მითითებული ნორმიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, შესაძლებელია სასამართლომ განიხილოს ისეთი დავა, რომელზეც მხარეთა შორის დადებულია საარბიტრაჟო შეთანხმება, მაგრამ აქ ალბათ საუბარია ისეთ შემთხვევაზე, როდესაც სარჩელის შეტანის მომენტში არ დგინდება მხარეთა შორის საარბიტრაჟო განხილვაზე შეთახმების არსებობა (მაგალითად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმება გაფორმებულია არა ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის სახით, არამედ ცალკე წერილობითი ფორმით და მოსარჩელემ სარჩელის შეტანისას არ დაურთო იგი სარჩელს). ნებისმიერ შემთხვევაში, ვინაიდან სამოქალაქო სამართალწარმოების განხორციელებისას სასამართლოსათვის სპეციალური კანონი – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლი გამორიცხავს ასეთი სარჩელის განხილვას, სასამართლომ, ამ გარემოების შეტყობისთანავე, ამავე კოდექსის 272-ე მუხლის „ვ" პუნქტის საფუძველზე წარმოებაში მიღებულ სარჩელზე საქმის წარმოება უნდა შეწყვიტოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება უწყებრივი ქვემდებარეობის წესის დარღვევას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილიც სწორედ ამიტომ აღნიშნავს, რომ რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს, ანუ, საქმეები, რომლებიც უწყებრივად ექვემდებარება არბიტრაჟს (სსკ მე-12 მუხლი) ან სხვა ორგანოს (მე-11 მუხლის მე-3 ნაწილი), არ შეიძლება განიხილოს სასამართლომ.

საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია განსჯადობის წესების დაცვა. ქართული საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს განსჯადობის რამდენიმე სახეს (საერთო, განსაკუთრებული, ქონებრივი, ნივთობრივი, ოჯახური დავების განსჯადობა). სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს მხოლოდ ის საქმეები, რომლებიც განსჯადობით ექვემდებარება მას. მაგალითად, თუ მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს 3000 ლარის ღირებულების ქონებრივ დავას, ასეთი გადაწყვეტილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის „ა" პუნქტიდან გამომდინარე იქნება უკანონო და გასაჩივრების შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს მიერ უნდა გაუქმდეს 394-ე მუხლის „ა" პუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს საქმის განხილვას სასამართლოს არაკანონიერი

შემადგენლობის მიერ. საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს გამონაკლისსაც, როდესაც არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება გახდეს განსჯადი, მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მოპასუხე არ იყოს წინააღმდეგი და თანხმობა გამოთქვას საქმის განხილვაში მონაწილეობაზე. [12]

შეიძლება ადგილი ქონდეს ისეთ შემთხვევას, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდებოდეს ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო. ასეთ შემთხვევაში განსჯადობის საკითხზე გადაწყვეტილებას იღებენ თავად მხარეები, რასაც აფორმებენ წერილობით (სსკ 21-ე მუხლის პირველი ნაწილი).

განსჯადობის პრინციპის განმარტებისას რუსი მეცნიერები ამ საკითხს კონსტიტუციურ-სამართლებრივ დატვირთვას ანიჭებენ და აღნიშნავენ, რომ „განსჯადობის ინსტიტუტის მნიშვნელობა უპირველეს ყოვლისა ვლინდება იმაში, რომ დაინტერესებულ პირს, სწორედ აღნიშნული ინსტიტუტის თანახმად, შესაძლებლობა აქვს რეალიზაცია გაუკეთოს თავისი კონსტიტუციური უფლების სასამართლო წესით დაცვას. მით უმეტეს, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი აღნიშნავს, რომ არავის არ შეიძლება შეეზღუდოს საქმის იმ სასამართლოში და იმ მოსამართლის მიერ განხილვის უფლება, რომელთა განსჯადობასაც ექვემდებარება იგი კანონით“. [13]

განსჯადობის საინტერესო შემთხვევას ითვალისწინებს უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კერძოდ, იმ სამოქალაქო საქმეების განსჯადობა, რომლებშიც ერთ-ერთ მხარედ გამოდის ის სასამართლო ან მოსამართლე, რომელიც იხილავს საქმეს, განისაზღვრება ზემდგომი სასამართლოს მოსამართლის დადგენილებით, ხოლო იმ სამოქალაქო საქმეების განსჯადობა, რომლებშიც ერთ-ერთი მხარე უკრაინის უზენაესი სასამართლო ან მოსამართლეა, განისაზღვრება საერთო განსჯადობის წესებით. [14]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად სამოქალაქო სამართალწარმოება ყველა შემთხვევაში იწყება პირველი ინსტანციის სასამართლოდან. სულ რამდენიმე წლის წინ, საოლქო სასამართლოებში არსებობდა სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიები, რომლებიც პირველი ინსტანციის წესით განიხილავდნენ გარკვეული კატეგორიის დავებს. 2005 წლის 23 ივნისის ცვლილებებით აღნიშნული კოლეგიები, როგორც პირველი ინსტანციის წესით საქმის

განმხილველი სასამართლოები, გაუქმდა და ჩამოყალიბდა სამ საფეხურიანი სამოქალაქო სამართალწარმოება – პირველი, სააპელაციო და საკასაციო სამართალწარმოება. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გარკვეული კატეგორიის საქმეების პირველი ინსტანციის წესით განხილვას თავად უზენაესი სასამართლოს მიერ და ეს შეეხება სამოქალაქო დავებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საიდუმლოებასთან, ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების კანონიერებასთან, პოლიტიკური პარტიების რეგიონალური განყოფილებებისა და სტრუქტურული ქვეგანყოფილებების საქმიანობის შეწყვეტასთან და სხვა. [15]

შემდეგი საკითხი, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებებს შეეხება, ეს არის საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობა და აცილება. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება საქართველოში ხორციელდება სამი ინსტანციის სასამართლოში. საინტერესოა თითოეულ ინსტანციაში შემადგენლობის ფორმირების წესებიც. მაგალითად, პირველი ინსტანციით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმეები განიხილება ერთპიროვნულად, სააპელაციო და საკასაციო წარმოება კი ხორციელდება კოლეგიურად სამი მოსამართლის მიერ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმეს განიხილავს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა. [16]

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-3 ნაწილით, გამონაკლისის სახით გათვალისწინებულია ასევე სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვა ერთპიროვნულად და ეს შესაძლებელია შრომის სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე დავების, 10 000 ლარამდე ღირებულების ქონებრივი დავებისა და ამავე კოდექსის მე-14 მუხლით გათვალისწინებული საქმეების განხილვისას. მე-14 მუხლი კი ითვალისწინებს მაგისტრატ მოსამართლეთა მიერ განსახილველი საქმეების ჩამონათვალს.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის წევრთა რაოდენობას, ეს საკითხი მოწესრიგებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლში, რომელიც გვეუბნება, რომ დიდი პალატა საქმეს განიხილავს 9 მოსამართლის შემადგენლობით, რომელთა შორის შედიან ამ საქმის თავდაპირველად განმხილველი მოსამართლეები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლით გათვალისწინებული წესიდან არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ, ამავე კოდექსის 26-ე მუხლი პირველი ინსტანციის მოსამართლეს, რომელიც საქმეს იხილავს, უფლებამოსილებას ანიჭებს დაადგინოს საქმის კოლეგიური შემადგენლობით განხილვა იმ შემთხვევაში, თუ საქმის განხილვასა და გადაწყვეტას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასამართლო პრაქტიკისათვის ან საქმე ფაქტობრივი ან სამართლებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული სირთულით ხასიათდება. აქვე გასათვალისწინებელია მითითებული მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმად კოლეგიური წესით საქმის განხილვის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მთავარი სხდომის დაწყებამდე, ანუ საქმის მომზადების ეტაპზე. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვის წესს ითვალისწინებს ასევე უკრაინის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ კოლეგიის შემადგენლობაში შედიან ერთი მოსამართლე და ორი სახალხო მსაჯული. [17]

ქართული საპროცესო კანონმდებლობის თანახმად კოლეგიური შემადგენლობის მიერ საქმის განხილვისას მოქმედებს ხმათა უბრალო უმრავლესობის პრინციპი და კოლეგიის არც ერთ წევრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს რომელიმე საკითხის გადაწყვეტისაგან. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ კოლეგიის წევრი მოსამართლე ვალდებულია მისაღებ გადაწყვეტილებას დაუჭიროს მხარი ან თუ წინააღმდეგია, თავისი პოზიცია ჩამოაყალიბოს წერილობით, ანუ, სასამართლოში არ მოქმედებს საკანონმდებლო ორგანოში გადაწყვეტილების მიღების წესი – ხმის მიცემისაგან თავის შეკავება.

რამდენიმე სიტყვით შევეხები მოსამართლის უფლებას, რაც მდგომარეობს განსხვავებული აზრის ჩამოყალიბებაში. ზემოთ აღინიშნა, რომ მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. არავის და მათ შორის, არც კოლეგიის შემადგენლობის სხვა წევრებს, არა აქვთ უფლება, რომ გადაწყვეტილების მიღების მიზნით რაიმე სახის ზეგავლენა მოახდინონ მოსამართლეზე. ამიტომ, საპროცესო კანონმდებლობა შეიცავს დებულებას კოლეგიური წესით საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ განსხვავებული აზრის ჩამოყალიბების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლე, რომელიც დარჩა განსხვავებულ აზრზე, ხელს

აწერს კოლეგიის მიერ უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ წერილობით აყალიბებს თავის განსხვავებულ მიდგომას სადავო საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით, რის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს გადაწყვეტილების გამოცხადების დროს, დაერთვება საქმეს, მაგრამ სხდომის დარბაზში მისი შინაარსი საჯაროდ არ გამოცხადდება.

საინტერესოა ამ საკითხზე სხვა ქვეყნებში ჩამოყალიბებული წესების განხილვა. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი გადაწყვეტილებების მიღების იგივე წესს ითვალისწინებს, რაც მოცემულია ქართულ კანონმდებლობაში (საუბარია მოსამართლეთა თათბირზე, თათბირის საიდუმლოებასა და გადაწყვეტილების მიღებაზე ხმათა უბრალო უმრავლესობით), მაგრამ „განსხვავებული აზრის“ ცნებას ფრანგული კანონმდებლობა არ იცნობს. გარდა ამისა, გადაწყვეტილებას ხელს აწერენ კოლეგიის თავმჯდომარე ან კოლეგიის რომელიმე მოსამართლე და მდივანი. [18]

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი ითვალისწინებს მოსამართლის განსხვავებული აზრის ჩამოყალიბებას, რომელიც დაერთვება საქმეს, მაგრამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისას არ გამოცხადდება. ამავე მუხლის თანახმად კოლეგიური წესით გადაწყვეტილების მიღებისას თავმჯდომარე ხმას აძლევს ბოლოს. რუსმა მეცნიერმა მ. ნოვიკ-კაჩანმა თავისებური ახსნა მოუძებნა ხმის მიცემის რიგითობის ამგვარ წესს და განმარტა: კოლეგიის წევრი ყველა მოსამართლე სამართალწარმოებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტაში ფლობენ თანაბარ უფლებამოსილებებს, რაც გარანტირებულია იმითაც, რომ კოლეგიის თავმჯდომარეს ვალდებულება ეკისრება საკითხის გადაწყვეტას ხმა მისცეს ბოლოს. ხმის მიცემის განსხვავებულ წესს კი, თავმჯდომარის ავტორიტეტის გამო, შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების შედეგზე. [19]

ვფიქრობ აღნიშნული მსჯელობა საკამათოა, ვინაიდან თავად რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით აღიარებული და დაცულია მოსამართლის დამოუკიდებლობა და მისი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება. მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა და მასზე ნებისმიერი სახით ზეგავლენის მოხდენა, ვისგანაც არ უნდა ხორციელდებოდეს ამგვარი ქმედება, კანონსაწინააღმდეგოა. თუ მხედველობაში მივიღებთ იგივე

რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 156-ე მუხლით გათვალისწინებულ კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილებებს მივალთ დასკვნამდე, რომ თავმჯდომარე არის სასამართლო სხდომის ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს პროცესის ნორმალურ სამუშაო ვითარებაში წარმართვას, საქმის განხილვისას ფაქტებისა და გარემოებების ყოველმხრივ და სრულ გამოკვლევას, ხოლო გადაწყვეტილების მიღებისას სათათბირო ოთახში ის ისეთივე თანაბარი უფლებებით სარგებლობს, როგორც კოლეგიის სხვა წევრები.

შემდეგი საკითხი, რომელიც სასამართლოს უფლებამოსილებების განმსაზღვრელია, ეს არის სამართალწარმოების განმახორციელებელი პირის – მოსამართლის უფლება, მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ საქმის განხილვაში და გამოიტანოს გადაწყვეტილება. ნებისმიერ ადამიანს, მის ცნობიერებაში და ცხოვრებაში წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით გააჩნია ინდივიდუალური ემოციური დამოკიდებულება და მათზე მიღებული გადაწყვეტილებების ინდივიდუალური ახსნა, მაგრამ პრინციპი იმისა, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს კეთილსინდისიერებას და პირთა თანასწორობას, განმტკიცებულია როგორც სახელმწიფოს მიერ მიღებული კანონებით, ასევე ცხოვრებისეული წესებით. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დასაწყისშივე გვამცნობს, რომ ეს კოდექსი აწესრიგებს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს, [20] ამავე კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას და ა.შ. ანალოგიური სულისკვეთების და შინაარსის ნორმები გაბნეულია სამოქალაქო კოდექსის სხვადასხვა თავებში, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ურთიერთობის არაკეთილსინდისიერი მონაწილის მიერ ირღვევა სხვისი უფლება ან კანონით დაცული ინტერესი და საკითხის სამართლიანად გადაწყვეტისათვის საჭირო ხდება სადავო ურთიერთობაში სასამართლოს სახით სახელმწიფოს ჩართვა.

დავის სამართლიანად და კანონიერად გადაწყვეტის წინაპირობა არ არის მხოლოდ საქმის განმხილველი მოსამართლის პროფესიული გამოცდილება და სამართლის დარგის კარგი ცოდნა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს. მიმაჩნია,

რომ მოსამართლის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი სწორედ მისი, პირადი ემოციებისაგან და სუბიექტური დამოკიდებულებისაგან თავისუფალი მდგომარეობაა, რაც მხოლოდ და მხოლოდ კანონით ხელმძღვანელობას და შესაბამისად, დავის კანონიერად გადაწყვეტას ნიშნავს.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის პირველი მუხლით უზრუნველყოფილია საქმის სამართლიანი განხილვა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. [21] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ.

სწორედ კანონიერი და სამართლიანი სასამართლო განხილვის უზრუნველყოფის მიზნით სამოქალაქო საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულია მთელი რიგი საფუძვლებისა, თუ რა შემთხვევებში ეკრძალება მოსამართლეს კონკრეტული საქმის განხილვაში მონაწილეობა. საქმის განხილვაში მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოების არსებობისას კი მოსამართლის კანონისმიერი ვალდებულებაა განაცხადოს თვითაცილება, ანუ უარი თქვას საქმის განხილვაში მონაწილეობაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ თავად მოსამართლე არ აცხადებს თვითაცილებას, მხარეებს უფლება აქვთ თავად მოითხოვონ მისი აცილება. [22] მაგალითად, მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ განიხილა სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც გასაჩივრდა სააპელაციო საჩივრით. სააპელაციო საჩივრის განხილვამდე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომტანი მოსამართლე დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ. ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მოსამართლე ვერ იქნება სააპელაციო საჩივრის განმხილველი კოლეგიის წევრი თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილისა, ვინაიდან, მოსამართლე, რომელიც მონაწილეობას ღებულობდა საქმის პირველი ინსტანციით განხილვაში, ვერ მიიღებს მონაწილეობას ამ საქმის განხილვაში სააპელაციო ინსტანციის ან/და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ანალოგიური მაგალითების მოყვანა შეიძლება ასევე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების სხვა საფუძვლებზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია მოსამართლის, ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის და სხდომის მდივნის აცილება. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად კი აცილებას ექვემდებარებიან ასევე სასამართლოს კანცელარიის თანამშრომლები. [23]

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ვინაიდან სამოქალაქო სამართალწარმოების სუბიექტი არის პროკურორიც, შესაძლებელია მისი აცილებაც, იმავე საფუძვლებით, რაც გათვალისწინებულია მოსამართლის აცილების შემთხვევაში. [24]

გარდა აცილების საფუძვლებისა კანონი განსაზღვრავს ასევე აცილების გაცხადების წესს და პირთა წრეს, რომლებსაც შეუძლიათ განაცხადონ აცილება. ესენი არიან მხარეები, მხარის უფლება-მოვალეობების მქონე მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით (სსკ 88-ე მუხლის მე-2 ნაწილი) და მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე (სსკ 91-ე მუხლი). აცილების შესახებ აღნიშნულ პირთა მიერ განცხადება უნდა გაკეთდეს საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების დროს. აცილების თაობაზე შემდგომი განცხადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აცილების საფუძველი იმ პირისათვის, რომელიც აცილებას მოითხოვს, ცნობილი გახდა ან წარმოიშვა მთავარი სხდომის დაწყების შემდეგ. ასეთ შემთხვევაში განცხადება აცილების შესახებ დასაშვებია მხარეთა პაექრობამდე. [25]

რაც შეეხება გაცხადებული აცილების განხილვისა და გადაწყვეტის წესს, იგი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლში და მის დეტალურ განხილვას აღარ შევუდგები.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მოქმედი ქართული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მთლიანად ეფუძნება მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს. შეჯიბრებითობის პრინციპის არსი მოცემულია კოდექსის XIII თავში, სადაც ნათქვამია, რომ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, მტკიცებულბებს კი სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. შედარებისთვის, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის

თანახმად სასამართლოს უფლება ქონდა თავისი ინიციატივით შეეკრიბა მტკიცებულებები. პრაქტიკულად ეს ნიშნავდა იმას, რომ სასამართლო აღჭურვილი იყო მხარის უფლებამოსილებებით და შეეძლო განსახილველ საქმესთან დაკავშირებით თვითონ, მხარეთა თხოვნის არარსებობის შემთხვევაში, შეეკრიბა ნებისმიერი მტკიცებულება.

მოქმედმა საპროცესო კანონმდებლობამ უარი თქვა აღნიშნულ ე.წ. „ინკვიზიციურობის" პრინციპზე და საქმის წარმოებისას ფაქტებისა და გარემოებების მტკიცების ტვირთი მთლიანად მხარეებს დააკისრა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლით მართალია გათვალისწინებულია სასამართლოს უფლება, რომ შესთავაზონ მხარეებს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენა, ან თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, მაგრამ ამ შემთხვევებში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები:

1. სასამართლოს მხრიდან შეთავაზება მტკიცებულებების წარმოდგენაზე უნდა ემსახურებოდეს სიმართლის გარკვევას და არ უნდა კეთდებოდეს რომელიმე მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით. [26]

2. იმისათვის, რომ სასამართლომ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულება, აუცილებელია ორი პირობის ერთდროულად არსებობა: ა) მხარეებმა თვითონ ვერ შეძლეს მტკიცებულების მიღება ამა თუ იმ პირისაგან ბ) მხარეებმა მიმართეს სასამართლოს შუამდგომლობით, რომ მან გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი და თვითონ გამოითხოვოს ეს მტკიცებულებები. [27]

როდესაც საუბარია მტკიცებულებების შეგროვება-შეფასებაზე აუცილებელია აღინიშნოს, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. [28] აღნიშნული ნორმა სასამართლოს უფლებას ანიჭებს მტკიცებულებები შეაფასოს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და გამოიტანოს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად სასამართლო, სრული სასამართლო განხილვისა და მტკიცებულებების გამოკვლევის შედეგების მხედველობაში მიღებით, თუ იგი ჩატარდა, თავისუფალი შეხედულებით წყვეტს,

უნდა ჩაითვალოს თუ რა ფაქტობრივი დასაბუთება ჭეშმარიტებად ან ჭეშმარიტებასთან შეუსაბამოდ. [29]

ფაქტებისა და გარემოებების მტკიცების ტვირთი ასევე მთლიანად მხარეებზე არის გადატანილი საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაშიც. თითოეული მხარე ვალდებულია კანონის შესაბამისად დაამტკიცოს მისი სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი ფაქტები. [30] თუ რომელიმე მტკიცებულება იმყოფება მხარესთან, მოსამართლეს უფლება აქვს, მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, პირველ მხარეს დაავალოს მისი სასამართლოში წარმოდგენა. [31]

და ბოლოს, სასამართლოს ექსკლუზიური უფლებამოსილება – გადაწყვეტილების გამოტანა. სასამართლო გადაწყვეტილება – ესაა საქართველოს სახელით გამოტანილი დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად წყდება. [32]

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა რამოდენიმე წინადადებით გადმოგვცემს იმ საკითხებს, რომლებიც უნდა გადაწყდეს გადაწყვეტილების გამოტანისას. ეს საკითხებია, მტკიცებულებათა შეფასება, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე დადგენილი და დაუდგენელი გარემოებების განსაზღვრა, კანონის გამოყენება და სარჩელის დაკმაყოფილება ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. [33]

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილებას, ესაა მისი ფარგლები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლის თანახმად სასამართლოს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს თავისი გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა. ეს არის დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება. სასამართლო შებოჭილია მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებით, მოპასუხის შეგებებული მოთხოვნის, აგრეთვე მესამე პირის სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით. მოთხოვნის (სარჩელის საგნის) შეცვლის ან მისი გადიდების უფლება აქვს მხოლოდ მოსარჩელეს. [34]

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში მოქმედი საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით პირდაპირ იყო გათვალისწინებული სასამართლოს უფლება, რომ რიგ შემთხვევებში გასცდენოდა მოსარჩელის მიერ განცხადებულ მოთხოვნათა ფარგლებს. ეს შემთხვევები იყო სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა,

ორგანიზაციათა და სხვა პირთა ინტერესების დაცვის აუცილებლობა. [35]

საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 480-ე მუხლის მე-2 ნაწილი განმარტავს, რომ საქმის არსებითად განხილვის საფუძველზე გადაწყვეტილების გამოტანისას, არსებით განხილვაში იგულისხმება სასამართლო დავის საგანი, როგორც ეს განსაზღვრულია მე-4 მუხლში. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად კი სასამართლო დავის საგანი განისაზღვრება მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებით. ანუ, საფრანგეთის საპროცესო კანონმდებლობა სასამართლო გადაწყვეტილების ფარგლებში მოიაზრებს პასუხს მხოლოდ მხარეთა მიერ წარდგენილ მოთხოვნებზე.

## ლიტერატურა

**Referenses:**

1.saqarTvelos konstitucia, muxli 42.
2.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 2, pirveli nawili.
3.`saerTo sasamarTloebis Sesaxeb~ saqarTvelos kanoni, muxli 1-2.
4.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 248.
5.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsis komentari, meore gamocema, Tengiz liluaSvili, valeri xrustali, Tbilisi, 2007 weli, gv. 438-439.
6.saqarTvelos ssr samoqalaqo samarTlis saproceso kodeqsi, muxli 11 da 52.
7.saqarTvelos uzenaesi sasamarTlos 07.05.2010 wlis ganCineba, saqme #as-403-376-2010.
8.Гражданский процесс зарубежных стран, А.Г. Давтян, издательство «Проспект», Москва, 2009 год, с. 29-30.
9.Новый гражданский процессуальный кодекс Франции, Статья 16.
10.`saerTo sasamarTloebis mosamarTleebTan komunikaciis wesis Sesaxeb~ saqarTvelos kanoni, muxli 2-3.
11.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 10.
12.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 21, me-2 nawili.
13.Гражданский процесс, 7-е издание, издательство «Волтерс Клувер», Москва, 2009 год, с. 177.
14.Гражданский процессуальный кодекс Украины, Статья 108.
15.Гражданский процессуальный кодекс Российской Федерации, Статья 26.
16.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxlis 25.
17.Гражданский процессуальный кодекс Украины, Статья 18
18.Новый гражданский процессуальный кодекс Франции, Статья 456.

19.Коментарий к гражданскому процессуальному кодексу Российской Федерации, 4-е издание, издательство «Проспект», Москва, 2009 год, с. 45.

20.saqarTvelos samoqalaqo kodeqsi, muxli 1.

21.`samoqalaqo uflebaTa da movaleobaTa gansazRvrisas an wardgenili nebismieri sisxlissamarTlebrivi braldebis safuZvlianobis gamorkvevisas yvelas aqvs gonivrul vadaSi misi saqmis samarTliani da saqveyno ganxilvis ufleba kanonis safuZvelze Seqmnili damoukidebeli da miukerZoebeli sasamarTlos mier~.

22.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 33.

23.`sasamarTlos kancelariis TanamSromlebi miekuTvnebian sasamarTlos Tanamdebobis pirTa ricxvs, romlebic uflebamosilni arian Seadginon da daamowmon dokumentebi, awarmoon reestrebi da a.S. rogorc wesi, is aris saSualo rangis Tanamdebobis piri~.

24.Новый гражданский процессуальный кодекс Франции, Статья 341.

25.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 33.

26.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsis komentari, meore gamocema, Tengiz liluaSvili, valeri xrustali, gamomcemloba `samarTali~, Tbilisi, 2007 weli, gv. 204.

27.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsis komentari, meore gamocema, Tengiz liluaSvili, valeri xrustali, gamomcemloba `samarTali~, Tbilisi, 2007 weli, gv. 204-205.

28.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 105, nawili pirveli.

29.Гражданское процессуальное уложение Германии, Статья 286.

30.Новый гражданский процессуальный кодекс Франции, Статья 9.

31.Новый гражданский процессуальный кодекс Франции, Статья 11.

32.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsis komentari, meore gamocema, Tengiz liluaSvili, valeri xrustali, gamomcemloba `samarTali~, Tbilisi, 2007 weli, gv. 433.

33.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsi, muxli 244.

34.saqarTvelos samoqalaqo saproceso kodeqsis komentari, meore gamocema, Tengiz liluaSvili, 35.valeri xrustali, gamomcemloba `samarTali~, Tbilisi, 2007 weli, gv. 438.

35.saqarTvelos ssr samoqalaqo samarTlis saproceso kodeqsi, muxli 201.

**Mamuka Ghviniashvili**

**Court as a subject of civil proceedings and scopes of its authority**

## Summary

Court carries an utmost role in solvency of disputes between parties.

The necessity for realization of procedural rights of natural or legal persons, as a legal subjects, arise in case of violation of his/her material-legal rights and interests. Respectively, as the Civil Code of Georgia represents the field of private law, and strengthens the principle of "private autonomy" of the participants of civil relations, decision making on realization of procedural rights depend on the will of participants of civil relations only.

Coming out from the “private autonomy” relations between parties provided by the material law, the proper procedure was reflected in the procedural legislation, which is expressed in the principles of disposition and adversariality.

The justice is implemented on civil cases only by the court, on the base of equality of all persons before law and court. The above mentioned provision strengthens the principle, that only court has a right to consider civil cases, but the court, at the same time is obliged to realize its right (examination of civil cases) on the base of equality of all persons before law and court, in other words according to the principle of adversariality. Besides, in order to implement fair justice, a judges’ rights needs to be protected by the law.

The utmost part of the court authority is the binding force of judgments. Every natural or legal persons, state, public or private enterprises are obliged to execute the court decision, verdict or resolution, which are in legal force.

There are occasions envisaged by law when the court should reject the plaintiff. For example, parties of material legal dispute had concluded an agreement on transfer of case for examination to the arbitration court. The agreement by the parties on examination of a case by the arbitration court is the selection of an alternative way, which may be totally different from the consideration rules of the court.

The courts’ exclusive authority is to deliver a judgment. Court judgment – this is a resolution by the name of Georgia, according to which the case is examined essentially. When pronouncing the judgment, the court shall evaluate the evidences, determine what facts of the case are established, what law shall be applied to this case and shall the action be satisfied or not.

In the article the court, as a subject of civil proceedings and scopes of its' authority, is considered according to the comparative analyze of practice and legislation of different countries.

**Key words:** Court; Justice; Process; Civil Procedural Code; Civil Legislation; Human Right; Arbitration Court; Arbitration Proceedings; State; Private Enterprise; Legal Person; Natural Person; Judge; Board.

**Reviewer:** Professor Valerian Khrustal, Georgian Technical University.

**Гвиниашвили Мамука Цезарович**

**Суд, как субъект гражданского правопроизводства и рамки его правомочия**

**Резюме**

Роль суда, как субъекта гражданского правопроизводства, является особенно значительным в решении спорных отношений между субъектами.

Необходимость реализации процессуальных прав физического или юридического лица, как правового субъекта, наступает тогда, когда нарушается их материально- правовые права и интересы. Исходя из того, что Гражданский Кодекс Грузии является отраслей частного права и укрепляет принцип «Частной автономии» участников гражданских отношений, принятие решения о реализации процессуальных прав завысит только от участников гражданских отношений.

Исходя из «Частной автономии» участников отношений, предусмотренных материальным правом, осуществился соответственное отражение в процессуальном законодательстве, что выражается в принципах диспозиции и соперничества.

Правосудие в гражданских делах осуществляется только судом, на основах равенства всех лиц перед законом и судом. Вышеуказанное положение укрепляет принцип о том, что только суд имеет право рассмотреть гражданский спор и на него же возлагается обязательство осуществить реализацию прав (рассмотрение гражданских дел), присвоенных законом на основах равенства всех лиц перед законом и судом, то есть с соблюдением принципов соперничества. При этом, для справедливого осуществления правосудия судья нуждается в защите его-же прав по закону.

Самой значительной частью правомочий суда является обязательность решений. Любое физическое или юридическое лицо, также как общественное или частное предприятие, обязано выполнять

решение, приговор или постановление суда, вступившее в законную силу.

Бывают случай, предусмотренные законом, когда суд должен отказать истцу в принятии и рассмотрении иска в производстве. Например, когда между участниками спорных материально-правовых отношений заключено соглашение о передачи спора арбитражу для рассмотрения. Соглашение на арбитражное разбирательство - это альтернативная путь выбора для разрешения спора, которая может предусматривать абсолютно отличающие правила от судебного разбирательства.

Суд имеет эксклюзивное правомочие вынести решение. Решение суда- это решение, вынесенное от имени Грузии, которым существенно прекращается дело. Во время принятия решения должна осуществиться оценка доказательств, определение установленных и неустановленных обстоятельств, которые имеют существенное значение для дела, использование закона и удовлетворение иска или отказ на удовлетворение иска.

В статье суд, как субъект гражданского правопроизводства и рамки его правомочия рассмотрены на основе сравнительного анализа законодательств и практики разных стран.

**Ключевые слова:** Суд; правосудие; процесс; гражданский процессуальный кодекс; гражданское законодательство; права человека; арбитражный суд; арбитражное правопроизводство; государство; частное предприятие; юридическое лицо; физическое лицо; судя; коллегия.

**Рецензент:** Профессор Хрусталь Валериан Тенгизович, Грузинский технический университет.

# ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა

**ბადრი ცხადაძე, ეკა ცხადაძე**

## კავკასიის ეტიმოლოგია და მისი ქართული ვარიაციული ძირები (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი)

ორონიმ **კავკასიის** წარმოშობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგვაროვანი მოსაზრება არსებობს. განსხვავებულია ამ ისტორიული ლექსემის ახსნის მიდგომაც და პოსტულატებიც. ჩვენ ამჯერად არა მხოლოდ კავკასიის ეტიმოლოგია გვაინტერესებს, არამედ მისი ენობრივ-არქაული ხატი, უპირველესად, ქართულ-ქართველურ ეთნოკულტურულ გარემოში. გვაქვს თუ არა ქართულში ***კავკასიის*** შემცველი ვარიაციული სიტყვაფორმები და როგორია მისი ლინგვისტურ-ისტორიული და ეტიმოლოგიური ძირები? ამ მხრივ ჩვენი ყურადღება ისტორიული ქართლის ტოპონიმიის უძველესმა გეოგრაფიულმა პუნქტმა **კასპმ**ა მიიქცია.

**კასპი** ისტორიული ტოპონიმია, ძველადვე ქალაქი იყო. საისტორიო ანალებში ვკითხულობთ: (უფლოს) „აღაშენა უფლისციხე... ***კასპი***" (10, 6); პოვნა ციხე-ქალაქნი ... შუაქართლ, ურბნისი" (კ. 17, 20). „ვარსკულავი იგი... გარდასავალსა ზედა ***კასპისასა***, დაადგრა ადგილსა ერთსა" (121, 8-9). „რათამცა მოიხილნა (მან) ***კასპად*** და უფლისციხედ" (109, 10);[1].

ძველი ქართველი ისტორიკოსების ლეონტი მროვლისა და, კერძოდ, ჯუანშერის ცნობით, როდესაც ვახტანგ გორგასალი დაიბადა: „მოითხოვა მეფისაგან საზრდოდ საურმაგ სპასპეტმან ვახტანგ, დიდითა ვედრებითა, ხოლო მიანიჭა მეფემან და მისცა ძე მისი ვახტანგ საურმაგ სპასპეტსა საზრდოდ, რამეთუ წესი იყო, რომელ შვილნი მეფეთანი წარჩინებულთა სახლსა შინა შემდგომად ამისსა, მეექუსესა წელსა, შვა საგდუხტ ასული სხუა, და უწოდა სახელი მისი მირანდუხტ. და მოითხოვა იგი საზრდოდ **სპასალარმან კასპისა**, და მისცა იგი მეფემან; და წარიყვანა იგი **ქალაქად კასპისა**, და იზარდებოდა მუნ" [2, 143].

ამრიგად, როგორც კონტექსტიდან ირკვევა, **კასპს** სპასპეტებიც ჰყოლია. **კასპი,** ჩანს, მაშინაც სახელმწიფო-საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობდა. ***კასპელი სპასპეტი საურმაგი***, რომელიც ვახტანგ

გორგასლის ლაშქრობის დროს მოიკლა, გორგასლის გამზრდელი იყო. ამიტომაც მეფე, როგორც მემატიანე გვეუბნება, „სავსე მწუხარებითა შეიქცა, და იგლოვდა გუამსა ზედა საურმაგისსა, ვითარცა ძმისა საყუარელისასა“ [2, 189].

**კასპი** არა თუ ძველი ქალაქი, ერთ-ერთი უძველესი ციხე-ქალაქი და სახელდებაა მთელს კავკასიის რეგიონში. ნებსით თუ უნებლიეთ, მასთან პარალელის გავლება და ძირეული იდენტურობა „კასპიის ზღვასთან“ უთუოდ შეიძლება. მართლაც, **კასპია** ანუ **კასპიის ზღვა** და საქართველოსეული **კასპი,** როგორც მასალობრივ, ისე წარმომავლობით, ერთი და იგივე ოდენობაა. ის ე. წ. „მიგრაციული ტოპონიმია“. **კასპიის ზღვის** სახელწოდებას სპეციალური მოხსენება და სტატია მიუძღვნა აზერბაიჯანელმა მკვლევარმა ჩ. მირზაზადემ [3, 133-139]. როგორც ცნობილია, კასპიის ზღვას სხვადასხვა დროს (სხვადასხვა საუკუნეში) სხვადასხვაგვარი სახელდებით მოიხსენიებდნენ. ცნობილია მისი სამოცდაათამდე სახელი [4, 8]. ტოპოსახელდების ამდენი ნაირგვარობა უნდა აიხსნას ამ კუთხისა და რეგიონის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობით, ჰავა-კლიმატით, და, რაც მთავარია, მრავალ ტომთა სახლობითა და განსახლება-მიგრაციით. ეს ადგილი ხომ ძველთაგანვე სავაჭრო-საქარავნო ცენტრი და კვანძი იყო აზია-ევროპის გზაგასაყარზე. ამ ადგილს არაერთხელ ახსენებენ არაბი გეოგრაფები და მწერლები: ბაჰრ-ულ-ხაზარი, ბაჰრუ-თაბარისტანი, ბაჰრუ-ჯურჯანი [5, 14].); ბაჰრ-ულ-ბულგარი, ბაჰრ-ურ-რუსი, ბაჰრ-უდ-დეილამი [5, 17-18], ბაჰრ-ულ-ხორასანიი-ლ-ხაზარიი, ბაჰრ-უდ-დუვვარათ-ულ-ხორასანიი [6, 7], ბაჰრ-ულ-ხორეზმი, ბაჰრ-ულ-ჯილი [7, 500], ბაჰრ-უ-ყაზვინი, ბაჰრუ-აბესკუნი, ბაჰრუ-ჯილანი, ბაჰრუ-შირვანი, ბაჰრუ-სარაი, ბაჰრუ-ბაქუ [8, 177]. აღსანიშნავია, რომ კასპიის ზღვის ერთ-ერთი სახელწოდებად **ირკანია** (არისტოტელე) [7, 500] ანუ **ჰირკანია**ც გვევლინება.

დიონისიოს პერეიგეტი (II-III საუკენეთა მოღვაწე) გეოგრაფიული ხასიათის პოემაში „დასახლებული სამყაროს აღწერილობა“-ში ძვირფას ცნობებს გვაწვდის კოლხ-იბერებისა და მის მეზობლად მდებარე მხარეებისა, აგრეთვე ტომების შესახებ. მათ შორის მოხსენიებულია ჩვენთვის საინტერესო ტომები, როგორიც არიან: მეოტები, სავრომატები, სინდები, კიმერიელები, კერკეტები, ტროადიდან გადმოსული აქეელები, პელასგური წარმომავლობის ჰენიოხები და ძიგები; ტინდარიდების მიწის მახლობლად პონტოს ყურეში მოსახლე

კოლხები, რომლებიც ოდესღაც ეგვიპტიდან მოვიდნენ და ახლა კავკასიონთან არიან; კასპიის ზღვისა და ექვსინის პონტოს შუა მდებარე ყელზე მცხოვრები იბერები, რომლებიც აქ პირინეიდან ჩამოსახლდნენ, ***ჰირკანელები,*** კამარიტები, კასპიის ზღვის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროზე მოსახლე სკვითები, უნები, ***კასპიები,*** მეომარი ალბანები, კადისიელები... [9]. (იხ. ასევე სრულად [10]).

აქ, **ჰირკანელებ**ში, ზოგადად იგივე კასპიის ძველი მოსახლეობაა ნაგულვები, **კასპიები** თითქოს სხვა ტომი უნდა იყოს... ამონარიდი „ცხოვრობენ (ალანები] იმავე მეოტიისა და ტანაისთან, მახლობლად ***ჰირკანელთა და კასპიელთა*** გასავალისა, რომელიც ალექსანდრე მეფემ რკინის ჭიშკრებით ჩაკეტა“ [10, 309] თითქოს იმავეს უნდა ნიშნავდეს. შდრ. „***კასპიურ ნიჟარაში – კასპიის ზღვა*** ოკეანესთანაა; მის მახლობლად არის **კასპიის ტომი**, სპარსთა მომიჯნავე...“ ან კიდევ: არტემიდორე, რომელიც კასპიის ზღვის შესახებ მოგვითხრობს „შემოკლებულ გეოგრაფიაში“, წერს: „იგი ოკეანეს მახლობლადაა; მის სანაპიროზე არის **კასპურად** წოდებული ტომი, სპარსთა მომიჯნავე“ [10, 330]. **კასპიის ზღვას** ძველი ბერძნები **კავკასიის ზღვასაც** უწოდებდნენ [10, 331], რადგანაც კავკასიონს ეკვრისო. იქვე შენიშნულია: „უმჯობესია კავკასიის ზღვად აქ ევქსინი ვიგულისხმოთ, რომელიც კავკასიონთანაა ახლო. ფაზისი ხომ ერთვის ევქსინს და არა კავკასიის (კასპიის) ზღვას [10, 331-332].

**სვიდას** სახელით ჩვენამდე მოღწეულ X საუკუნეში შედგენილი ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონში დამოწმებულია ჩვენთვის ღირსსაცნობი **კასპიის კარ[ებ]ი** და **კასპიის მთები**. ცხადია, აქაც, **კასპიის კარ[ებ]ი** და **კასპიის მთები,** კავკასიონს უდრის [87].

ასეთი სინონიმური დამთხვევა არ უნდა გაგვიკვირდეს. არაადგილობრივი ძველი გეოგრაფ-ისტორიკოსებისა, მწერლებისა თუ მოგზაურებისათვის ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის ამგვარი სახელდება ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ., ამ მხრივ გამორჩეულად, ყველაზე მეტი სინონიმური, და ასევე სახეცვლილი, ცალი მოეპოვება **დარიალს** (დარიალის ხეობას) [11]: **დარიალანი, დარალამი, დარუბალ, დარიელი, დარიელა, არაგვის კარი, კავკასიის კარი, სარმატიის კარი, კასპიის კარი, ოვსთა კარი, ივერიის ანუ საქართველოს კარი.** ესენი დღევანდელი **დარიალის** სინონიმური ცალებია (ამის შესახებ მსჯელობა გვექნება სპეციალურ წერილში). **კასპიები** იბერიულ-

კავკასიურ ჯგუფადაა მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში. ისინი ამჟამინდელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მკვიდრობდნენ [12, 86].

ერთი რამ ცხადია: კასპიები თუ „ყაშპიები" ერთ-ერთი ძირძველი იბერიულ-კავკასიური ტომის სახელი უნდა იყოს (კავკასიონიდან ოდითგანვე კასპიის ზღვის დასავლეთით მცხოვრებნი), რომელთა ნაწილი, როგორც ჩანს, რაღაც მიზეზით (მტერთა მოძალება??), მიგრაციის შედეგად ქართლში დამკვიდრებულა და თავისი ადგილობრივი ტოპონიმი თან წამოუღია და შეუნარჩუნებია. რადგანაც ქართლში „კასპიების" ენობრივი კვალი არ ჩანს და ადგილობრივ ქართველურ ტომებთან მათი ასიმილაცია ადვილად მომხდარა, უნდა ვიფიქროთ, რომ ენობრივად კასპიები (ჰერ-ალბანები??) სამხრეთკავკასიურ ენებთან ახლო ნათესაურ კავშირში იყო. ასეთ რამეს არ გამორიცხავს ***ჩ. მირზაზადეც***, მაგრამ მისი აზრით, კასპიები ან იბერიულ-კავკასიური ენების ჯგუფის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ სხვა ენობრივი ჯგუფისა. მკვლევარი, ჩვენგან განსხვავებით, არ გამორიცხავს კასპიების თურქულ-აზერბაიჯანულ (ასევე სხვა ენათაგან) წარმომავლობას. ჩვენი ვარაუდით, რადგან უცხოელ ავტორებთან ***კასპიები*** სპარსელების გვერდითაა დასახელებული, თურქ-აზერბაიჯანელები კი არსად იხსენიება, უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი ინდოევროპულ ან თურქულ ენათა ოჯახების მონათესავები არ უნდა ყოფილიყვნენ. დასანანია, რომ ჩ. მირზაზადე ერთი მინიშნებითაც კი არას წერს კასპიის ზღვასთან და კასპიებთან დაკავშირებით ქართული ***კასპ*** ტოპონიმზე. ეს მას, როგორც ჩანს, არც აინტერესებს, როგორც მისი მოხსენების ერთ-ერთი შემფასებელი დაღესტნელი კავკასიოლოგი ***ყაზბეგ მიქაილოვიც*** აღნიშნავს ზოგადად, თუმცა ქართული **კასპ** ტოპონიმის არსებობაზე ისიც არაფერს ამბობს. არადა ყოვლად შეუძლებელია ეს მას არ სცოდნოდა (ყ. მიქაილოვს **თსუ** მთის კავკასიური ენების განყოფილება აქვს დამთავრებული და ქართული ენაც რიგიანად ეხერხება). ჩ. მირზაზადეს ტენდენციურად და ცალმხრივად დაწერილი მოხსენებით განაწყენებული ლეკი მეცნიერი, ყ. მიქაილოვი, ამ სამეცნიერო კონფერენციაზე გამოსვლისას, აცხადებს, რომ ახლო მომავალში სამეცნიერო საზოგადოებას ***კასპიის*** ჩვენეულ ეტიმოლოგიურ ვარიანტს შევთავაზებო [13, 139-140]. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, გამოიძია თუ არა მკვლევარმა ამ სიტყვის წარმოშობა.

**PS**. აქვე იმასაც შევნიშნავთ, რომ ცნობილმა რუსმა ენათმეცნიერ-ეტიმოლოგისტმა, მაშინდელი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ო. ტრუბაჩოვმა ქალაქ თელავში, საკავშირო კონფერენციაზე, განაცხადა (სამწუხაროდ, დაიბეჭდა მხოლოდ პროგრამა (იხ. Программа 3-й конференции по ономастике Кавказа. Москва-Тбилиси. 1983 г. თეზისების ან წაკითხულ მოხსენებათა კრებულად გამოცემა ვერ მოხერხდა), რომ სიტყვა **კავკასიონის** ძირი რომელიღაც მთის კავკასიური ენის კუთვნილება შეიძლება იყოსო, იგი „თოვლს" ნიშნავსო, ასეც რომ იყოს, **კავკას**-ი =„თოვლიანი მთა" ეტიმოლოგიურად, ჩვენი აზრით, ნეოლოგიზმად (ერთ-ერთ ვარიციულ ახსნად) უნდა დავსახოთ და არა ძველისძველ და ნამდვილ ეტიმოლოგიად. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ქიზიყელები კავკასიონს „ლეკის მთას" უწოდებენ [14, 67], სხვაგვარად, „**ლეკის მთა** – კავკასიონი კახეთისა" [15, 101] ეს სახელდებაც შედარებით ახალია (სამხრეთიდან, აღმოსავლეთ საქართველოდან შემყურე-მოყურიადე ქართველისთვის კავკასიონი ხომ მართლაც ლეკის მთაა, რადგან იქითა მხარს, მთის გადაღმით ლეკები (დაღესტნელები) ცხოვრობენ. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ კავკასიელ ხალხებში, კერძოდ, უდიებში (ამ ტომის ერთი ნაწილი მართლმადიდებელია და ყვარლის რაიონში სოფ. ოქტომბერში (იგივე ზენობიანი) ცხოვრობს, დანარჩენი ორი სოფლის მოსახლეობა – აზერბაიჯანში (მაჰმადიანები არიან). უდიებში არსებობს კასპიის ზღვის წამოშობის ლეგენდაც. უდიური ენის სპეციალისტის, კავკასიოლოგ ტ. სიხარულიძის ცნობით, ამ ლეგენდის მიხედვით „კასპიი" უდიურად „თავმოჭრილს" ნიშნავს, აქედან: ***კასპიის ზღვა*** – „თავმოჭრილთა ზღვას". რამდენად რეალური და დამაჯერებელია ეს, ცხადია, ძნელი სათქმელია. (სპეციალურ ლიტერატურაში არ გამორიცხავენ კავკასიის სკვითურ წარმომავლობასაც. ცნობა მოგვაწოდა პროფ. გ. ყორანაშვილმა, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ).

**PSP.** ძველი სპარს. **ვრკანა** (ახალი სპ. **ბახრ-გორგან**) რუსულად **გირკანია** (Гирканское море ანუ Гурганское море) მოგვცა, აქედან არაბ.: **ბახრუ-ჯურჯან** სპარსული **რ** არარაიშვიათად **ჯ**'ში გადადის, რუსულად: Джурджанское море), ტომთა ადგილგადანაცვლების გამო არაერთი ტოპონიმი შეცვლილა, ან, საუკეთესო შემთხვევაში, მის პარალელურ სინონიმად ქცეულა. მაგ., არაბები წითელ ზღვას **ბახრუმ გულზუმ**'ს (Бахру Гульзум) უწოდებენ. არაბებმა მას შემდეგ (VIII

ს.), რაც დაიპყრეს აღმოსავლეთის ქვეყნები, რის შედეგადაც მათი სხვადასხვა თემობრივ-ტომობრივი დაჯგუფებანი მიმოიფანტნენ (არაბეთის ნახევარკუნძულიდან..., მათ შორის შუა აზიაში: უზბეკეთში, თურქმენეთსა და სხვაგან...), „თანა წარიტანეს" თავიანთი ეთნოტოპონიმები. ღირსსაცნობია, რომ არაბულ წყაროებში კასპიის ზღვას „გულზუმ" ეწოდება. დაახლოებით ასე მოხდა თურქულ ენობრივ და გეოგრაფიულ სამყაროში. არაბებსავით თურქებმა, შუა აზიიდან, ანატოლიაში გადასახლებისას ორ მდინარეს თავიანთი სახელები დაარქვეს Сейхан და Джейхан, შდრ. Сейхун (Сыр-дарья, Джейхун (Аму-дарья), რადგან შუა აზიაშიც ასე ჰქონდათ შერქმეული ამ ორი მდინარისათვის [1].

